

მაია ბურჭულაძე

პირველი დეტექტიური რომანი ციკლიდან `დიმიტრი ძნელაძე კრიმინალისტიკის ლაბორინთებში~.

უფროსი ძმა

ნაცნობი ქუჩები, ნაცნობი შუკები, ნაცნობი სუნები, ნაცნობი სილუეტი დატალღულ ვიტრინაში... როგორ დაბერდა! ძველი დიდებიდან სახელილა შერჩა _ ბორო. რომანტიკული სახელი თვალების გარშემო შავად მოარშიებული ბენვის გამო შეარქვეს. ერთ დროს საამაყო, მორკალული კუდი ახლა ნასხვისარივით ებლანდებოდა უკანა ფეხებში. კარგი იქნებოდა დაბადებისთანავე მოეჭრათ, როგორც მაღლივ კორპუსში მცხოვრებ დობერმანს, დიდი პატივისცემით რომ დაასეირნებს პატრონი დილა-საღამოს. მაგრამ ბორო მანანწალა ძალლი იყო, კუდის მოჭრა კი არა, წესიერად დედის რძე არ ღირსებია! ორიოდე კვირა აწოვა იმ მართლა ძუკნამ, დედამისმა, მერე კი ზედაუბნელ ბომბორას გაეკიდა. მას შემდეგ აღარც უნახავს, სულ თავისიც გაჰქონდა თავი, სულ თავისით... ჯელობაში არაფრით ჩამოუვარდებოდა თავის ნიღბოსან სეხნიას, თვალიც უჭრიდა და არც ტემპერამენტი აკლდა. მთელ ვაკეს ვერ დაიჩემებს, მაგრამ წითელი ბალის მიმდებარე ტერიტორიაზე რაც კი მანანწალა ძაღლების მონაგარია, ნახევარზე მეტს ბოროს სისხლი უჩქეფს ძარღვებში. ალალი იყოს, უბრალოდ დასანანია, რომ ვერ ცნობენ. მას მერე, რაც გარჩევებში ცალი ყური და ცალი ფეხი დაკარგა, საკუთარ თავსაც ვერ ცნობს _ განუწკდა, გასაცოდავდა, გამათხოვრდა... კოჭლობით დაუყვებოდა ხოლმე არაყიშვილის აღმართს და თუკი ვინმე-რამეს მიუგდებდა, მადლობის ნიშნად ნაკუდარს შეარხევდა ხოლმე.

ნაცნობ ადგილზე სვლა შეანელა. ადრე აქ სახინკლე იყო, კეთილი მზარეულითა და ხალისიანი კლიენტურით. ახლა მარკეტი წამოუჭიძავთ, დახლები ლამაზად შეფუთული ძეხვეულით გამოუტენიათ, ზედაც ახალი გამყიდველი მიუჩენით. მთლად პირტიტველა გოგო, ბაფთა რომ გაუკეთო სკოლის მონაფე გეგონება. აბა, იმან რა იცის უბნის კოლორიტის, ბებერი ბოროს

ამბავი. რომც იცოდეს, მოუტეხვს თუ რა... განა მისია ძვირადღირებული ძეხვი?!

ნაგვის ბაკთან ზორომ ორი ღონიერი ნაგაზი დალანდა (ვინ იცის, მისი შვილი ან შვილთაშვილი), პოლიეთილების პარკი დაეთრიათ და მოზრდილ ძვალს ეძიძგილავებოდნენ. არ ღირს ჩაზიარება. უეჭველად მიასიკვდილონ. ზორომ ნერწყვი ჩაყლაპა და ენაგადმოგდებულმა განაგრძო გზა. კუდის არ იყოს, ენასაც ძლივს იმორჩილებდა. მშიერ კუჭზე ხომ თავისით მოსრიალებდა ხოლმე ხახიდან, ცოცხალი მედუზასავით. ფეხებმა ნაცნობ სახლთან მიიყვანა. სახლი დიდი იყო, ორსართულიანი, გრანიტით მოპირკეთებული ფასადითა და შეიარაღებული დაცვით. თუ ბედი გაუღიმებს, იქნებ არ დაამადლონ ორიოდე ლუკმა.

_ ვა, ზორო?! _ იცნო მხარბეჭიანმა ახალგაზრდამ და კეთილად გაუღიმა.

_ გადაშენდი აქედან! _ შეუღრინა მეორემ, არანაკლებ მხარბეჭიანმა, მაგრამ გაუღიმარმა. იმანაც იცნო, მაგრამ არ ესიამოვნა მისი დანახვა. ბოროტი.

_ რას ეჩხუბები, შე ჩემა...

_ ვერ გავიგე, დღეში რამდენჯერ უნდა გამოგვეცხადოს დაბარებულივით?!

_ რას ქნას, შია ალბათ. _ თავი გამოიღო პირველმა. კეთილი.

_ ამ დილით არ ჩაცეცხლა ნახევარი ჰამბურგერი? ძალლი კი არა, პროფესიონალი მათხოვარია.

ის დილით იყო, შე უნამუსო, ახლა კი საღამოა, თანაც ცარიელი პური იყო ის შენი გადმოგდებული ჰამბურგერი, თუმცა ხორცის სუნი დაჰკრავდა~. _ გულში გაეპასუხა ზორო.

_ ჯანი გავარდეს, გამოგიტან რამეს. _ დაპირდა კეთილი და საპარადო კარში გაუჩინარდა.

_ ბარემ სახლში შეიყვანე, ფეხები დაუთბილე!

ზორომ წარმოიდგინა, როგორ შეჰყავთ მყუდრო ოთახში, აჭმევენ, ვარცხნიან, აგიზგიზებულ ღუმელთან ფარდაგს უგებენ... იყო ასეთი დღეები მის ცხოვრებაში, სულ ერთი კვირა გაგრძელდა, მაგრამ მაინც. მერე იმ ქალის ქმარი ჩამოვიდა და დაიფრინა. ამ

გრანიტიან სახლში კი, რომც ეხვეწონ, არ შევა. იქიდან ცუდი ენერგეტიკა მოდის და მაშინც ცივა, როცა ბუხარი ანთია.

_ მოშორდი აქედან, ბრის! _ შეუძახა `ბოროტმა~ და რალაცნაირად დაიძაბა.

ზოროს ჯერაც მგრძნობიარე ცხვირს ილღიაში გამოსული ოფლისა და შინაგანი ფორიაქის სუნი მისწვდა.

_ ჰამ! _ სუსტად შეჰყეფა.

_ `ბრის,~ რა, კატაა?! _ ბურგსუკან შთამბეჭდავი ბასი გაისმა.

ბასი შავლაბადიან მამაკაცს ეკუთვნოდა, რომელიც ეს-ესაა გადმობრძანდა შავად ალაპლაპებული მანქანიდან და ახლა სახლისკენ მიარხევდა თოვლივით თეთრ ქორხორს. მისგან სულ სხვა ენერგეტიკა იფქვეოდა _ თავდაჯერებულობის, სიმაძღრის, ხარისხიანი პარფიუმის... თითქოს ეს-ესაა გადმოვიდა თვითმფრინავის ტრაპიდან, თან გადმოიტანა მცხუნვარე მზისა და თბილი ოკეანის სურნელი.

საპარადო კარში კეთილი ადამიანი გამოჩნდა, ძეხვის ნაჭრით ხელში. ზოროს რომ უყვარდა ის ძეხვი იყო _ საექიმო, მისი მორყეული კბილების შესაფერისი. ლაბადიანის დანახვაზე კეთილმა ძეხვი სადღაც გადამალა. ზორომ ვერ დაინახა, სად, რადგან წინ ლაბადიანის ბურგი აეფარა. აქ საბრალო ცხოველს ნერვებმა უმტყუნა, უკანა თათებზე დახტა და ახალგაზრდული შემართებით გაიწია ძეხვისკენ.

ტყვიამ ჰაერში მიუსწრო და სტოპ-კადრში გააშეშა. მერე ყველაფერი მოძრაობაში მოვიდა _ დაცვამ ლაბადიანს სახლის სიღრმეში უბიძგა, ალაპლაპებული მანქანიდან მძლოლი გამოვარდა, _ მხოლოდ ზორო ეგდო უძრავად, საპარადო კარისკენ მიშვერილი დრუნჩით, სადაც ეგდო მისი კუთვნილი ძეხვის ნაჭერი.

გვანცა გორდებიანი აღფრთოვანებული დაბზრიალდა სარკის წინ. ამაზე უკეთეს საქორწინო კაბას ვერც ინატრებდა, მაგრამ გაზიარების გარეშე რა ფასი აქვს აღფრთოვანებას? გაზიარების

გარეშე გათხოვებასაც არა აქვს აზრი. მომავალი მეჭვარეები კი ზარდახშას ჩაჰკირკიტებდნენ, თითქოს სადედამთილოს მიერ მირთმეული ძვირფასეულობა უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სადედოფლო კაბა.

_ ჰე, ახლა, ხმა ამოიღეთ, ვერ გავიგე, ვისთვის გამოვიპრანჭე?!

_ მაგარია. _ მოკლედ აღნიშნა ირინამ.

თათიამ მოწონების ნიშნად ცერა თითი ასწია და ისევ ზარდახშას ჩაუღრმავდა. ელაპარაკე ამათ!

_ ზურგი ძალიან ამოჭრილი ხომ არ არის? _ ყასიდად იკითხა გვანცამ.

სინამდვილეში, მოშიშვლებული ზურგიც მოსწონდა და ბეჭებშუა მოქცეული პატარა ხალიც _ მირანდა ბებიას გენეტიკური საჩუქარი. საბრალო ბებია, რაღა ახლა მოუნდა ცუდად გახდომა?! იმედია, შვილიშვილის ქორწილამდე გამოწერენ საავადმყოფოდან.

_ შიშველი ზურგი გაცილებით სექსუალურია, ვიდრე საგანგებოდ გადმოყრილი ძუძუები. _ აღნიშნა ირინამ.

_ მე ვიტყვოდი, პროვოკაციული. _ ჩაურთო თათიამ.

_ ნეტავ მქონდეს რამე გადმოსაყრელი... _ ამოიოხრა გვანცამ და სარკის წინ გვერდულად დადგა _ მკერდის სიდიდე შეამოწმა. გრძელი, ტანზე მომდგარი კაბა სიმაღლეს მატებდა და ხაზს უსვამდა მის თხელ, ქალურ ფორმებს.

_ გვანც, ეს საყურეები სადედამთილომ მოგართვა? _ თათიამ შორიდან დაახა ბრილიანტის ბაღჩა.

_ ჰო.

_ მერე, ყურების გახვრეტას არ აპირებ?

_ დედამთილის ხატრით ყურებს ვერ გავიხვრეტ.

_ მაშინ რატომ გაჩუქა?

_ მიასალა. _ ჩაიფხუკუნა ირინამ.

_ ღმერთო, ნეტავ მე მომასალოს ვინმემ-რამე... _ დაიწუნუნა თათიამ და საყურეებს ზარდახშაში ჩაუძახა. _ გავიხვრეტ კი არა, დედას გეფიცები, ნემსის ყუნწში გავძვრები.

_ ნუ გეშინით, გოგოებო, თქვენი დროც მოვა... _ დაამშვიდა გვანცამ და კაბის გახდა დაიწყო.

_ ეს კაბა მართლა ნიკოს ძმამ გამოგიგზავნა პარიზიდან? _ ჰკითხა ირინამ.

_ ჰო, `შანელია~.

_ ვაა...

_ თუ გინდა ბირკას გაჩვენებ.

_ მჯერა.

_ მაზლიც ასეთი უნდა... _ ოცნებით წარმოთქვა ირინამ. _ დამაჯახე, რა?!

_ ვინ?

_ მაზლი, რომელიც პარიზში ცხოვრობს და პრაქტიკულად უცნობ პატარძალს ძვირფას კაბას უგზავნის. ხომ წარმოგიდგენია, ცოლს რა შმობტებს დააყრის?!

_ პატარძალს კი არა, მგონი საკუთარ ძმას არ იცნობს ხეირიანად... ნახევარძმაც, ნიკოს მამას პირველი ცოლისგან ჰყავს. 5-6 წელია არ ჩამოსულა საქართველოში. _ გვანცამ კაბის კალთები აიკეცა და წელში მოხრილი გაშეშდა. _ ვაიმე, მგონი გავიჭედე.

_ ცოლიანია?

_ ქვრივია, ქვრივი! რა დროს ნიკოს ძმაც, მომეხმარეთ, გავიჭედე მეთქი!

გოგონები გვანცას მიცვივდნენ და კაბაზე დაეჯახებოდნენ.

_ ფრთხილად!

_ ხელები ასწიე და ჩაისუნთქე. _ ბრძანა თათიამ. _ აბა, ერთი, ორი... სამზე გამოვწიოთ.

გვანცა თევზივით შეფართხალდა. `ფხრინ~! და მეგობრებს საცვლებისამარა საპატარძლო შერჩათ. სამივენი დაბაფრულები შეაყქერდნენ წელის მიდამოში გახეულ კაბას.

_ უნდა გაიკეროს. _ სიჩუმე დაარღვია თათიამ. _ აბრეშუმის ძაფი გაქვს? სპილოსძვლისფერი. _ დააბუსტა.

– დაბინდული ქლიავისფერი არ გინდა? – ნიშნისმოგებით შესძახა გვანცამ და პროტესტის ნიშნად მეგობრებს ზურგი აქცია.

– კარგი, თეთრი იყოს, მაგრამ რძისფერი არა, უფრო მოყვითალო, რომ არ დაეტყოს.

გვანცა საცვლებისამარა გაემართა კარისკენ. გოგოებმა თვალი გააყოლეს.

– ათი კილოს ჩამოყრა მომიწევს, ამას რომ მივუახლოვდე~, გაიფიქრა თათიამ და გვერდულად შეხედა ირინას, რომლის დავინროებული მზერა იმ კარისკენ იყო მიმართული, სადაც წელან გვანცა გაუჩინარდა.

– ვიცი, რასაც ფიქრობ და მართალი ხარ. – მოუხედავად თქვა ირინამ.

– რას ვფიქრობ? – თათია წამოწითლდა.

– ცუდი ნიშანია.

– კაბის გახევას გულისხმობ?

– ჰო. შენ არა?

თათიამ მხრები აიჩეჩა. პატარ-პატარა ინდივიდუალური რიტუალები ჰქონდა, მაგალითად, მოწყვეტილ ღილს ჩაცმულ კაბაზე არ დაიკერებდა, მაგრამ, აქაოდა, არ დავითარსოო, შავი კატის გამო მარშრუტს არასოდეს შეიცვლიდა. ზოგადად, უყვარდა კატები. აი, საქორწინო ცრურწმენებთან შეხება არ ჰქონია, თუ არ ჩავთვლით პატარძლის გადაგდებული თაიგულის დაჭერას.

– როგორ ფიქრობ, გვანცას ნიკო უყვარს? – არ მოეშვა ირინა.

– მგონი კი. ცოლად კი მიჰყვება და... რა, ცუდი ბიჭია?

– პირიქით, ბედმინევნით კარგი. – დადებითი ახალგაზრდა, – როგორც აღნიშნა მირანდა ბებია.

– მირანდა ბებია ისიც აღნიშნა, რომ ქალი კაცს კი არა, ხასიათს უნდა გაჰყვესო.

– ვითომ კარგი ხასიათი აქვს?

– ირა, ვერ გავიგე, რას გულისხმობ, თუ რამე იცი, თქვი, ქორწილი ერთ კვირაშია.

_ არ ვიცი, თათია, უბრალოდ, არ მემეტება, იცი... გვანცა არ მემეტება ნიკოსთვის, გესმის?

_ არ მესმის. რა სჭირს ნიკოს გვანცას დასაწუნი?! კაცი ვარსკვლავებს წყვეტს.

_ ცოტა უკლია.

_ ახურებ. _ დაანამუსა თათიამ.

_ ჰო, ალბათ. _ დაეთანხმა ირინა.

სახლის სიღრმეში ტელეფონმა დარეკა. ხუთიოდე წუთში კი ოთახში აქვითინებული გვანცა გამოჩნდა. გარდაიცვალა მირანდა ბებია. ქორწილი გადაიდო.

ის უკვე კუბოში იწვა, მირანდა ბებია, დიდ ოთახში, სადაც ხვალდან პანაშვიდები დაიწყება. თავით სანთელი ენთო, იქვე, შავ-თეთრი ფოტო, სადაც მისი სათნო ბებია თვალვებდაჭყეტილ გომბემოს ჰგავდა. გვანცა უყურებდა და ნერვები ეშლებოდა. ყველაფერი დედამისის ბრაღია, სწორედ ლალიმ აიჩემა პასპორტისთვის გადაღებული ფოტოს გადიდება, თითქოს სხვა სურათი არ მოეპოვებოდათ საოჯახო ალბომში! მერე რა, რომ სხვა სურათებში ბებია შედარებით ახალგაზრდაა, ასაკში 10-12 წელი არაფერს ცვლის. რა მნიშვნელობა აქვს ხუთი ნაოჭით მეტი გექნება თუ ნაკლები? ხუთი პიგმენტური ლაქით მეტი თუ ნაკლები? მთავარი ხმა და თვალვებია. მირანდა ბებიას კი მართლა ლამაზი თვალვები ჰქონდა, თუმცა ბოლო ორი წელი პრაქტიკულად ვერ ხედავდა, რაც თვალის ფორმაზეც აისახა. მაგრამ დედა ჯიუტია. გადანყვიტა და მორჩა. მგლოვიარე ქალს კამათს ვერ დაუწყებდა, რაც არ უნდა იყოს, დედა მოუკვდა.

კუბოს წინ ბოლთას სცემდა ბადრი, გვანცას მამა. ნერვიულად სცემდა, თითქოს რაღაც ჰქონდა სათქმელი და ყოყმანობდა. იქნებ მასაც არ მოსწობდა სიდედრის ფოტო და გვანცასი არ იყოს, ცოლის შეწუხებას ერიდებოდა?!

_ მამა... _ დაუძახა გვანცამ.

მამა ერთი კი შეხედა, მაგრამ ზედაპირულად, მომლოდინე მზერა ცოლისკენ ჰქონდა მიმართული. ლალი პირგამეხებული იჯდა, მშრალი თვალებითა და გადაჭდობილი თითებით, საიდანაც დეკორატიული ყვავილივით ამოჩრილიყო ფერადი ცხვირსახოცი.

_ ლალი, რა ვქნათ? _ როგორც იქნა, გაბედა ბადრიმ.

_ რასაც სხვები აკეთებენ: პანაშვიდები დავნიშნოთ, ქელეხზე მოვილაპარაკოთ, ჩემზე კარგად მოგეხსენება, რას აკეთებს ხალხი ასეთ დროს.

_ შენ იცი, რასაც ვგულისხმობ. _ ბადრიმ უხერხულად ჩაახველა.
_ იმას არ შევატყობინოთ?

_ არა. _ მკაცრად დაბეჭდა ლალიმ.

_ ვის? _ დაინტერესდა გვანცა.

მამამ ლოყები დაბერა და ჰაერი ამოაქშუტუნა, დედამ შეუვალი გამომეტყველება მიიღო _ არ მომეკარით, არ შემეკითხოთ, არ შემომხედოთ.

_ ვის? _ გაიმეორა გვანცამ.

_ ბიძაშენს. _ რალაცნაირი ნიშნისმოგებით წამოიძახა დედამ და შვილს თვალი თვალში გაუყარა.

_ აკაკი ბიძიას?

_ არა, ილიას.

_ დედა, სახუმაროდ გვაქვს საქმე? _ გვანცას კუბოს გახედა.

_ ბებიაშენს უფროსი შვილი ჰყავს. ვაჟი. ილია ჰქვია.

_ რა?...

_ რაც გაიგე. _ იყო პასუხი.

გვანცამ მირანდა ბებია წარმოიდგინა _ ტახტის კუთხეში მიმჯდარი უწყინარი მოხუცი, მწყერივით წვრილი ძვლებითა და სიფრიფანა, ელასტიური კანით. დედას რალაც ეძლება, როგორ შეიძლება მირანდა ბებიას პატიოსნებაში ეჭვის შეტანა?!

_ არ მჯერა. _ თქვა ხმაშავლა.

_ ბებიაშენის ოთახში... ენციკლოპედიის მეორე ტომი. მიდი, მომიტანე, რაღას აყოვნებ? _ ნაწყვეტ-ნაწყვეტ თქვა დედამ და საყვედურით შეხედა ქმარს.

გვანცა წამოდგა.

აკურატულად გასწორებული ლოგინის დანახვაზე პირველად აღქვა მთელი სიცხადით, რომ მირანდა ბებია აღარ არის ცოცხალი. მოკვდა. დარჩა კატაბალახას სუნით გაჟღენთილი ოთახი და ენით აუხსნელი, იმქვეყნიური ენერგეტიკა, რომელიც სწორედაც ამ ოთახში ტრიალებდა და არა, მისაღებში, სადაც მიცვალებული ესვენა. ალბათ ორმოცი დღე კიდევ იტრიალებს, უხილავი დისტანციით შეახსენებს საყვარელ შვილიშვილს დაბეპირებულ ფრაზებს: `გაზი არ დაგრჩეს~, `შუქი არ დაგრჩეს~, `გასაღები არ დაგრჩეს~... გვანცა კი ველარ შეუღრენს: `თავი დამანებე, ბებია, როდემდე უნდა მწყემსოო~. სიცოცხლე მოკლე სიზმარია. ვიტა სომნიუმ ბრევე.

აი, თაროც. წიგნების გარდა თაროზე მირანდას საყვარელი აქსესუარები დევს: მალაქიტის სპილოები, მაიმუნის ნილაბი, დეკორატიული ფისო, ფაიფურის ძაღლი... ცხოველები უყვარდა. პატარა კნუტზე ოცნებობდა, მაგრამ დედამს `ქოში ყარა~ _ ბენვიო, რწყილიო, ალერგიაო...

გვანცამ წიგნი ამოაცოცა და უკანმოუხედავად დატოვა ოთახი. სინანული სინანულად, მაგრამ ცნობისმოყვარეობა პირდაპირ ტვინში ურტყამდა.

ლალიმ ენციკლოპედიის ტომი მუხლებზე დაიდო და ყდაზე თითები აათამაშა, თითქოს მოთმინებაზე ცდიდა ოჯახის წევრებს. ისინი მართლაც ღელავდნენ, მამა-შვილი, პატარა საქმეა, ტაბუ ეხსნებოდა ოჯახის ყველაზე დიდ საიდუმლოს!

_ დედა! _ დაანამუსა გვანცამ.

ლალიმ ორაზროვნად ჩაიცინა, წიგნი გადაშალა და შვილს

გაცრეცილი კონვერტი მიანოდა. შავ-თეთრი ფოტოსურათი და წაბლისფერი კულული _ აი, რა იყო შიგნით. ფოტოსურათიდან გვანცას საკუთარი ფიზიომ შემოანათა, ოღონდ მკერდზე დაფენილი მსხვილი ნაწნავითა და ძველმოდური კაბით (მაინც რა არის გენეტიკა), აი, სამიოდე წლის ბიჭუნას კი პირველად ხედავდა.

სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო ილია და კულუღიც მას უკუთვნოდა.

_ ეს არის?... ბიძაჩემი?

დედამ თავი დაუკრა.

_ ბებიას ქმარი ჰყავდა თუ...

_ არავითარი `თუ~. ოფიციალური ქმარი ჰყავდა. გვარად მეგრელიშვილი. მეორედ ბაბუაშენს გაჰყვა ცოლად.

_ ანუ მამაშენს...

_ თავს ნუ იშტერებ, გვანცა. მირანდა ბებიას ეს ბიჭი პირველი ქორწინებიდან ჰყავდა.

_ ახლა დიდი იქნება...

_ ჩემზე უფროსი ნამდვილად არის. თანაც ბევრად.

_ ცოცხალია, რო?...

_ ყოველ შემთხვევაში, ორი წლის წინ ცოცხალი იყო.

_ იცნობ? _ გვანცამ დედას გაკვირვებულმა ამოხედა.

_ ერთხელ მყავს ნანახი.

_ მე რატომ არაფერი ვიცოდი?

_ ახლა ხომ იცი?

_ ნაწილობრივ კი, მაგრამ მე ყველაფერი მაინტერესებს.

_ ყველაფერი მეც არ ვიცი. _ დედა რატომღაც გაღიზიანდა.

გვანცამ კულულს დაყნოსა, კონვერტში შეინახა და დედას მუხლზე ხელი დაადო.

_ რაც იცი, ის მომიყევი.

სალამო იყო. ყოფილი გენერალი და მოქმედი ბიზნესმენი ილია მეგრელიძევილი თავის სახლში იჯდა და ძალოვანი სტრუქტურის წარმომადგენლისგან პირველად ანგარიშს ისმენდა. წარმომადგენელს ერქვა მიხეილ ხვედელიძე და ის სულაც არ გახლდათ შემთხვევითი სტუმარი. იყო დრო, როცა გენერალი მეგრელიძევილი და პოლკოვნიკი ხვედელიძე ერთ სტრუქტურაში მუშაობდნენ. მართალია, ძმადნაფიცები არ ყოფილან, მაგრამ ნდობის ფაქტორი მთელ რიგ შემთხვევაში მეგობრობაზე მნიშვნელოვანია. ილიას არ სურდა ვერშემდგარი თავდასხმა საჯარო განხილვის საგნად ექცია და პოლკოვნიკს შინაურულად თხოვა დახმარება. ჰოდა, ისიც შინაურულად გაისარჯა და არსებული მომენტისთვის გაიგო შემდეგი: გასროლა განხორციელდა მოპირდაპირე სახლის სახურავიდან. სნაიპერი _ ახალგაზრდა მამაკაცი ამერიკული სამხედრო ბათინკებით. სავარაუდოდ, ჰუმანიტარული დახმარების სერიიდან. ბათინკების ზუსტ ზომას და ცვეთის ხარისხს ექსპერტიზა დაადგენს.

_ ჯერჯერობით ეს არის. _ მიხეილმა ხელები გაშალა და ყოფილი შეფის რეაქციას დაელოდა.

ილიას ძალიანაც უნდოდა თემის განვრცობა, მაგრამ როცა ადამიანი ფიზიკური ტკივილით იტანჯება, სამყაროდაც და მოსალოდნელ საფრთხესაც სულ სხვა რაკუსით ხედავს. ამ მომენტში ილიას ისე სტკიოდა წელი, ალბათ არც სნაიპერის ტყვიაზე იტყოდა უარს. ვერც გამაყუჩებლებმა უშველა, ვერ ექიმის რეკომენდებულმა `შანცის საყელომ~, ტკივილმა ბალიშებით შემოჯარულ ტახტს მიაჯაჭვა და ყოველ გატოკებაზე თავს ახსენებდა.

_ ოსტოექონდროზმა შემოგიტიათ, არა, ბატონო ილია? _ მიუხვდა მიხეილი.

ილია თვალებით დაეთანხმა.

_ წელი უნდა დააფიქსიროთ.

_ მეტი რალა დავაფიქსირო, შიშით ვერ დამიხველებია.

_ ხომ არ დაგღალეთ?... არ მოგერიდოთ...

_ არა, კაცო, რა დაღლა... თითო ჭიქა გადავკრათ, იქ, ბარში არაყია. _ თავით ანიშნა ილიამ.

_ შუქი რომ ავანთო, წინააღმდეგი ხომ არ იქნებით?!

ილია არ იყო წინააღმდეგი, მით უმეტეს, უკვე დაბინდა, ოთახში საღამოს ჩრდილები აფუთფუთდნენ, თითქოს რაღაცას ეძებდნენ თავიანთი გრძელი, ცახცახა თითებით.

მიხეილმა ჩამრთველს გაჰკრა და თავისი ორიგინალური უღვაშით წარდგა ილიას წინაშე. უღვაშის ორიგინალობა იმაში მდგომარეობდა, რომ ის ორ ფერში იყო გადანყვებილი: მარჯვენა – ჭალარაგარეული, მარცხენა – პრაქტიკულად თეთრი, თუ არ ჩავთვლით სიგარეტისგან გამოწვეულ სიყვითლეს. ცხადია, შეეძლო გაეპარსა, მაგრამ უღვაში ძაფივით წვრილი და რვიანივით დაკლაკნილი ზედა ტუჩის შესანიღბად სჭირდებოდა. ერთხელაც მიხეილმა გარისკა – ცოლს თმის საღებავი ანაპნა და უღვაშები შეიღება. სარკიდან მოწიფულმა მამათმავალმა შესცინა. კიდევ კარგი ბაფხული იყო და ოჯახობა აგარაკზე ეგულებოდა, თორემ დიდ სირცხვილს ჭამდა. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როცა იძულებული მიხეილი იძულებული გახდა დროებით შელეოდა თავის ორიგინალურ ატრიბუტს.

– რა ლამაზია! გახსნა დაგენანება კაცს... – მიხეილმა შუშის ინკუსტრირებული ბოთლი გამოიღო და სათვალე მოიმარჯვა. `დვვა~. – წაიკითხა ხმამაღლა.

– ჰო, ეს განსაკუთრებული არაყია. სამჯერ ფილტრავენ, თავდაპირველად ყინულში, მერე ნახშირში, ბოლოს ალმასში.

– ფასიც განსაკუთრებული ექნება, არა?

– ნაჩუქარს ფასი არა აქვს. ჩამოასხი, ჩამოასხი...

– თქვენი გადარჩენისა იყოს, ბატონო ილია.

ილიამ ჭიქა ასწია და წარბეჭვეშიდან შეხედა პოლკოვნიკს:

– მიხეილ, ძაღლზე ითქმის ნათელში ამყოფოსო?... რა გაცინებს შე კაცო, ზორო რომ არა, ტყვია არ ამცდებოდა. არაყს ჩემთან კი არა, ჩემს ქელებში დალევდო. მფარველი ანგელოზივით არ გამომეცხადა ის შეჩვენებული?!

– ჰმ, სახელიც რომ ჰქონია!

– ზოროს ყველა იცნობს, უბნის ძაღლია. იყო.

– მდაა, ყველაფერი წამის ამბავია.

_ ზოგჯერ წამი განსაზღვრავს მთელ ცხოვრებას. _
წაიფილოსოფია ილიმ.

_ `შეჩერდი წამო, შენ მშვენიერი ხარ!~ _ არტისტულად
გააფორმა მიხეილმა.

_ ზოროსთვის სულაც არ აღმოჩნდა `მშვენიერი~.

_ ცხოველია. თავისი კარმა აქვს.

ერთმანეთს ჭიქები მიუჭახუნეს. დალიეს.

_ ახლა, მოდით, ჩამოვყალიბდეთ. _ საქმიანად დაიწყო
მიხეილმა. _ ფაქტია, რომ ვიღაცას გადაურბინეთ გზაზე.
საინტერესოა, ვის?

_ ძაღლს ნამდვილად გადაურბინე, სხვა არავინ მახსენდება.
არ მახსენდება და რა ვქნა? შენ თავად განსაჯე: სახელმწიფო
სამსახურში მე აღარ ვარ, ბიზნესი მაქვს, თუმცა... თუმცა მოგეხსენება
მემკვიდრე აღარ მყავს. არც მეგობარი ქალი, რომ ვიფიქრო მეტოქემ
გამიჩალიჩა. წარმოდგენს არ მაქვს, ვის-რაში აწყობს ჩემი
სიკვდილი... გამომრჩა რამე?

_ შურისძიება.

ილიამ სწრაფად შეხედა და დაინტერესებული გადმოიხარა. ამ
დროს კარზე დააკაკუნეს.

კახა იყო, გულკეთილი დაცვის ბიჭი. კაცმა რომ თქვას, კახა
რომ არა, ბოროთ თავის გზაზე წავიდოდა, ილიაც ვერ გადაურჩებოდა
სნაიპერის ტყვიას. თუმცა ეს უკვე იმას ჰგავს, ბადრიჯანს ფრთები
რომ ჰქონდეს, ყვავი იქნებოდაო. ალბათ იქ, ბევრით, გადანყვიტეს,
რომ ილიას ჯერაც არ ამოუწურავს დედამინაზე დაკისრებული მისია,
სულაც კიდევ ერთი შანსი მისცეს. რა იცოდა გადამდგარმა
გენერალმა, რომ `ერთი შანსი~ სულ რამდენიმე მეტრში
იმყოფებოდა და ხუთიოდე წუთში წარსდგებოდა მის წინაშე.

_ ბატონო ილია, ქალიშვილია თქვენთან. _ მოახსენა კახამ.

_ ვინ ქალიშვილი?ს

_ გვანცა გორდემიანი ვარო.

_ პირველად მესმის... _ ილიამ მხრები აიჩეჩა და მიხეილს
შეხედა. მანაც იგივე ჟესტით უპასუხა. პირველად ესმოდა ეს გვარი.

_ რაო, რა მინდაო?

_ გადაუდებელი საქმე მაქვს, ორ წუთზე მეტს არ წავართმევო.

_ ვიცი მე მაგათი `გადაუდებელი საქმე~, მორიგე რეკეტიორი იქნება _ ეს დამიფინანსე, ის დამიფინანსე... წაიღეს, რა, ტვინი!

_ არ ჰგავს რეკეტიორს. ლამაზი გოგოა. _ მორიდებით აღნიშნა კახამ.

_ თითქოს ლამაზი გოგო არ შეიძლება იყოს რეკეტიორი!

_ ნახეთ მაინც, იქნებ რა უნდა გითხრათ, _ ურჩია მიხეილმა. _ მე სამზარეულოში ჩავალ, სვეტლანას ყავას მოვადულებინებ.

სვეტლანა ილიას სამზარეულოს განაგებდა. მის მოვალეობაში შედიოდა დიეტური კერძების კეთება და სტერილური სისუფთავის დაცვა, რასაც აკეთებდა კიდევ გერმანულის შესაშური პედანტიზმით. არც თვითონ გახლდათ შემწვარ-მოხრაკულის და ხმაურიანი თავყრილობების მოყვარული, ერთადერთი ვაჟის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ კი ილია მეგრელიშვილის სახლში სუფრა არ გაშლილა.

_ კარგი. გაჩხრიკე და ამოუშვი. _ ისროლა ილიამ და გაჭირვებით წამოდგა.

სასმელმა ოდნავ გაუყუჩა ტკივილი. სუნთქვაც გაუადვილდა და ფეხის გადადგმაც შეძლო.

ხუთიოდე წუთში ოთახში მომხიბვლელი ქალიშვილი შემოვიდა. არა, ის არ ჰგავდა რეკეტიორს, ის ჰგავდა ქალს, რომელიც ილიას მთელი ბავშვობა ენატრებოდა. იმ ქალს მირანდა ერქვა და დედად ეკუთვნოდა. ნუთუ ნახევარი საუკუნე უნდა გასულიყო, რომ პატარა ბიჭის ოცნებას ფრთები შესხმოდა?...

მოგონებამ ნაცრისფერ ტალღად გადაუარა ილიას და იმ შორეულ დროში გატყორცნა, როცა მამამ, საბჭოთა არმიის გენერალმა, სკოლაში მიაკითხა და ჩანთის ჩალაგება უბრძანა. კლასმა შურიანი მზერით გააცილა გენერლის ვაჟი, მას კი ფეხები უკან რჩებოდა. ილიას მამის ეშინოდა. მაშინაც კი, როცა მამა მთვრალი არ იყო და ისეთი ბანალური საქმიანობით იყო დაკავებული, როგორცაა გაზეთის კითხვა, ჩაის დალევა, წვერის პარსვა... არა, ის ლოთი არ იყო, იშვიათად სვამდა, მაგრამ როცა

დალევდა, არა მხოლოდ ერთი ინტიმური ადგილის გასაღებს, ადამიანის სახეს კარგავდა. ერთხელ მთელი ავეჯი დალენა და ლამის ცოლ-შვილიც ზედ მიაყოლა, მეორე დღეს კი არაფერი ახსოვდა. ან ახსოვდა და ისულელებდა _ არ იყო თავის მართლებას მიჩვეული.

ეზოში ხაკისფერი ვილისი იდგა, იქვე მძლოლი _ გაულიმარი სერჟანტი ლამბაქივით ყურებით და პირმოთნედ გალიმებული სკოლის დირექტორი გულზე მიხუტებული საბუთებით ხელში.

_ აბა, შენ იცი, ყოჩაღად იყავი, სკოლა არ შეარცხვინო, ბიჭო! _ დირექტორმა ილიას მხარზე ხელი მოუთათუნა და მამამისს საბუთები გადასცა.

ილიამ ვერაფერი გაიგო და მამას შეხედა. მამამ ნაჩქარევად ჩამოართვა დირექტორს ხელი და რატომღაც მადლობა გადაუხადა.

_ სად მივდივართ? _ იკითხა ილიას, როცა მანქანამ ქალაქგარეთ აიღო გეზი.

_ სხვა ქალაქში. _ მშრალად უპასუხა მამამ.

_ სკოლა?

_ სკოლა იქაც არის.

ილიამ ახლალა შენიშნა სალონის კუთხეში მოლაყლაყე ჩემოდანი და მოწნული კალათა, რომელშიც საგბალი აღმოჩნდა.

_ ჭამე. თერმოსში წყალია. _ უკანმოუხედავად თქვა მამამ.

ილიამ ხაჭაპური ჩაკბინა. ცივი იყო, მაგრამ მაინც გემრიელი, დედამისის გაკეთებული ხაჭაპური ყველანაირი უყვარდა. რას წარმოიდგენდა, რომ უკანასკნელად ჭამდა მის ნახელავს?!

_ დედას უნდა გავუაროთ?

_ არა. _ მოუჭრა მამამ.

_ იქ დაგვხვდება? სხვა ქალაქში...

_ არა.

_ რატომ?

_ ბევრს ნუ ლაპარაკობ. ჭამე და დაიძინე, წინ დიდი გზა გვაქვს.

ილიას ლუკმა ყელში გაეჩხირა. წინ მამის ნაკეცებიანი, აპარსული კეფა ხტოდა, უკან დარჩა თბილისი, სკოლა, ეზო და დედა, დედა!

აღელვებულზე მართლაც ჩათვლიმა. რამდენჯერაც გაახელდა თვალს, იმდენჯერ მზის შუქზე აბრჭყვიალებულ მწვერვალებს ხედავდა. შაქრის კრისტალებს წააგავდნენ თავიანთი დაკბილული გვერდებით. ილიას უყვარდა ხოლმე შაქრის კრისტალით კბილის ჩატკბარუნება. დედამ ეს იცოდა და სპეციალურად შეკერილ ნაჭრის პარკში უნახავდა. პარკზე წინილებზე გადაფოფრილი კრუხი იყო ამოქარგული. ილია იმ წინილების ბედს შენატროდა.

ქალაქს, სადაც ჩავიდნენ, ერქვა ორჯონიკიძე. მამამ შვილი სამხედრო გარნიზონში, ერთ ქვრივ ქალს შეუსახლა და უთხრა: ამიერიდან ეს დეიდა მოგივლისო. `დეიდას~ ილიას გარდა, თავისი დაუნი შვილი ჰყავდა მოსავლელი, მაგრამ გენერალს უარი ვერ შებედა. დაუნს ალანი ერქვა და სულაც არ იყო ისეთი საშიში, როგორც ილიას თავიდან მოეჩვენა. მთელი დღე ფანჯარასთან იდგა და გამჭვირვალე ფარდის მიღმა აკვირდებოდა გამვლელ-გამომვლელს. ეგ არის, ღამღამობით მართოხელა მგელივით ყმუოდა და ილიას ძილს უფრთხობდა. ალანზე მეტად ქვრივი აღიზიანებდა, კარჩაკეტილი ქალი მარადიული სევდის ანაბეჭდით ავადმყოფურად ფერმკრთალ სახეზე. თუმცა ჩაბარებულ ბიჭს პატიოსნად უვლიდა _ აჭმევდა, ურეცხავდა, სკოლაში აცილებდა...

ერთადერთი ნათელი წერტილი ნაძალადევ გადასახლებაში იყო ვალერა ნოვიკოვი _ იმავე გარნიზონში მცხოვრები ოფიცრის შვილი. ვალერას ხალისიანი მშობლები ჰყავდა, ილიას ილუშკას ეძახდნენ და ბლინებზე უპატიჟებოდნენ. ილია ბლინებს ჭამდა და ცრემლს ყლაპავდა _ დედის გაკეთებული ხაჭაპური ახსენდებოდა.

დროგამოშვებით მამა ჩამოდიოდა, თან ჩამოჰქონდა დეფიციტური პროდუქტები და შინნახადი ჭაჭა. ჩამოსვლისთანავე ქვრივს სუფრას აშლევინებდა, მეზობლებს ეძახდა, თვითონ კი უგონოდ თვრებოდა. მთვრალი მამა უშვერი სიტყვებით აგინებდა მირანდას, ნამუსგარეცხილსა და მოღალატეს ეძახდა. ილიამ არ იცოდა, რას გულისხმობდა მამა ამ სიტყვებში, ერთადერთი, რასაც მიხვდა, ის იყო, რომ მშობლები ერთად აღარ ცხოვრობდნენ.

სამი წლის შემდეგ მამა ისევ მოულოდნელად დააცხრა, როგორც მაშინ, სკოლაში, ბარგის ჩალაგება უბრძანა და თბილისის გზას გაუყენა.

ისევ ის ქალაქი, ისევ ის კლასი, გაუცხოებული მეგობრები და ქალი, რომელიც ერთი თვის თავზე სკოლაში გამოეცხადა.

_ ილიკო, შვილო, როგორ გამაღლდი, როგორ გალამაზდი, როგორ მომენატრე...

ილიამ უკან დაიხია. შეუძლებელია, ეს გაძვალტყავებული ქალი მწუხარე გამომეტყველებით მისი ლამაზი დედიკო ყოფილიყო! არადა, მისი ხმა ჰქონდა, მისი სუნი... ის ამდენი ხანი ოცნებობდა ამ დღებზე, ახლა კი გაქცევაზე ფიქრობდა.

_ შვილო, მომეცი უფლება, ყველაფერი აგიხსნა...

ილიამ უარყოფის ნიშნად თავი გააქნია და მართლა გაიქცა. მოსახვევთან არმისულმა მიიხედა. არა, დედა არ გაჰკიდებია. ძველ ადგილზე იდგა, როგორც ბრძოლაში გამოვლილ დროშა, ტარით მინაში ჩარჭობილი და დავინწყებული.

_ დღეს დედაჩემი ვნახე. _ უთხრა მამას ვახშმობისას.

_ მერე? _ მამა პირთან მიტანილი კოვზი შეაჩერა და გამომცდელად შეხედა შვილს.

_ მერე არაფერი, წამოვედი.

_ არ დალაპარაკებხარ?

_ არა.

_ კარგად მოქცეულხარ. არსად გაჰყვე, იცოდე. ვინცობაა რამე შემოგთავაზოს, არ გამოართვა. გასაგებია?

_ რა უნდა შემომთავაზოს?

_ სასუსნავი, კანფეტი...

_ და რატომ არ გამოვართვა?

_ მონამლული არ იყოს.

ილიას გაუჭირდა სიტყვა `მონამღულის~ დედასთან ასოცირება, მიუხედავად იმისა, რომ ნაშუადღევს ნანახი ქალი ისევე უცხო იყო მისთვის, როგორც ორჯონიკიძელი ქვრივი.

...ის კი ლაპარაკობდა, ნაბლისფერთმიანი ქალიშვილი დედამისის უწინდელი იერსახით, თითქოს თავს იმართლებდა და წამდაუნუმ ინევდა თმას ყურებზე. ნაცნობი ჟესტი. რაო, მირანდა მოკვდაო? აი, თურმე რაში ყოფილა საქმე... მოკვდა.

_ გასაგებია, გასაგებია. _ ხელის აწევით გააწყვეტინა ილიამ, როცა მეტ-ნაკლებად ლაგამი ამოსდო მოგონებათა ნაკადს და სიტუაციაში გაერკვა. _ და მე რა შუაში ვარ?! _ დააყოლა გაღიზიანებულმა.

ქალიშვილს თითქოს ცივი წყალი გადაასხეს, ხშირ-ხშირად აახამხამა წამწამები და განბილებული გამომეტყველების ალაგმვას შეეცადა.

_ იცით, მშობლები მიშლიდნენ აქ მოსვლას, მაგრამ მე მაინც საჭიროდ ჩავთვალე.

_ უფროსებს უნდა დაუჯერო. _ მენტორულად დაარიგა ილიამ და ყურებზე ხელები ჩამოისვა. დალახვროს ეშმაკმა, ხმის ტემბრიც რომ ერთნაირი აქვთ!

_ მხოლოდ გუშინ გავიგე თქვენი არსებობა...

_ ამით არაფერი იცვლება.

_ ცხადია, არაფერი... უბრალოდ... _ ქალიშვილმა აღარ დაასრულა, ხელჩანთიდან კონვერტი ამოიღო და მაგიდაზე გააცურა. _ აქ მირანდა ბებიას ყველაზე ძვირფასი მოგონებაა, ვიფიქრე... რა მნიშვნელობა აქვს, რა ვიფიქრე... ეს თქვენ გეკუთვნით... დიდი ბოდიში შენუხებისთვის. _ მიტრიალდა და წავიდა.

ილიამ თვალი გააყოლა. გულში ბუსტად ისეთივე სიმძიმე იგრძნო, როგორც მაშინ, ბავშვობაში, როცა თბილისი თვალს ეფარებოდა, წინ კი მამამისის გაპარსული კეფა ხტოდა.

მიხეილი ყოველ საღამოს რეკავდა და ყოფილ შეფს ანგარიშს აბარებდა, მაგრამ ილიამ რატომღაც დაკარგა ინტერესი გამოძიების მიმართ. თუ გაიგებს ვინ უთხრის საფლავს, ხომ კარგი, თუ არა _ ჯანდაბამდის გზა ჰქონია ყველას და ყველაფერს. რა, ცოტა გაუხსნელი საქმე დევს თაროზე? მათ შორის პირადად ილიას ხელით შემოდებული და სამუდამოდ დავიწყებული. მას სხვა რამ ანუხებდა, და ნუხილის მიზეზი სულაც არ ყოფილა დედამისის სიკვდილი. კონვერტმა ააფორიაქა, უფრო სწორედ შიგ შენახულმა ნედლმა კულულმა, რომელიც ერთ დროს მას ეკუთვნოდა. გამოდის, დედას ის უყვარდა, ხსოვნას გულში (თუ კონვერტში) ინახავდა, მან კი ახლოსაც არ გაიკარა, არც მაშინ, სამწლიანი განშორების შემდეგ, არც ორი წლის წინ, როცა ნახევარდა მოუგზავნა _ მხედველობა დამიქვეითდა და ვიდრე სულ დავბრმავებულვარ, ჩემი ბიჭის ნახვა მინდაო. `ბიჭო...~ მისთვის ის ბიჭად დარჩა, სხვანაირს არც იცნობდა. ცხადია, ილიამ უარით გაისტუმრა. ე.წ. დას პრეტენზია არ გამოუთქვამს. როგორც ჩანს, მოვალეობა მოიხადა და როგორც მოვიდა, ისე წავიდა.

ჭერამდე ატყორცნილმა სარკემ ილიას გამოსახულება აირეკლა _ გრძელი მაგიდის თავში ჯდარი ადამიანი-ბაბუანვერა. არადა, არც ისეთი მოხუცია, თეთრი წარბები ერთიორად აბერებს, თორემ სახის კანი ისეთი აქვს, ყმანვილკაცს შემურდება _ რუჟდაკრეული და კრიალა, ადრიატიკული ჰავისა და კარგი კვების უტყუარი ნიშანი. იქნებ ღირს ვილის ყიდვა ხმელთაშუა ზღვის რომელიმე კურორტზე და იქ გადაბარგება. მაგრამ ორ კვირაზე მეტს რომ ვერ ძლებს სხვაგან? უხილავი მაგნიტი აქეთ ექაჩება, დამოუკიდებლობის მყიფე ფეხებზე მგდარ სამშობლოში, რომელიც ეს-ესაა გამოერკვა ლეთარგიული ძილისგან და პირდაპირ სამოქალაქოჯომში ჩაება. ეტყობა, ქრონიკული მშვიდობაც მომაბებრებელია, ქვეყანა დროგამოშვებით უნდა დაიფერთხოს, ანტრესოლში შენახული ნოხივით. აივანზე, ყველას დასანახად და გასაგონად. რომ იცოდეს სად იმალება ის დედააფეთქებული მაგნიტი, მივიდოდა და ცხრა მთას იქით გადაისროდა და მოისვენებდა. ან არ მოისვენებდა. რთულია თქმა.

სასადილო ოთახში დესერტით ხელდამშვენებული სვეტლანა შემოვიდა _ ფეხიდან თმის წვერამდე გახამებული და სტერილური. ხელუხლებელი კერძის დანახვაზე გაკვირვებული შედგა.

_ არაფერი გიჭამიათ. რატომ?

ილიამ ახლალა შეამჩნია სავსე თეფში და ტუჩები დაქანა. კარგი მზარეულია სვეტლანა, გაცილებით უკეთესი, ვიდრე მისი ცოლი, ცხონებული დარეჯანი. იმან არც გემრიელების კეთება იცოდა და შვილიც ნარკომანი გაზარდა. კი, ის შვილი ილიასიც იყო, მაგრამ სად ეცალა შვილის დევნისთვის _ ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მუშაობდა, დარეჯანი კი სახლში იჯდა და ბუბებს ითვლიდა.

კაცმა რომ თქვას, ილია რაღას აკეთებს? ვითომ:ცხოვრობს, სინამდვილეში კი ბუბებს ითვლის, ანუ ქვეცნობიერად სიკვდილს ელოდება. ფენიტა ლა კომედია! სასაფლაოსკენ ნაბიჯით, იარრრ! ასე რომ, ის ქილერიც ალბათ განგებამ გამოუგზავნა, ზედაც კონვერტიანი ქალიშვილი დააყოლა _ აბა, გული თუ შეუტოკდებაო.

_ ხომ არ შეგითბოთ, ბატონო ილია?

_ შემიტოკდა, კი... _ თავს გამოუტყდა.

_ რა ბრძანეთ?

ილიამ თავი ასწია და სვეტლანას მონდომებულ მზერას წააწყდა.

_ რა... რა მკითხე?

_ ხომ არ შეგითბოთ-მეთქი? თქვენი საყვარელი `ჟიულიენია~.

_ ჰო... არა... არა, არა, მე უნდა წავიდე. უკვე მივდივარ. _ ილია ახალგაზრდული შემართებით წამოხტა სკამიდან და პირველ სართულზე ჩავიდა.

შეფის დანახვაზე დაცვის ბიჭები წამოიშალნენ.

_ არ გამომყვით, ნახევარ საათში დავბრუნდები. _ ფართხაფურთხით გაუყარა ხელი ლაბადაში, ქუჩაში გავარდა და მოახლოვებულ ტაქსს ხელი აუქნია.

დაცვის ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს. ბოლო ორი წლის მანძილზე ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა შეფი მძღოლის გარეშე გავიდა სახლიდან.

პანაშვიდი დამთავრდა. სარიტუალო ოთახში ახლა საშილაფლავე ბრინჯის სიგრძე-სიგანეზე ბჭობდნენ, უფრო სწორედ ბადრი ბჭობდა, ნიკო გაგებით უქნევდა თავს _ აქაოდა, არც მე მაკლია კომპეტენცია ამ საკითხებშიო. სინამდვილეში ასი წელი არ აინტერესებდა რა ჯიშის ბრინჯს ხარშავენ შილაფლავისთვის, ნიკოს საცოლესთან სექსი აინტერესებდა, ქორწილი კი გაურკვეველი ხნით გადაიდო. გვანცასაც ისე უჭირავს თავი, თითქოს გამოპრუტუნებული ბებია კი არა, ჯან-ღონით აღსავსე მშობელი მოუკვდა. წელან ნიკომ აივანზე მოიმწყვდია _ კოცნა უნდოდა. საქმეში ხარ? ისე შეხედა, რომ ნიკომ საბოლოოდ დაკარგა ოფიციალურ სტატუსამდე ქალიშვილის ლოგინში ჩათრევის იმედი. მაინც, პროვინციელები არიან ეს გორდებიანები, თავისთვის მსჯელობდა ნიკო, ვითომ ქალაქში დაიბადნენ, მაგრამ პროვინციალიზმი მსოფლმხედველობაა და არა გეოგრაფიული ტერმინი. რალა დროის ქალწულობაა?! `ჯოჯობეთი გადავსებულია ამპარტავანი ქალწულებით, ღმერთს მდაბალი ადამიანი სჭირდებაო~. მგონი ვიღაც წმინდანმა თქვა. შეიძლება სხვა კონტექსტში, მაგრამ მაინც კარგი ნათქვამია. გვანცას არ აწყენს შეხსენება.

ლალის კუბოს გარშემო შექუჩული ფლორა მოჰყავდა წესრიგში _ ყვავილებს ცალკე აწყობდა, გვირგვინებს ცალკე. ორი ელეგანტური გვირგვინი კედელზე ჩამოკიდა, მირანდას სურათის ორთავ მხარეს და კიდევ უფრო თვალშისაცემი გახადა ისედაც უვარგისი ფოტოსურათი. გვანცა გულგრილად ადევნებდა თვალს დედამისის ფაციფუსს და მირანდა ბებიას ფსიქოლოგიურ პორტრეტს ახალ-ახალი შტრიხებით ავსებდა. საინტერესოა, თვითონ როგორ მოიქცეოდა მის ადგილზე? შეაკვდებოდა სადისტ ქმარს თუ ბავშვის გამო მოითმენდა? თუკი შვილს გადაუმაღლავდნენ, ალბათ მოითმენდა. დღეს შედარებით ადვილია სასამართლოს გზით დაიცვა შენი უფლება, უსამართლო განაჩენის შემთხვევაში პრესა და არასამთავრობო ორგანიზაცია მოიშველიო, მაშინ კი სხვა დრო იყო, თანაც ის კაცი, ბებიას პირველი ქმარი, სუკის გენერალი იყო და არა წვრილფეხა ჩინოსანი.

თეთრთმიანი მამაკაცი გრელი შავი ლაბადით პირველად ნიკომ დაინახა და მოწინებით გაშალა მხრები. იცნო. ის არის, გვანცას მიერ დონ კორლეონედ შერაცხული ილია მეგრელიშვილი, რომელიც მის საცოლეს ბიძად ეკუთვნის, გვანცას კი მთელი დღე გამოქათამებული ბებია ეკერა პირზე _ ასე რომ ექნაო, ისე რომ ექნაო...

ესენი ეტყობა ჭურში სხედან, მომავალი ნათესავები, უკმაყოფილოდ გაიფიქრა ნიკომ. იმის ნაცვლად საპატიო სტუმარს შეეგებონ, ბუდიდან ამოვარდნილი ბარტყებივით უყურებენ ერთმანეთს. ისევ ნიკომ უნდა ითავოს უხერხული სიტუაციის განმუხტვა, თორემ გაბრუნდება ეს დიდებული ნათესავი და აღარასოდეს შემობრუნდება უკან. მერე ეძებე ქარი მინდორში (თუ ფული?), გვანცა კარგი გოგოა, რაზეა ლაპარაკი, მაგრამ თუკი ისეთივე უხერხემლო გამოდგა, როგორც მისი მშობლები, რაში არგია ექიმის დიპლომი? დაბერდება სადმე უბნის პოლიკლინიკაში მიზერულ ხელფასზე, მაშინ, როცა ნიკას დიდი და ამბიციური გეგმები აქვს. ცოლი უნდა შეეფერებოდეს ქმარის სტატუსს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახს ბზარი გაუჩნდება და ადრე თუ გვიან დაინგრევა. ასეთი ბიძის იგნორი იქნება?!

_ ვიზიარებ. _ უმისამართოდ ჩაილაპარაკა ილიამ, მიიხედა მოიხედა და გვანცას გვერდით დაჯდა, მიუხედავად იმისა, რომ ოთახში ბლომად იყო ცარიელი სკამები.

ნიკომაც არ დააყოვნა, საქმიანი ნაბიჯით გადაჭრა ოთახი და საცოლეს აესვეტა:

_ გვანცა, გამაცანი ბიძაშენი.

_ ვინ... ააა... ჰო... _ გვანცა დაიბნა. _ ეს ჩემი საქმროა, ნიკო. ეს კი... ბებიაჩემის უფროსი შვილია.

ნიკო გულზე გასკდა. რას ნიშნავს _ `ბებიაჩემის უფროსი შვილი!~ ნუთუ გაუგებარია, რომ ნიკომ `ბიძა~ სპეციალურად ახსენა, რათა ხაზი გაესვა ილიას და გვანცას ახლო ნათესაური კავშირისთვის. მოუწევს პატარა პიარ-ლექციის ჩატარება მომავალი ცოლისთვის.

_ დახმარება ხომ არ გინდათ? _ ხმადაბლა იკითხა ილიამ.

_ არა. _ გვანცამ ისე კატეგორიულად გააქნია თავი, თმაც კი აუფრიალდა, როგორც ორპირში.

ილიამ ჭურში აიხედა და გაჩუმდა.

ნიკო გვანცას მიუჯდა. თუ რამეა, მუჯლუგუნს გაჰკრავს, თორემ ეს გორდებიანები ამაყად იტყვიან უარს ყოველგვარ დახმარებაზე, თვითონ კი ვალებში დაიხრჩობიან. ფაქტია, რომ ბადრი გორდებიანის ფიზიკოსის ხელფასი ვერ გასწვდება ქელების,

ქორწილისა და მზითვის ხარჯებს. პრინციპში, მზითვზე შეიძლება არც მოიკლან თავი, გვანცა დედისერთაა, ისედაც ყველაფერი მას დარჩება. ანუ ნიკოს და მის მომავალ შვილებს.

_ ბატონო ილია...

ნიკომ ყური ცქვიტა. იქნებ საცოლვე გონს მოეგო და ქელებში დაპატიჟებს პატივცემულ ნათესავს?

_ ...ხომ არ გინდათ, მარტო დაგტოვოთ? _ გვანცამ კუბოზე ანიშნა.

_ არა. _ არანაკლები კატეგორიულობით მიუგო ილიამ. მერე უცებ წამოდგა, საზოგადოებას თავი დაუკრა და უკანმოუხედავად გავიდა ოთახიდან.

გასვლით გავიდა, მაგრამ საკუთარ თავს ვერსად გაექცა. როგორც კი თავის დიდსა და უკაცრიელ სახლში შეაბიჯა, ილიას შური მოეძალა. დიახ, მას შეშურდა ადამიანების, რომლებსაც სახლში მიცვალებული უსვენიათ. თურმე ესეც ერთგვარი შეღავათია _ გყავდეს საკუთარი მიცვალებული. ილიას ცხოვრება ისე აენწყო, ერთადერთი შვილის საფლავიც არ იცის. განა ილიას არ უნდოდა ეცხოვრა ჩვეულებრივი მოკვდავის ჩვეულებრივი ცხოვრებით, საშილაფლავე ბრინჯის ავ-კარგიანობაზე ემსჯელა, რძალი შემოეყვანა ოჯახში, შვილიშვილებს მოსწრებოდა... უნდოდა, მაგრამ ეგონა ეს ყველაფერი მისი ძალისხმევის გარეშე მოგვარდებოდა, თავისთავად. რატომღაც თვლიდა, რომ დიახაც ეკუთვნის. რითია სხვაზე ნაკლები? ცოლიც ჰყავს და მემკვიდრეც ეზრდება. სხვათა შორის, ფეშენებელურ სახლში ეზრდება და არა ჩრდილო ოსეთის მიყრუებულ გარნიზონში. მაშინ ილია ვერ ხვდებოდა, რომ სახლი ცოცხალი ორგანიზმია, რომელსაც სიყვარული ასაზრდოვებს და არა ვიტრინებში გამოჭიმული ანტიკვარიატი, რომლებსაც პირველყოფილი სიხარბით ყიდულობდა ცხონებული დარეჯანი.

ილიას არ უყვარდა ცოლი. არც მაშინ, როცა მოიყვანა, არც მერე, როდესაც შვილი გაუჩინა. რატომ მოიყვანა? იმიტომ, რომ მონა სჭირდებოდა გვერდით და არა მე-უღლე. მამის გამოცდილებამ დააკომპლექსა, ნებისმიერ ლამაზსა და თვითმყოფად ქალში დედამისს ხედავდა, რომელსაც შესაძლოა მიეტოვებინა. საბრალო დარეჯანი არათუ მიტოვებას, ქმრისთვის სიტყვის შებრუნებას ვერ გაბედავდა. რალაცნაირი ძრწოლანარევი სიყვარულით უყვარდა,

თითქოს ქმარი კი არა, ცოცხალი კერპი დაუდიოდა სახლში. ესეც იფერებდა, სულელი. თვითკმაყოფილი ირონიით მიირხეოდა სამსახურში, საკუთარი არარაობის შეგრძნებით დათრგუნული დარეჯანი კი სამზარეულოში შერბოდა და ჭამდა, ჭამდა, ჭამდა..... ბოლოს ისე დამგვალდა და დაუშნოვდა, ილიას მისი ხალხში გამოჩენა ესირცხვილებოდა. თურმე მთავარი სირცხვილი წინ ელოდა. სირცხვილი და ტკივილი...

ის, რომ მისი ერთადერთი შვილი ნარკომანი იყო, მან რამდენიმე წლის წინ გაიგო. აფორიაქდა, აღელდა და... და ცხოვრებაში პირველად, დაიბნა. შეგონება და დატუქსვა რომ ვერ მოიყვანს აზრბზეს ნამალზე შემჭდარ შვილს, ილიამ დანამდვილებით იცოდა. გაიკითხ-გამოიკითხა და მკურნალობის უახლეს მეთოდს მიაგნო: თავის ქალაში ნემსით შეჰყავთ თხევადი აზოტი და წამლის მოხმარებასთან დაკავშირებულ მახსოვრობის მონაკვეთს სამუდამოდ ყინავენ. ერთი თუმცა _ პატარა ცდომილება და პაციენტმა შეიძლება სამუდამოდ დაკარგოს ყნოსვისა ან გემოვნების შეგრძნება. რისკი დიდი იყო, მაგრამ ილია სხვა გზას ვერ ხედავდა _ ნარკომან შვილს მკვდარი ერჩია. ასე არ ფიქრობდა ლაშა. მან სასტიკი უარი განაცხადა ნებისმიერ მკურნალობაზე. იჩხუბეს. ილიამ დაფინანსება შეუწყვიტა, იმ იმედით, რომ ლაშა გონს მოეგებოდა და მკურნალობაზე დათანხმდებოდა. სამი თვეც არ იყო გასული ამ ლაპარაკიდან, როდესაც ილიას ლაშას მიერ პანკისის ხეობის დალაშქვრაზე მოუვიდა ცხელ-ცხელი ამბები. ის, რომ ხეობის მიუვალ მთებში ჰეროინის გადასამუშავებელი კუსტარული საწარმოებია, ილიამ იცოდა, მაგრამ ორი გენერლის ერთადერთი შთამომავალი თუ ნარკოკურიერად ჩამოყალიბდებოდა, მისთვის შოკისმომგვრელი სიახლე გამოდგა. შვილის ვოიაჟების შესახებ მხოლოდ კოლეგების ვინრო წრემ იცოდა. `ვინრო წრეს~ ჰყავდა ოჯახები, ჭორიკანა ცოლები, ცნობისმოყვარე მეზობლები... და ვიდრე ეს სამარცხვინო ამბავი ეპიდემიასავით მოედებოდა ქალაქს და პრესაშიც გაჟონავდა, ილიამ ბოლოჯერ სცადა შვილთან დალაპარაკება. კიდევ ერთი უარი მიიღო და სახლიდან გააგდო.

ერთ თვეში ვიდეოკასეტა შემოუგდეს, სადაც ნაცემი, თავპირდასისხლიანებული ლაშა გამოსასყიდს ითხოვდა. გამოსასყიდსაც გააჩნია _ ნახევარი მილიონი. კვალი პანკისში მიდიოდა. პირველ კასეტას მეორე მოჰყვა, მესამეც. სამივე მსგავსი შინაარსის. `ერთი ლარსაც არ გადავიხდი.~ _ შეუთვალა ილიამ. მეოთხე კასეტაზე ლაშა მკვდარი იყო. ტყის პირას, კუნძის ძირში

ეგდო მისი დასახიჩრებული გვამი. იქვე, სიგარეტის კოლოფი, სიკვდილის წინ თუ მოაწვეინეს. გადაღელილ მკერდზე ნათლობის ჯვარი უბრწყინავდა. `დასაფლავების ხარჯს ჩვენ ვკისრულობთ... მამი...~, _ კადრს უკან ჩაიხითხითა ვილაცამ.

მას შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ილია ავადსახსენებელ კასეტებს არ მიჰკარებია, დღეს კი მოუნდა. ცოცხლად მოუნდა შვილის დანახვა _ ნანამების, გაუბედურებულის, მავედრებელის, მაგრამ ჯერ კიდევ ცოცხალის...

კაბინეტში განმარტოვდა. საწერი მაგიდის უჯრა გამოალო და სახტად დარჩა. კასეტები ადგილზე არ იყო.

გვანცას ნამიანი ტილო ეჭირა და მირანდა ბებიას ყოფილი საძინებელი წესრიგში მოჰყავდა. ეს ოთახი გაცილებით მზიანი და ნათელი იყო, ვიდრე ვაგონივით წაგრძელებული ოთახი, სადაც აქამდე ეძინა. დალაგება-დასუფთავების პროცედურას თვალს ადევნებდნენ: საქმრო ნიკო და მეჯვარეები: ირინა და თათია.

_ ხომ არ მოგეხმარო? _ ყასიდად ჰკითხა ირინამ.

_ არა, ეს წიგნის კარადალა დარჩა... თუ გინდა, ძველი ჟურნალები მოხიკე და პარკში ჩაყარე.

_ რაში სჭირდებოდა მირანდას ეს ვადაგასული პრესა, ჰა?

_ არ იცი მოხუცების ამბავი, ვერ იმეტებდა გადასაგდებად, რაღაც რეცეპტებს ინიშნავდა, სამკურნალო მცენარეები აინტერესებდა...

_ უყურე შენ, აბრეშუმის ჭიას ექვსი წყვილი თვალი ჰქონია. იცოდით? _ ირინა გადასაგდებად გამზადებულ ჟურნალს ჩაუღმავდა. _ და ოთხი ათასი კუნთი!

_ სხვათა შორის, აბრეშუმის ჭია ერთადერთი მოშინაურებული მწერი. _ აღნიშნა თათიამ.

_ რას ერჩით ბებიაჩემს, თურმე საინტერესო რამეებს კითხულობდა. _ გაიცინა გვანცამ.

_ იქნებ არ ღირს გადაგდება, მზითევში წაიღებ. _ გაიშაყირა თათიამ და ნიკოს თვალი ჩაუკრა.

_ გმადლობ, არ გვინდა. _ ნიკომ დიდსულოვნად დაუკრა თავი და სკამზე ასულ გვანცას ქვევიდან ახედა. _ მე ისიც არ ვიცი, რას გადაჰყევა ამ ოთახს, ორ კვირაში მაინც ჩემთან უნდა გადმობარგდეს.

_ რა ვიცი, გენაცვალე, წესით ხვალ ქორწილში უნდა გვეგრილა და... _ ამოიოხრა ირინამ.

_ რა ჩემი ბრალია, ბებიამისმა თუ ჩვენ ქორწილს დაუმიზნა?

_ არ გრცხვენია?

_ სხვათა შორის, დღეს ჩემი ძმა ჩამოდის, თავისი ჭკუით, ქორწილში. თქვენ კიდევ სირცხვილზე მელაპარაკებით.

_ უი, _ შენუხდა გვანცა. _ არ უთხარით, რომ ქორწილი გადაიდო?

_ არა. ბილეთები უკვე აღებული ჰქონდა, შვებულება გაფორმებული... პარიზიდან ჩამოდის, თერჯოლიდან ხომ არა?! მამაჩემმა თქვა, ახლა თუ გადადო ჩამოსვლა, მერე მაგას ვეღარ ჩამოიტყუებო და აღარ ჩავაყენეთ საქმის კურსში.

_ უხერხული არ არის?

_ არა, რატომ, ისე გაგაცნობ, ოჯახურ ვითარებაში, ასე ვთქვათ. თუ დროში არ არის გაჭედილი, ქორწილამდეც დაიცდის. თუმცა დიდად არ უყვარს ცერემონიები. მამაჩემს არ გაუტეხა ხათრი, თორემ აქ ჩამოსვლაზეც ფეხს ითრევდა.

_ აუ, ნიკო, გაგვაცანი რა შენი ძმა! _ შეეხვეწა ირინა.

_ გაგაცნობთ, რა პრობლემაა, მაგრამ მეც ისე ვიცნობ, ლაითად. მამაჩემი ბოლო რამდენიმე წელია რაც ამ კუთხით გააქტიურდა. მას შემდეგ, რაც დიმიტრის დედა დაქვრივდა.

_ ანუ? _ ვერ გაიგო თათიამ.

_ მოკლედ, დიმიტრის მამინაცვალი ზრდიდა, რაზეც მამა იბოღმებოდა.

_ რატომ, ეჭვიანობდა?

_ არც უმაგისობაა, რაც მთავარია, როცა ის ქალი მესამედ გათხოვდა, ორი დღე არ გამოფხიზლებულა.

_ უყვარდა? _ დაინტერესდა გვანცა.

_ არა, რომ ყვარებოდა, არ გაშორდებოდა. ჩვეულებრივი მამაკაცური ეგოიზმია.

_ მოიცა, ნიკო, ის ქალი, დიმიტრის დედა, მესამედ გათხოვდა?
_ გულზე გასკდა თათია.

_ ხო, ფრანგს გაჰყვა ცოლად.

_ აი, ქალი ვარო, მაგან უნდა თქვას! ზოგიერთი ერთხელაც ვერ გათხოვილა, ეს კი მესამედ, თანაც ფრანგს...

_ ფრანგს, თორემ ალენ დელონს გაჰყვა! _ ჩაიციხა ნიკომ. _
პენსიონერის ცოლია, ყოფილი შტანგისტის.

_ მერე რა? ეს ჩვენთან ასოცირდება პენსიონერი უფულობასა და გაჭირვებასთან, თორემ განვითარებულ ქვეყნებში დადიან, დამოგზაურობენ... აუ, მეც მინდა ფრანგი ქმარი! _ დაინუნუნა ირინამ და თათიას გადახედა. მან დასტურის ნიშნად თავი დაუკრა, ვითომ, არც მე ვიტყოდი უარსო.

_ ესენი დიმიტრის ეზომებიან, ხო იცი, _ გვანცამ შუბლზე ჩამოშლილ თმას სული შეუბერა და ნიკოს მეჯვარეებზე ანიშნა.

_ ოოო... _ პირი დაიმრგვალა ნიკომ.

_ რა, `ო~, ცუდი გოგოები ვართ?

_ არა, საქმე თქვენში არ არის...

_ აბა?

_ რამდენიმე წლის წინ დიმიტრის ფეხმძიმე ცოლი აუფეთქეს მანქანაში. იმიტომაც გადაიხვეწა საფრანგეთში.

_ ვაი! _ ერთხმად შეჰკივლეს გოგოებმა.

გვანცას ხელიდან გაუცურდა ნამიანი ტილო, აღება დააპირა, მაგრამ წონასწორობა დაკარგა და პირდაპირ იატაკზე მოადინა ზღართანი. ნიკო ასაყენებლად მივარდა, გოგოებიც წამოიშალნენ.

_ ნუ გეშინიათ, არაფერი მტკენია. _ გვანცამ მუხლები მოისრისა და მობოშებული ჯინსის შარვალი აიჩაჩა. _ ეს მართალია, ნიკო?... შენს ძმაზე...

_ ჰო, ტრაგიკული ისტორიაა, როგორმე მერე მოგიყვებით, ახლა აეროპორტში მაგვიანდება. _ ნიკომ თავის საფირმო საათს დახედა. საათი სასიმამრომ მიართვა ნიშნობაზე, თავის მხრივ, სასიმაროსაც მიართვეს, მაგრამ ბადრიმ თავისთვის ვერ გაიმეტა ძვირადღირებული საჩუქარი და სასიძოს უსახსოვრა. _ ხომ არ წამოხვალ?

_ ამ ფორმაში?! _ ხელები აასავსავა გვანცამ. _ ვიბანავებ, მოვწესრიგდები და საღამოს დაგირეკავ.

ნიკო წავიდა. გოგონებიც აეკიდნენ _ მეტრომდე.

გვანცამ ძველმანებით სავსე პარკები ბაქანზე გაათრია და სააბაზანოში შევიდა. ის იყო, ონკანი მოუშვა, რომ შამპუნის ცარიელი ბოთლი დაინახა. ასეა, რა... როცა ძალიან გეჩქარება, მაშინ უნდა გამოილიოს შამპუნი, მაშინ უნდა მოკვდეს ბებია, მაშინ უნდა... გვანცამ აღარ დაასრულა (რა მკვრეხელობაა ბებიას და შამპუნის შედარება?!), ტუჩებზე ხელი მიირტყა და დერეფანში გაიჭყიტა.

_ დე, შამპუნი გათავდა!

პასუხად ქოშინი მოესმა. მშობლები სასტუმრო ოთახისკენ, სადაც რამდენიმე დღის წინ მიცვალებული ესვენა, პიანინოს მიათრევდნენ. უფრო სწორედ, ძველ ადგილზე აბრუნებდნენ.

_ დეე!

_ გათავდა და იყიდე. _ შორიდან შეუღრინა ლალიმ. _ მარკეტი ორ ნაბიჯშია, ქუჩის გადაღმა.

_ უკვე გახდილი ვარ...

_ მე კი დაღლილი. _ იყო პასუხი.

_ სად არის სიძე-კაცი, მოგვეხმაროს პატარაზე, ჩამწყდა ჭაჭები! _ ბანი მისცა ბადრიმ და დემონსტაციულად აკრიახდა.

_ წავიდა სიძე-კაცი, ძმას უნდა დახვდეს აეროპორტში. _ გვანცა უკან შებრუნდა, გასარეცხად გადადებული ჯინსი ხელმეორედ

ამოიცვა და კედები დაითრია. _ ნეტავ ვიცოდე, რაში გჭირდებათ ეგ პიანინო? _ მიაძახა პიანინოზე აკრულ მშობლებს.

_ გადავაგდოთ, არა?

_ აბა, რა უნდა ქნათ, არც არავინ უკრავს და ადგილსაც იკავებს, მე შენ გეტყვი, სახლი გვაქვს ისეთი, ცხენი გაჭენდება...

_ ელაპარაკე ახლა ამას, `გადააგდეო!~ _ გამოაჯავრა ბადრიმ.
_ შვილიშვილი არ მეყოლება, თუ იცი? ვაიდა, მომავალ მოცარტს აჩენ!

გვანცამ გაშლილი თმა ხის ჩხირით დაიმაგრა, ქურთუკი შემოიცვა და კიბეებზე დაეშვა.

მოცარტი არა, კვახი! ნაგვიანევად გაეპასუხა მამამისს. საიდან უნდა გაუჩნდეს მას და ნიკოს მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული შვილი, როცა ორივეს, რომ იტყვიან, ბავშვობაში სპილომ დააბიჯა ყურზე. მოცარტის ფენომენი ნაწილობრივ მამამისის დამსახურებაა, რომელიც სულთამხუთავივით ედგა თავზე პატარა ამადეუსს და საათობით დაკვრას აიძულებდა. დღეს სხვა დროა, დღეს შეიძლება რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ დავით გურამიშვილს უჩივლის ბავშვთა უფლების დარღვევაში და სასკოლო სახელმძღვანელოდან მისი მთლიანი შემოქმედება თუ არა, ერთი სტროფი ამოაღებინოს: `ნუ გენაღვლების სწავლაზე ყრმის წკეპლის ცემით კვილი, მალ გამთელდების უნამლოდ მისი წყლულების ტკივილი...~ წკეპლა მეოცე საუკუნის მიწურულს, ნონსესია, თუმცა, საუკუნის დასაწყისში გიმნაზიებში დიდი სიამოვნებით მოიხმარდნენ როზგებს.

ტალახიანმა მანქანამ პირდაპირ ფეხებთან დაამუხრუჭა და გვანცას დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ფიქრები დაუფრთხო. უკანა კარიდან კომუფლაჟიანმა ტიპმა ამოყვინთა:

_ გოგონი, ბულაჩაურის ქუჩას ხომ ვერ მიგვასწავლით?

_ ბულაჩაურის ქუჩას უკვე გამოცდით, _ აუხსნა გვანცამ. _ აქვე უნდა დატრიალდეთ, მერე პირდაპირ და მარცხნივ.

_ ჰა?... ვერ გავიდე, ცუდად ისმის... ცოტა მოინიეთ, რა...

გვანცა ბორდიურიდან ჩამოხტა და საბედისწერო ნაბიჯი გადადგა. თავისით არა, მიეხმარნენ _ ერთი ბიძგი ბურგიდან და ის

მანქანის სალონში აღმოჩნდა, თავით ჩარჭობილი კომუფლაჟიანის ღონიერ ლაჯებში.

_ თქვენის ნებართვით, დანარჩენ უჯრებსაც შევაკლებ თვალს. _
თქვა მიხეილმა.

ილიამ უსიტყვოდ დაუკრა თავი. მიხეილს თუ ჰგონია, მან არ დაჩხრიკა `დანარჩენი უჯრები, ~ ძალიან ცდება, თანაც არა ერთხელ, მაგრამ შეწინააღმდეგების თავი არ ჰქონდა, წელის ტკივილმა ახალი ძალით შემოუტია და ისევ დაუბლოკა ემოციური ფონი.

მიხეილმა `თვალის შეკვლო~, ხელიც მოაფათურა, მაგრამ რაც არ იყო, რას იპოვიდა?

_ ბატონო ილია, ბოლოს როდის ნახეთ კასეტები?

_ არ მახსოვს... რამდენიმე თვის წინ ალბათ.

_ დაზუსტებით არ შეგიძლიათ...

_ არა. ამასწინათ, რაღაც საბუთს ვეძებდი და იქ იდო. რომ არ ყოფილიყო, უსათუოდ შევნიშნავდი.

_ იქნებ შინაურის ალებულია?

_ `შინაურში~ ვის გულისხმობ? დაცვის ბიჭებს თუ სვეტლანას? სხვა აქ არავინ ყოფილა.

_ თუნდაც.

_ გამორიცხულია, გამოცდილი ხალხია, მაგრამ დავუშვათ, დავუშვათ... მოტივი?

_ იქნებ... იქნებ იმ კასეტებში რაიმე ინფორმაცია იყო, რომელიც მაშინ გაეპარათ, ჰა?... _ ივარაუდა მიხეილმა.

_ ვისთვის `რაიმე~ ინფორმაცია, ვისთვის შვილის წამების ამსახველი კადრები. _ ჩაილაპარაკა ილიამ და ხელით გაურკვეველი მოძრაობა გააკეთა. _ ჰო, კარგი, კარგი, განაგრძე, არ მომაქციო ყურადღება.

– ლაშას გატაცება რომ მის საქმიანობასთან იყო კავშირში, ამაზე შევთანხმდეთ.

– `საქმიანობა!~ _ გამოაჯავრა ილიამ. _ არ გინდა ეს ინილობინილო ლაპარაკი, მიხეილ, ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ. ლაშა ვაჭრობდა ნარკოტიკით და თვითონაც წამალზე იჯდა. აი, ესაა სიმართლე!

მიხეილმა თავი დაუკრა და განაგრძო:

– ნებისმიერ შემთხვევაში, კვალი პანკისში მიდის. იქ ძალიან პატრობს ვერ ცნობს, კრიმინალები შეკრულები არიან ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ადგილობრივი ხელისუფლება _ ცენტრალურთან და მიდი-მოვდივარ...

– შენ არა ხარ ცენტრალური ხელისუფლება, მიხეილ? _ დამცინავად ჰკითხა ილიამ.

– მე გრძელი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი ვარ, ამ საქმის ლობისტები უფრო ბევრით ბუდობენ.

– რომც იპოვნონ, ხვალ არ დაატოვებინონ პოსტები...

– თუ პოლიტიკური ნება არ იქნება, არც მოსხნიან. ჩემგან არ გესწავლებათ, ბატონო ილია...

ილიამ არაფერი უპასუხა. ცხადია, არ ესწავლება. გადამდგარი გენერლის პოზიციიდან ადვილია საყვედური, იოლი რომ იყოს სისტემის დანგრევა, თვითონაც გამოაცლიდა ერთ პანანინა აგურს მაინც. ვერ გამოაცალა, სკამს მოუფრთხილდა, ძალაუფლების ჭია ღრღნიდა. ალბათ უბედურება უნდა მომხდარიყო, რომ ობიექტური თვალთ შეეფასებინა ძირგამომპალი სისტემაც და საკუთარი თავიც ამ სისტემაში.

– ლაშა არ აფიშირებდა თავის წარმომავლობას, _ განაგრძო მიხეილმა, _ მაგრამ საქართველო პატარაა, პანკისის ხეობა კიდევ უფრო პატარა, წამალზე მონადირე კი ბევრი... ინფორმაციამ გაჟონა და ის დაამანტაჟეს.

– ის კი არა, მე დამამანტაჟეს. მე!

– მოდი, ასე ვთქვათ. ორივე.

– იმ განსხვავებით, რომ ჩემი შვილი მკვდარია, მე _ ცოცხალი.

– ძაღლის წყალობით, კი. თქვენ რომ იმ დღეს მოეკალით, კასეტების მოპარვის აუცილებლობა არ დადგებოდა დღის წესრიგში. ეს ინციდენტები კავშირშია ერთმანეთთან და ორივე ერთად ლაშას სიკვდილთან. – მიხეილმა ჩაახველა და მზერა აარიდა.

რთულია გულახდილად ელაპარაკო მამას, რომელიც პირდაპირ თუ არა, ირიბად დამნაშავეა შვილის სიკვდილში. ტყუილს ეტყვი – ნდობას დაკარგავ, სიმართლეს ეტყვი – დაგკარგავს. მეორე მხრივ, რა გარანტია იყო, რომ თანხის გადახდის შემთხვევაში ლაშას გამოუშვებდნენ?... მით უფრო, რომ ილიასთვის ლაშა იმაზე ადრე მოკვდა, ვიდრე ფიზიკურად მოკლავდნენ.

უხერხული პაუზა ჩამოწვა.

– ხმა! – მისანივით ჩაიჩურჩულა ილიამ და კისერნაგრძელებული მიაჩერდა მიხეილს. – ხმა, რომელიც დასაფლავების ხარჯებს კისრულობდა. აი, რა `ინფორმაცია~ იმალება იმ დაწყვეტილ კასეტაზე.

– და ის ნაცნობ სუბიექტს ეკუთვნის. – ხელად აიტაცა მიხეილმა.

– ჰო, ასე გამოდის, მაგრამ რომ არ მიმიქცევია ყურადღება?... მაშინ სად მქონდა მიყურადების თავი, ლაშას სიკვდილის მერე კასეტებს არც მივკარებივარ, უჯრაში ეგდო.

– ვინმეზე გაქვთ ეჭვი?

ილიამ თავი გააქნია.

– ისინი არ გაჩერდებიან. სახლი კონტროლზე უნდა ავიყვანოთ, ბატონო ილია.

– ვითომ საჭიროა?

– აუცილებელი. ვასიკოს დავავალებ, გულიანად მიუდგება და არც გააბაზრებს.

– აბა, ვასიკო?

– ვასიკო ცეცხლაძეს, ჩვენს სისტემაში მუშაობს, ყოჩალი ბიჭია, ენერგიული, დაუბარელი. ადრე, ლაშას რომ აიყვანეს, მაგან ჩაფარცხა ეს ამბავი.

– შენი საქმისა, შენ იცი.

გაჩუმდნენ. გარეთ თავდაუზოგავად ჭიკჭიკებდა ჩიტი, გაბაფხულის მოახლოებას თუ ამცნობდათ. ან ცუდი ამბავის მაცნედ ჩამომჯდარიყო ტოტზე, ესენი კი ვერ ხვდებოდნენ.

_ ეს ხე უნდა გაისხიპოს. _ უცებ თქვა მიხეილმა.

ილიამ მზერა გააყოლა. პოლკოვნიკი ფანჯარაში ატუბულ ალვის ხეს უყურებდა.

_ რამე რომ იყოს, თავისუფლად გადმოძვრება კაცი. გისოსებიც არ გაქვთ... რატომ არ გაქვთ გისოსები?

ილიას უნდოდა ეპასუხა, რომ თავის დროზე დარეჯანმა დაიჟინა _ არ მინდა გისოსები, თავი ციხეში მგონიაო, მაგრამ არ დასცალდა. კარზე მოუთმენელად დააკაკუნეს და ოთახში აქოშინებული ბაბა შემოიჭრა.

_ აი, ეს შემოგვიგდეს...

პატარა კასეტის დანახვაზე ილიას დე ჟავუს შეგრძნება დაეუფლა. ეს ყველაფერი უკვე იყო, მაგრამ ლაშა მკვდარია, უბედურ მამას კი აღარაფერი აქვს დასაკარგი საკუთარი ტყავის გარდა.

მიხეილი ბაბას კითხავდა, თან ვიდეომაგნიტოფონში კასეტას ჩრიდა. ილია გაფაციცებული მიაჩერდა განათებულ ეკრანს.

გამოჩნდა გაქექილ ფარდაგზე დანყობილი კედებიანი ფეხები. აშკარად ქალის. კამერა ფეხებს აუყვავა. მოცისფრო ჭინსი, თასმით შეკრული ხელები, შუაზე გაყოფილი ნაბლისფერი თმა, ჩაქინდრული თავი.

ოთახი კომუფლაჟიანმა მამაკაცმა გადაჭრა, ქალს თმაში ხელი ჩაავლო და სახე კამერას მიუშვირა. ილიამ გვანცა გორდებიანის შეშინებული თვალები დაინახა და სიკვდილი ინატრა.

ისინი სამნი იყვნენ, გამტაცებლები _ კომუფლაჟიანი, რომელმაც გვანცა მოტყუებით შეიტყუა მანქანაში, შავსათვალიანი, რომელმაც უკნიდან უბიძგა და ასკეტური მძღოლი, რომელსაც მთელი გზა კრინტი არ დაუძრავს, თუ არ ჩავთვლით ცალყბა

ჩაცინებას, როდესაც უკვე გონს მოსული გვანცა გამტაცებლებს უმტკიცებდა, რომ ადგილი აქვს შეცდომას, რომ ის არ არის ოლიგარქის ქალიშვილი, რომ მისი ოჯახი თვიდან თვემდე ხელოფასზე ცხოვრობს, რომ აქედან გამომდინარე, გამოსასყიდზე ლაპარაკი სრული აბსურდია.

ყაჩაღებს სახელებიც ჰქონდათ და მეტსახელებიც. კომუფლაჟიანს რამაზი ერქვა, შავსათვალიანს _ ტუხა, მძლოლს _ კიბო. ის, რომ მართლა გამოსასყიდის მიღების მიზნით მოიტაცეს, გვანცამ ადგილზე მისვლისთანავე დადასტურდა, _ მიყრუებულ სოფელში, როცა ხელებგაკოჭილი სკამზე დაასკუპეს, ფართხაფურთხით გადაუღეს ვიდეო და ცხვირთან, უფრო სწორედ კამერასთან, მუყაოს ნაგლეჯი აუფრიალეს. მერე სამივემ დატოვა ოთახი, გვანცამ კი იატაკზე დაგდებულ-დატოვებულ მუყაოზე ფლომასტერით დაწერილი ციფრი დაინახა. პირველად ეგონა, რომ ნულების რაოდენობა მოეჩვენა, თვალები მოიფშვნიტა და დამარცვლით დაითვალა. ხუთი იყო. წინაც ერთი ხუთიანი ეწერა, ბოლოში _ დოლარის აღმნიშვნელი ნიშანი. ჯამში 500 000. ანუ ნახევარი მილიონი.

_ გაგიჟდით?! _ დაიყვირა გვანცამ და დაკეტილ კარს მუშტები დაუშინა.

პასუხად მანქანის ბლუილი გაიგონა და კარიდან და გისოსებიან ფანჯარაზე გადაინაცვლა. ფარების შუქზე ორი სილუეტი გაკრთა: სამხედრო ბათინკებში გამონწყობილი მძლოლის და ბოტებიანი კოჭლი მამაკაცის. კოჭლი ქისტი გოგია უნდა ყოფილიყო, ადგილობრივი კრიმინალი, რომლის სახელიც არაერთხელ ახსენეს მანქანაში. გოგია კიბოდ წოდებულ მძლოლს აცილებდა. გამოდის, დანარჩენები სახლში არიან. გვანცა ისევ კართან აიტუბა.

_ ...მუსამაც აბაროტი აუღო, რა... დააძრო ნაგანი და კადირას ესროლა. კრინტის დაძვრა არ აცალა, იმენნა გამეტებით ჩაცხრილა. მაგარი ჟუტკი სანახავი იყო, უცებ კი არ დაეცა სანყალი, იდგა და ძიგძიგებდა, დენში შეერთებულივით. _ მოგუდული ხმა სავარაუდოდ რამაზას ეკუთვნოდა.

_ აუ, დამგრუბე შე ჩემა! _ ამოიხრიალა ტუხამ.

ჰმ, დაიგრუბა ბიჭი, შამპუნის საყიდლად მიმავალი გოგო დიდი ენთუზიაზმით გაიტაცა, ვილაც კადირას მკვლელობამ კი თურმე დაგრუბა.

_ მომიყვითო-და, ჰა, გიყვები! _ შეუღრინა რამაზამ.

_ აკი სპრავედლივიო?

_ ვინ?

_ ვინა და მუსა. სპრავედლივი კი არა, მკვლელი ყოფილა. ქილერი. კაცს სიკვდილის წინ მაინც უნდა მისცე თავის მართლების საშუალება, მოკვლას ყოველთვის მოასწრებ.

_ არა, ძმაო, შენ ახლა რამსები გეშლება... ქილერი _ კიბოა. მიიღო დავალება, აიღო მაყუთი და წავიდა თავის გზაზე. ხო, ნუ მოკერე როჟა, ერთხელ გამაზა, ვის არ მოსვლია, ტო?!... მაგრამ საქმისთვის შეიძლება ეგრე ჯობდა. მუსა კი იდეინია, ალაჰის სახელით საკუთარ დედას გამოჭრის ყელს. თანაც, ჩვენში რო დარჩეს, კადირამ მაყუთი მოუტეხა, მაგას შეარჩენდა? _ რამაზამ ხმას დაუნია, გვაცას კი დაცეცხლა. მაყუთი, ყელის გამოჭრა, ალაჰის სახელი... მსგავსი სიტყვაკამბულობები კინოში თუ მოუსმენია.

_ შენ რას აპირებ?

_ ზეგ ახალი პარტია ჩამოდის ნალჩიკიდან, დავხვდებით. შენც ხომ არ შემოგვიერთდები? თუ რამეა, კადირას ჩაანაცვლებ. გინდა, მუსას დავებაზრები?

_ აკი, აცრილია ნარკომანებზე?!

_ ხოო, ეგ სულ დამავინწყდა. _ დაეთანხმა რამაზი, საიდანაც გვანცამ დაასკვნა, რომ ტუხა ნარკომანია. პრინციპში, რამაზას დასტური რაში სჭირდებოდა, ტუხას მიწისფერი სახის კანი თავისთავად ცხადყოფდა წამალზე დამოკიდებულების ფაქტს.

_ ბიჭო, საზღვარზე რომ გაგსკვანჯონ, არ გეშინია?

_ აი, კაკრას მაგის არ მეშინია. ჩვენი კაცი დაგვხდება საბაჟოზე, რუსი ვიტალა. ისე გამოატარებს ტავარს, მზე მალლა იქნება.

_ რომ ჩაგიშვათ?

_ ბიჭო, მაყუთის გულისთვის ვიტალა ახმედ ხამიდოვს აკოცებს ტრაკზე. არა, გოგია? _ რამაზა შემოსწრებულ მასპინძელს დაეკითხა.

_ აკოცებს, კი. _ უგულოდ დაეთანხმა ის.

_ ახმედა მართალა აქ არის? _ დაინტერესდა ტუხა.

_ კი. მუსა შეხვდა, მაყუთი ჩაახუტა.

გვანცა კბილებით ჩააფრინდა საჩვენებელ თითს, რომ არ ეყვირა. ახმედ ხამიდოვი! ჩეჩენი სეპარატისტების ლიდერი, სისასტიკით განთქმული ტერორისტი, ჩრდილო კავკასიის დე ფაქტო ემირი, კაცი, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით წითელი ცირკულარით იძებნება, სადღაც ახლომახლოს იმალება! რა შუაშია ის, სამედიცინო ინსტიტუტის პათიოსანი სტუდენტი ამ გაუგებრობასთან? იქნებ ორგანოებად უნდა გაყიდონ? სულაც ტრეფიკინგის მსხვერპლია! მაშინ რა შუაშია ის ექვსნიშნიანი ციფრი, რომელიც მუყაოზე მიაწერეს? რატომ უნდა გადაიხადოს სახელწიფომ ვიღაც სტუდენტში ასტრონომიული თანხა, როცა სიტუაციაში გასარკვევად მივლინებული პარლამენტარი ვერ დაუხსნიათ ტყვეობიდან? ამ საკითხთან დაკავშირებით ამასწინათ მამამისი შფოთავდა, ტელევიზორთან იჯდა, ჩაის სვამდა და შფოთავდა. და არა მხოლოდ მამა, შფოთავდნენ სახელწიფო მოხელეები, პოზიცია და ოპოზიცია, არასამთავრობოები და დიპლომატები. გვანცას კი ფეხებზე ეკიდა, ის გათხოვებაზე ფიქრობდა, საქორწინო მოგზაურობაზე, პირველ ღამეზე, რომელიც, ვინ იცის, აღარასოდეს ეღირსება.

ისევ მიაყურადა.

_ ...ამბობენ, კარგ ფორმაშიაო, იემენში მოიშუშა ჭრილობები და ჩამოვიდა _ დიდი გეგმებითა და დიდი ფულებით. _ ახმედას ამბავს ყვებოდა რამაზა.

_ ძმურად, ვინ აფინანსებს? _ ბავშვური მიანიტობით იკითხა ტუხამ.

_ `ელ ისლამიკი~. არის ასეთი ორგანიზაცია, მდიდარი მუსულმანები ჩამოდიან მაყუთს, თვითონ ჩრდილში არიან, შავ საქმეს კი ტერორისტებს აკეთებინებენ.

_ იდეის პონტში?

_ იდეის პონტში მუსასნაირებს აპახავებენ, ადრე ახმედაც ეგეთი იყო, იდეინი. ახლა ფულს გემო გაუგო და პარალელურად კაი

ცხოვრებასაც იფერებს. ერთმა დუბაიში მოწვა, მაგარი ნაშა ჰყავდა აგდებულიო, რუსი. რო კითხო, რუსებს დასანახავად ვერ იტანენ.

_ გასაჟიშად რუს ქალს რა ჯობია, შე ჩემა...

_ კაროჩე, საცა იარალი და ნარკოტიკია, იქ მაგარი მაყუთი იჭრება. ერთი იმისი არ იყოს, თაფლი იყოს და ბუზი ბაღდადიდან მოვაო, არა, გოგია?

_ ნეტაი თქვენ, რა ქალი და ბუზი აგიტყდათ?! მოდი, პური ვჭამოთ, მოშიებულები იქნებით. _ მიიპატიჟა გოგიამ. ის პრაქტიკულად არ ერეოდა ლაპარაკში. შეიძლება ამ ორზე მეტი იცოდა, შეიძლება არ აინტერესებდა. არც ისაა გამორიცხული, შეშინებული ჰყავდათ.

გაისმა სკამების ხრიგინი და ჭურჭლის წკრიალი.

_ გოგოს არაფერი ვაჭამოთ? _ იკითხა გოგიამ.

_ უნდა ვაჭამოთ, მაშ, ეგ გოგო ცოცხალი გვჭირდება, მკვდარში ჩემ ფეხებს გადაიხდის ბიძამისი.

გვანცამ თითზე იკბინა. ბიძამისი! ახლა გასაგებია ვიდეორგოლის ადრესატი. ესენი ილია მერგელიშვილს ამანტაჟებენ, კაცს, რომლისთვისაც გვანცა გორდებიანი არაფერს წარმოადგენს, სრულიად არაფერს! დისშვილი კი არა, საკუთარი დედა დაიკიდა ფეხებზე, უკანასკნელი თხოვნა არ შეუსრულა, საავადმყოფოშიც არ მოინახულა... რომც არ ეკიდოს, რატომ უნდა გადაიხადოს ორჯერ ნანახ გოგოში ნახევარი მილიონი?!

_ რო არ გადაიხადოს, შე ჩემა? _ გვანცას ფიქრებს გამოეხმაურა ტუხა.

_ არ გადაიხდის და რამეში გამოგვადგება, ბოლო-ბოლო პატიმრებში გაიცივლება, როგორც ის დეპუტატი. სამი-ერთზე.

_ ის დეპუტატი იყო...

_ დიდი ამბავი! ქართველი დეპუტატი კი არა, ეუთოს მისიონერი გაიტაცა შარშან ერლანის დაჯგუფებამ და ყურებზე ხახვი ვერ დააჭრეს, შერჩათ. ვიდრე თბილისში სიტუაცია დალაგდება, ყველაფერი შეგვრჩება, მერე ვიკითხოთ, ამერიკელებს თუ შეეკრნენ.

_ მაგრა დაგვენძრევა, არა? _ გული მოუკვდა ტუხას.

_ ჩათვალე, მორჩა გულავი. ჩვენც მოვრჩეთ ბაბარს, კუჭი მიხმება, შემარგე რა... ვა, გუდის ყველი სად ითრიე, გოგია ჩემო?

_ ახმეტაში.

_ აქ არაფერი იშოვება? ცენტრში რომ არ ჩავგრიხინდე...

_ ცენტრში არჩევანი მეტია. იქნებ გოგოს არ მოსწონს გლეხური საჭმელი?

_ ბებიაშისისა!

საკეტში გასაღები გაჩხაკუნდა და გვანცას წინაშე კოჭლი გოგია წარსდგა. ხელში თეფში ეჭირა. თეფშზე _ მოზრდილი ყველის ნაჭერი, ხაჭო და პური. გოგია არ ჰგავდა ყაჩაღს. ის ჰგავდა ჩვეულებრივ გლეხკაცს _ ხმელ-ხმელი, მხრებში მოხრილი, გასაპარსი ყბებითა და წითლად დაფოთლილი ცხვირით. ეცვა მაღალყელიანი ბოტები და გრძელი, განლანული პულოვერი. 50 წლის იქნებოდა, მეტის არა, თუმცა ღრმა ნაოჭებით დაღარული სახე ასაკს მატებდა.

ამასთან დალაპარაკება შეიძლება, დაასკვნა გვანცამ და მორიდებულად გაუღიმა.

_ ჭამე. _ მოკლედ ესროლა გოგიამ და მზერა აარიდა.

_ მიშველეთ. _ დაიხურხულა გვანცამ.

გოგიას სახე წაუხდა, ახლოს ჩამჭდარი თვალები ლამის ცხვირსან მიიტანა, როგორც ელამმა კურდღელმა, მერე თავი გააქნია და კოჭლობით გაემართა კარისკენ.

ის, რომ ქორწილი გადაიდო, დიმიტრიმ ძმისგან გაიგო, იქვე, აეროპორტში, და ძალიანაც არ უდარდია, მისი ჩამოსვლის მთავარი მიზანი ცოლის საფლავის მონახულება იყო და არა ნაციონალური ტაშ-ფანდური. სუფრა მაინც არ ასცდა. მამამ, ბატონმა გურამმა, გადანყვიტა შესაფერისი დახვედრა მოეწყო საფრანგეთში გადახვეწილი შვილისთვის და სახლში სრულიად სანათესაო შეჰყარა. დიმიტრიმ მედგრად გაუძლო სავალდებულო ცერემონიალს

და როგორც კი დრო იხელთა, თავის სახლში მოკურცხლა. შორს აყაყანებული სუფრისგან, სადღეგრძელოების კასკადისგან, შეზარხოშებული ნათესავების კოცნა-ხვევნისგან... მეორე დღეს კი მამამისი დილაუთენია დაადგა თავზე და სენსაციური ამბავი ამცნო _ საპატარძლო გაქრა, ნიკო შოკშია.

_ როგორ თუ გაქრა, გაიპარა?

_ რას ნიშნავს `გაიპარა?~ სად, ვისთან? _ გამოშტერდა უფროსი ძნელაძე.

_ იქნებ გადაიფიქრა მეთქი?

_ თუ გადაიფიქრა, ვერ თქვა? ვინმე-რამეს აძალებდა თუ რაშია საქმე?! არა, არა, გამორიცხულია. გოგო შამპუნის საყიდლად გავიდა სახლიდან, პრაქტიკულად ჩუსტებში...

_ და აღარ დაბრუნებულა.

_ არა.

_ ყავას დალევ?

_ რა დროს ყავაა, ახლა უნდა შენს ძმას გვერდით დგომა!

_ მე რა შემიძლია? _ დიმიტრი კარადიდან ყავის ქილა გადმოიღო და ელექტროჩაიდანს თითი გაჰკრა.

_ შენ ეტყობა სულ გადაჯიშდი იმ საფრანგეთში, ერთი წუთით შედი ნიკოს მდგომარეობაში... _ უსაყვედურა მამამ, მაგრამ დიმიტრის მხერამ ადგილზე გააშეშა.

კაცს, რომელსაც ხუთი წლის წინ ფეხმძიმე ცოლი მანქანაში აუფეთქეს, სხვის მდგომარეობაში შესვლა არ ესწავლება. `გადაჯიშებაზე~ თუმშიდგა საქმე, სწორედაც მამა ბატონი გადაჯიშდა, როცა უფროსი ვაჟის აღზრდა ცოლყოფილის ქმარს გადაულოცა და ვიდრე ეს უკანასკნელი არ გარდაიცვალა, შეიძლება ითქვას, დიდად არ გახსენებია დიმიტრის არსებობა. სწორედ მამობილმა გაუნია ნამდვილი მამობა მის შვილს და არა მან, ბიოლოგიურმა მშობელმა. გურამი თავს იმართლებდა _ ცოლზე განაწყენებული ვარო, ვერ შემეფერა მეფისტოლა კაციო, თვითონ კი გაყრისთანავე მეორე წრეზე წავიდა და შვიდ თვეში ნიკოც მოევლინა ქვეყანას, რაც თავისთავად ცხადყოფდა სხვა ქალის არსებობის ფაქტს მის ორბიტაზე. მიდი და შეიფერე ასეთი მექალთანე.

ასე იყო თუ ისე, დიმიტრიმ ძმას ` გვერდით დგომა~ (უფრო სწორედ, ჯდომა) არ დაამადლა და პათიოსნად მივიდა გორდებთანების სახლში. აქ საპანაშვილო განწყობა სუფევდა, რომელსაც დროდადრო არღვევდა საპატარძლოს დედის სასონარკვეთილი ოხვრა და ნიკოს უმწეო წრიალი. ოჯახის უფროსი, ენის ქვეშ ამოდებული ვალიდოლით, ბოლთას სცემდა ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში. გაირკვა, რომ პოლიციაში შეტანილმა განაცხადმა ვერაფერი შედეგი გამოიღო, დიმიტრის არ იყოს, მათაც ჩათვალეს, რომ გოგონამ შეიძლება სადღაც გაუხვია, მაგრამ ზეგაც თუ არ გამოჩნდა, აი, მაშინ ასწვევენ თავიანთ ღრმადპატივცემულ საჯდომებს და საყოველთაო ძებნას გამოაცხადებენ.

თანაგრძნობის გამოხატვა რომ შველოდეს საქმეს, დიმიტრი საღამომდე იჯდებოდა. საჭირო იყო მოქმედება. ის დერეფანში გავიდა და მობილურში ძალოვანი სტრუქტურის მაღალჩინოსანის, ვასიკო გულედანის ნომერი მოიძია.

_ დიმიტრი იყო, ძნელაძე. _ თქვა ვასიკომ და ოთახში მსხდომით გადახედა.

მიხეილმა ოდნავ დაუკრა თავი, ილია არ განძრეულა. წარმოდგენა არ ჰქონდა ვინ არის დიმიტრი ძნელაძე. არც აინტერესებდა. ერთადერთი, რაც აინტერესებდა, იყო გვანცას ადგილსამყოფელის დადგენა და მისი გამოსხნა. უკიდურეს შემთხვევაში ფულის გადახდაც შეიძლებოდა, მაგრამ ვინ მისცემს გარანტიას, რომ გვანცას ცოცხალს დატოვებენ? 24 საათი გავიდა და ჯერაც არ შეხმთანებთან. ვილაცამ ილიას ნერვებზე თამაში გადანწყვიტა და სანადელს მიაღწია. ცოდვა გამხელილი ჯობსო და, ლაშას ამბავი არ განუცდია ასე... ქვეცნობიერად ყოველთვის იცოდა, რომ მისი შვილი ადრე თუ გვიან ცუდად დაამთავრებდა, მაგრამ ქალიშვილი დედამისის თვალებით არაფერ შუაშია მეგრელიშვილების ოჯახურ ტრაგედიასთან. მისი დანაშაული მხოლოდ იმაშია, რომ მირანდას სიკვდილი ამცნო, ზედაც ის კონვერტი დააყოლა, მოჭრილი კულულით შიგნით. თითქოს უთხრა _ დედას არასოდეს დავინწყებიხარ, აი, საბუთიო. ნებისმიერ შემთხვევაში მას კეთილი მიზანი ამოძრავებდა _ არც თავის

მოწონება უცდია, არც ურთიერთობის გაგრძელების სურვილი გამოუთქვამს. კეთილი ადამიანები იმითაც გამოირჩევიან, რომ სხვაშიც სიკეთეს ხედავენ და არა ანგარებას. ილია კი ჯერ უდებობამ დააკომპლექსა, მერე ფულმა, საერთო ჯამში კი, სიყვარულის დეფიციტმა. იმ ბავშვივით მოუვიდა, საყვარელი სათამაშო რომ წაართვეს და მკაცრად გააფრთხილეს – დაივიწყეო. როგორ დაევიწყებინა, როცა დედასავით არასოდეს-არავინ ყვარებია და არც არასოდეს-არავინ სძულებია?... დავუშვათ, გვანცას მართლაც სიკეთე ამოძრავებდა, აი, ილია რამ ააცუნცრუკა, როცა თავქუდმოგლეჯილი გაიქცა პანაშვიდზე? ვითომ დედის პატივსაცემად? არა, კიდევ ერთხელ უნდოდა გვანცას ნახვა, უფრო სწორედ მისი მეშვეობით წარსულში დაბრუნება, იმ წარსულში, სადაც დედას წინილებიანი ნაჭრის პარკიდან შაქარყინულის კრისტალები ამოჰქონდა. სპეციალურად მისთვის, პატარა ილიკოსთვის. გამოდის, სულ ტყუილად უცხოვრია, სულ ტყუილად გამხდარა `დიდი კაცი, ~ თუკი ერთადერთი ნათელი მოგონება ისევ და ისევ ქალთან იყო დაკავშირებული, რომელმაც მიატოვა.

– გვანცასთან დაკავშირებით დამირეკა, დახმარება მთხოვა. – განაგრძო ვასიკომ.

ილიამ თავი მოაბრუნა და კითხვის ნიშნით სავსე მზერა მიაპყრო.

– გორდებიანების ახლობელი ყოფილა, საფრანგეთიდან ჩამოვიდა ძმის ქორწილში... პატარძალი კი არ დახვდა. ისე, ყოფილი ჟურნალისტია, ძალიან კარგი ბიჭი ძალიან მძიმე წარსულით.

– ტერორისტებმა ფეხმძიმე ცოლი რომ აუფეთქეს მანქანაში, არა? – დააბუსტა მიხეილმა.

– იმ მანქანაში დიმიტრი უნდა ჩამჯდარიყო, ცოლი სრულიად შემთხვევით ჩაჯდა და... მის თვალწინ აფეთქდა. დიმიტრის ჰქონდა კომპრა რამდენიმე მაღალჩინოსანზე, რომლებიც ჯერ კიდევ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს შემჩნეულები იყვნენ მოწინააღმდეგე მხარესთან კუდის ქიცინში. მოკლედ, ამათი გატელევიზიზორება უნდოდა და არ აპატიეს. ბატონებო, მე ვალში ვარ ამ ადამიანის წინაშე, თუ ნებას დამრთავთ, ჩავაყენებ საქმის კურსში. დამერწმუნეთ, სანდო კაცია, ცხელ წერტილებში ნაომარი, ერთ ხელში კამერა, მეორეში ავტომატი...

_ რა ვალში ხარ? _ გაანწყვეტინა ილიამ.

ვასიკო მონყვეტით ჩაჯდა სავარძელში, თავი ჩაქინდრა. მასიურ სავარძელში ჩაფლული გამხდარი, გრუბთმიანი ვასიკო დიდ ხის ძირში ამოსულ აბედა სოკოს ჰგავდა, მწუხარე აპლომბით ფერმკრთალ სახეზე.

_ პირობა მივეცი, რომ უსიკვდილოდ ვიპოვიდი დამნაშავეს, სამწუხაროდ ვერ შევუსრულე.

_ რატომ?

_ შეკვეთილი მკვლელობის გახსნა ჩვენს უწყებას კი არა, ხშირ შემთხვევაში ფბვ - ის არ ხელენიფება.

_ იმ მაღალჩინოსნების ვინაობა ცნობილია?

_ მაკომპრომეტირებელი კასეტა ტერაქტისას განადგურდა. დიდ ფულს სთავაზობდნენ იმ კასეტაში, ხან ვინ მიუგზავნეს, ხან ვინ, მაგრამ დიმიტრიმ არ ჰქნა.

_ რატომ, ფული არ უყვარს?

_ ფული უყვარს, მაგრამ არც იმდენად, რომ საკუთარ პრინციპებს უღალატოს.

_ დაურეკე.

_ ვის? _ ვერ გაიგო ვასიკომ.

_ პრინციპულ კაცს დიმიტრი ძნელადებს. _ ცალყბად ჩაიცინა ილიამ.

_ ჩავაყენო საქმის კურსში?

_ მე თვითონ ჩავაყენებ. აქ, ჩემთან. გადაეცი, რომ მოვიდეს.

გისოსებიანი ფანჯარა მოუვლელ ეზოს გადაჰყურებდა. აქ ყველაფერი ჟანგიანი იყო _ ირიბად გადახრილი ონკანი, ჩაყვითლებული აბაზანა, გველივით დახვეული შლანგი, რკინის ფირფირებით შეკრული დანაოჭებული ღობე... ერთადერთი, რაც

ახალისებდა უღიმღამო პეიზაჟს, იყო მამალი. ის თავმომწონედ დააბიჯებდა თავის მცირერიცხოვან ჰარემში და რატომღაც გვანცას ერჩოდა. დაინახავდა თუ არა გოგიას თანხლებით ჩეჩმისკენ მიმავალს, დაბარებულივით გამოენთებოდა ხოლმე ეზოს ნებისმიერი წერტილიდან, კრიახით აიქნევდა ღონიერ ფრთებს და გვანცას თავზე შესკუპებას ცდილობდა.

– აქმა, შე სამგლე! – ავტომატიან ხელს იქნევდა ქისტი გოგია, – დამეკარგე აქედან, თავი გინდა მამაკვლევიწო?!

თავის მხრივ, გვანცა ცდილობდა რაც შეიძლება დიდხანს შეყოვნებულიყო გარეთ. ღმერთს მადლობა, რომ ჩეჩმა მოშორებით იდგა, დამრეც ფერდობზე. გზაში თავისულად შეეძლო გარემოს დაზვერვა და სათანადო დასკვნების გამოტანა: გოგიას ქვიტკირის სახლი სოფლის განაპირას იდგა, პატარა კორტობზე. აქედან გამომდინარე წივილ-კივილის ატეხვა – არიქა, მეზობლები მომეშველევინო, თავისთავად გამოირიცხა. ეს ერთი. მეორე – დატერასებული ფერდობის მარცხენა კალთაზე მოჩანდა მეჩხერი ტყე და კავკასიონის ქედი. და მესამე – ტრასა. ის არ ჩანდა, მაგრამ ქვევიდან ყრუდ ისმოდა მანქანების გუგუნი და გზიდან ასხლეთილი კენჭების რაკარუკი. შეიძლება არც იყო ტრასა, შეიძლება ჩვეულებრივი სოფლის გზა იყო, სადაც ადგილობრივები დააგრიალეებდნენ თავიანთ მორყეულ ავტოებს. თუმცა, ტრასის არ იყოს, არც ადგილობრივები ჩანდნენ. ან კოჭლი გოგია იყო ცუდი მასპინძელი, ან მის გარდა ამ სოფელში კაციშვილი არ ცხოვრობდა. ტუხა და რამაზა იმ ღამეს გაქრენ და აღარც გამოჩენილან. გვანცას არ გაუგია მათი წასვლა, რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, მკვდარივით დაეძინა. დილით კი მაგიდაზე მოხარშული კვერცხი და შეგრილებული ჩაი დახვდა. შეჭამა, სხვა რა გზა ჰქონდა.

ნაშუადღევს განვიმდა. მამალმა და მისმა ამაღამ ბუჩქებს შეაფარეს თავი, ეზოში კი კიდევ ერთმა სულიერმა შემოაბიჯა – თხამ, რომელსაც უკან სახრით ხელში გოგია მოსდევდა, ჩვეულებრივი ბოტებიან-სანვიმარიანი მწყემსი, გაიფიქრა გვანცამ. აი, თხა კი ბედმინევნით ჰგავდა პათოლოგოანატომიის პროფესორს. ისეთივე თეთრწვერა, ისეთივე მიყურადებული. ეგ არის, ეჟვანი ეკეთა. გოგიამ სახლისკენ გაიხედა და გვანცას თვალებს წააწყდა. შეცბა, წახდა, უდანაშაულო თხას სახრე გადაუჭირა და აგრესიულად მიაბა ღობეზე. თხა წაბარბაცდა, მაგრამ დიდად არ გაუპროტესტებია.

გვანცამ ფანჯარას ზურგი აქცია და გამეტებით დაეხეთქა საწოლზე. გამბარები ჩაიზნიქა და ხანმოკლე ჭრიალის შემდეგ გასწორდა.

ინურებოდა პანკისური ოდისეის მეორე დღე და არავითარი შედეგი. გოგიას წამიერი სისუსტე დიდი ვერაფერი შელავათია. ეტყობა, ილიამ უარი უთხრა გამოსასყიდზე. ან რატომ უნდა გადაეხადა ასტრონომიული თანხა ორჯერ ნანახი გოგოში? ვინ იყო მისთვის გვანცა _ საძულველი დედის საყვარელი შვილიშვილი. მორჩა და გათავდა. სავარაუდოდ, არც გვანცას მშობლებს გაუმხელს ქალიშვილის გატაცების ნამდვილ მიზეზს, და ვერავინ-ვერასოდეს გაიგებს მის ასავალ-დასავალს. ცოცხლად რომ არ დატოვებენ, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. აქ, ამ ფრთქებადსაშიშ რეგიონში ადამიანის სიცოცხლეს ჩალის ფასი აქვს. მუსამ კადირა მოკლა, მერე მუსას მოკლავს ვიღაც, იგივე ახმედა, მერე ახმედას მოკლავენ... ისინი ასე ცხოვრობენ, კრიმინალები, ან ყველაფერი, ან არაფერი. ეტყობა მოსწონთ დანის წვერზე სიარული, ან იძულებულები არიან, როგორც, მაგალითად, მოძველებიჭო ნარკომანი ტუხა. გვანცა იცნობდა ასეთებს, ასფალტზე ჩაცუცქულ უბნის სუბკულტურას. არადა, თავის დროზე უწყინარი ბიჭები იყვნენ, ერთად თამაშობდნენ ებოში. ნიკო ამ ბიჭების ანტიპოდი იყო _ ზრდილი, თავშეკავებული, პერსპექტიული. მოკლედ, `დადებითი~. ალბათ ახლა პოლიციაში იმყოფება გვანცას მშობლებთან ერთად, ჩვენებას აძლევს და თითებს იმტვრევს. ეს არის მაქსიმუმი, რის გაკეთებაც ნიკოს შეუძლია _ ტრაგიკული სახით თითების მტვრევა. ის არ აისხამს აბჯარს, არ შეჯდება თეთრ ცხენზე, არ წავა ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით გულისსწორის მოსაძებნად. იმიტომ, რომ... იმიტომ, რომ არა აქვს შინაგანი მუხტი. ის შეიძლება გახდეს პრეზიდენტი, ბანკირი, მენარე, მაგრამ რაინდი _ არასოდეს!

გვანცამ კედები გაიხადა, საწოლზე მოიკუნტა და შემცივნული ხელები ჯიბეებში ჩაიკურა. რაღაც მოხვდა ხელში _ თმის ჩხირი აღმოჩნდა. გრძელი, წაწვეტებული, ხშირი ხმარების გაპრიალებული. რატომღაც გაუხარდა, დაყნოსა და ისევ შეინახა, ძვირფასი რარიტეტივით. ვინ იცის, როდის ეღირსება მშობლიურ ნივთებთან შეხება. აქაურ თეთრეულს შმორის სუნი დაჰკრავდა, ნახმარი პლედის ბეჭებს სწავდა, მაგრამ მის სიტუაციაში სასაცილო იქნებოდა პრეტენზიის წაყენება, მომაკვდავს ოყნას არ უკეთებენ, თუმცა კბილების გახეხვა არ აწყენდა. საცვალზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია, ოცნებაც არ ღირს.

ამ ფიქრებში ჩაეძინა. სიზმრად წყლით გაპიპინებული აბაზანა ნახა, მთელი თავისი ატრიბუტებით – შამპუნი, პირსახოცი, ნანატრი კბილის ჯაგრისი... გვანცა უყურებდა და თვალებს არ უჯერებდა. ის სახლშია, საკუთარ სახლში! არავითარი გატაცება არ ყოფილა, შამპუნი იყიდა და სახლში დაბრუნდა. მშობლებს უკვე დაებინავებინათ ძველი პიანინო, დედა კარტოფილს წვავდა, მამა ხმამაღლა ლაპარაკობდა ტელეფონზე, ფონად მისდევდა საინფორმაციო გამოშვების გამამხნევებელი მელოდია... ჩვეულებრივი რიგითი საღამო, თავისი ხმებითა და სუნებით, რომელიც ჩუმი ბედნიერების გავსებს, თუმცა იმ მომენტში არც იცი მისი ფასი, შეიძლება ისეთ წვრილმანზე გაღიზიანდე, როგორც შამპუნის ცარიელი ბოთლის აღმოჩენაა.

ცხვირს თამბაქოს სუნი მისწვდა. გორდებიანების სახლში არავინ ენეოდა, საჭაეროს თუ ამოჰყვა, მეზობლებიდან. გვანცამ დაახველა, კვამლი სახეზე აეკრო, ტყლაპივით და სუნთქვა შეუკრა.

– დედა! – დაიყვირა გვანცამ და თვალები ჭყიტა.

არავითარი სახლი, მით უმეტეს აბაზანაში გახვანჩალების პერსპექტივა. ის ისევ იმ ძუნძგლიან სანოლში იწვა, მეტიც, გვერდით რამაზა მიჯდომოდა და ურცხვად აბოლებდა სახეში. ის მარტო არ იყო, მოშორებით ჩაცუცქული ტუხა ჭიანი კბილებით უღიმოდა.

– რა საყვარლად გეძინა?! – შინაურაულად გამოუტყდა რამაზა.

გვანცამ უკმაყოფილოდ შეისწორა ჩამოცურებული პლედის:

– მძინარე ადამიანის ცქერა, რბილად რომ ვთქვათ, უზრდელობაა. აღარაფერს ვამბობ სიგარეტის მოწვევაზე.

– ჩვენ ბოდიში! – გამოაჯავრა რამაზამ.

– არაფრის. – გამომწვევად უპასუხა გვანცამ და სახე მოარიდა. თამბაქოსთან ერთად რამაზა იღლიაში ჩამკვდარი ოფლის სუნად ყარდა.

– უყურე, შენ, რა დიდ გულზეა?! ჩვენ კი ქვეყანა პროდუქტი მოვთრევეთ, გოგოს არაფერი მოაკლდეს თქო, ამან კი, სიგარეტს ნუ მბოლებთო, ესაო, ისაო... ხომ შეიძლება გავზრაბდეთ და ყელი გამოგჭრათ, ჰა? ჩვენ ხომ ბოროტი ბიძიები ვართ!

– ყელგამოჭრილ მძევალში გამოსასყიდს არავინ გადაგიხდით.

– ისე გადაგვიხდის?... ცელკაში? ხა, ხა... – რამაზა გულიანად ახვინხვინდა და ტუხას გადახედა – ვითომ, რა მაგრად ვიხუმრეო, მაგრამ ამ უკანასკნელს არ გასცინებია, ცხვირზე ჩამოცოცებული სათვალის ზევიდან უყურებდა საკუთარი იუმორით აღფრთოვანებულ ძმაკაცს. სხვათა შორის, ცალი თვალით უყურებდა, რადგან მეორე თვალი პრაქტიკულად არ ჰქონდა, თუ არ ჩავთვლით კაპილარებით დასერილ თეთრ სკლერას, რომლის ანატომიური სიშიშველი მიზღნარევი თანაგრძნობას იწვევდა მხოლოდ. უკიდურეს შემთხვევაში, საღ თვალშიც შეიძლება ამოიკითხო გულის ნადები (აკი, თვალები სულის სარკეა), მაგრამ გვანცას `საკითხავად~ არ ეცალა, ოფლიან ზვინად ჩამომჯდარი რამაზა სულს უფორიაქებდა და საომრად განაწყობდა.

– ჩვენში რო დარჩეს, ცელკა ხარ? – რამაზა მოულოდნელად ჩაცხრა და ინტიმური ჩურჩულით გაჩოჩდა ქალიშვილისკენ.

გვანცა სულ ახლოს ხედავდა მის დაელმებულ თვალებს, მოღრეცილ კბილებს ქვედა ყბაზე, ავხორცად ათრთოლებულ ნესტოებს.

– შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

– ვიდრე ბიძაშენი ფულს ჩამოვა, შეგვიძლია გავერთოთ. ძინ-ძინ! – რამაზამ თვალი ჩაუკრა და თეძოებით უხამსი მოძრაობა გააკეთა.

– ოე, ეგეთები არ იყოს! – წამოიყვირა ტუხამ, ძმაკაცს ფეხი გაჰკრა და გაავეებული გავარდა ოთახიდან.

რამაზამ თვალი გააყოლა, გრძლად დაუსტვინა და ისევ გვანცას მიუბრუნდა.

– რას იტყვი?

– რაზე?

– გართობაზე. თუ გაგიშიფრო?... მამაპაპურად.

– არა, არა.

– კაი, არ გაგიშიფრავ. ისე მოსულა? გაუშიფრავად... პირდაპირ საქმეზე რო გადავიდეთ.

– არა-მეთქი.

_ რატომ, არ გევასები? იცი, რა კაი ბიჭი ვარ... განსაკუთრებით წელს ქვევით. ბიოშვილი ვიყო, არ ინანებ. გასახსენებელი მაინც გექნება, დაქალებს მოუყვები, რამე... ჰა?

_ მე საქმრო მყავს. _ რაც შეიძლება რიხიანად უპასუხა გვანცამ, რომ ხმაში გამკრთალი კანკალა ნოტი ჩაეხშო. _ ბიძა კი არ მყავს და არც არასოდეს მყოლია.

_ მაშ, ილია მეგრელიშვილი ვინ ჩემი ტრულიაა?

_ ის კაცი სულ ერთხელ მყავს ნანახი. ისიც პანაშვიდზე. ისიც ხუთი წუთით.

_ იმის თქმა გინდა, რომ კიდიხარ?

_ სამწუხაროდ, ასეა. _ ამოიოხრა გვანცამ და რამაზას თვალი გაუსწორა. _ მომკლავთ?

რამდენიმე წამს უსიტყვოდ უყურებდნენ ერთმანეთს. უცებ, რამაზას გამომეტყველება შეეცვალა, წინ გადმოიხარა, გვანცა ფეხებით დაითრია და თავისკენ გამოქაჩა. გვანცამ გაიბრძოლა, მაგრამ თავბრუსხველამა მამაკაცმა მოახერხა და მთელი ტანით ლაჭებს შუა ჩაეკვება, თან სულმოუთქმელად დაეჭაჭურა ტანსაცმელზე. გვანცა როდის-როდის მიხვდა, რომ სულ ცოტა, უნდა ეკივლა. რაც გააკეთა კიდევ, მაგრამ მოძალადემ გაშლილი ხელისგული პირზე დააფარა, მეორე ხელი ჰინსის სალტეში ჩაუცურა და მრავლისმთქმელი კვნესით ბევიდან დაემხო.

კვილზე ტუხა შემოვარდა, სიტუაცია შეაფასა, გამძვინვარებული სახით მიიჭრა მოძალადესთან და ბეჭებში წიხლი ჩააბილა. რამაზი თავდამსხმელზე გადაერთო. პატარა ოთახში ნამდვილი მუშტი-კრივი გაიმართა _ გინებით, მუქარით, `ნაწლავების დაყრევინების~ პერსპექტივით...

და აქ გვანცამ მოღიავებული კარი დაინახა. რომც ესროლონ, ურჩევნია ადგილზე მოკვდეს, ვიდრე ამ აქოთებულ ცხოველს გააუპატიურებინოს თავი. ტუხას ეტყობა შერჩა რალაც ადამიანური, მაგრამ ეს დამპალი რამაზა ისე აბურთავებს, შეიძლება აქვე გაასხმევინოს ტვინი.

გვანცა შეუმჩნევლად გასრიალდა მომიჯნავე ოთახში. თვალი შეავლო მაგიდაზე დახვავებულ სანოვაგეს და მიხვდა: მისი ტყვეობა

შეიძლება თვეები გაგრძელდეს. ამ ახლა, ან არასოდეს. მთავარია, შესასვლელი კარი დახვდეს ღია.

მოულოდნელად კარი თავისით გაიღო და გვანცამ ფართოდ გალაჯული, ბოტებიანი ფეხები დაინახა. მის წინ იარაღმომართული გოგია იდგა. ავტომატის შავი ლულიდან გვანცას სიკვდილი უყურებდა.

— — —

ბავშვობაში ლალი ოცნებობდა ძმაზე, უფროს ძმაზე, რომელიც ეყვარებოდა, რომელსაც ეყვარებოდა, რომლითაც იამაყებდა... დღეს ის მის წინ იჯდა, უფროსი ძმა, ლალის შეეძლო მისი ხმა მოესმინა, ხელითაც შეხებოდა, მის მხარზე ამოეღრიალა თავს დატეხილი უბედურება, მაგრამ ვერ ახერხებდა. უცხო იყო. მით უფრო, ახლა, როცა მისი ერთადერთი ქალიშვილის გატაცება პირდაპირ კავშირში აღმოჩნდა ამ ადამიანთან. ნიკოს ძმას რომ არ ეყოჩაღა, ეს შეხვედრაც არ შედგებოდა, ღმერთმა გამოუგზავნა ის დალოცვილი...

— ცხოვრებაში ერთადერთხელ მოვიქეცი წინდაუხედავად და აი, შედეგი. — თავს იმართლებდა ილია.

— რას გულისხმობთ?

— მირანდას პანაშვიდზე მოსვლას. სწორედ მაშინ გამშიფრეს.

— ვინ?

— ეგ რომ ვიცოდე... ეგ რომ ვიცოდე, მიწილამ ამოვიღებდი, მაგრამ პირობას გაძლევ, გავიგებ.

— ეს უკვე თქვენი პრობლემაა, მე ჩემი შვილის დაბრუნება მინდა, მეტი არაფერი. ბატონო ილია, მე არავინ მყავს გვანცას გარდა.

— არც მე. — ჩაილაპარაკა ილიამ.

ლალიმ დაბნეულად აახამხამა წამწამები. ნუთუ მისი ქალიშვილი სხვისთვისაც რაღაცას წარმოადგენს? იქნებ ილია სულაც არ არის `უცხო~, ხოლო მისი ასკეტური ნიღბის მიღმა სულ სხვა

ადამიანი იმალება _ დედისგან უარყოფილი ბიჭი, ცოლისგან დაუნებელი ქმარი, შვილისგან მოტყუებული მამა...

_ გიკვირთ, არა? _ ილიამ ნერვიულად ჩაიციხა. _ მეც მიკვირს, მაგრამ ასე გამოვიდა. ჩემდაუნებურად. სწორედ გათვალეს იმ არაკაცებმა. ათიანში მოარტყეს.

_ ვინ? _ ისევ იკითხა ლალიმ და იქვე მიხვდა რიტორიკულად დასმული კითხვის უაზრობას.

_ ჩემმა მტრებმა. თუ მტერმა. ვილაცას ხომ ეკუთვნის ეს ბინძური სცენარი?! დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი დაშანტაჟება შეუძლებელია, თურმე ვცდებოდი. გვანცა აღმოჩნდა ის აქილევსის ქუსლი, რომელიც ჩემ წინააღმდეგ გამოიყენეს. და არ შემცდარან. სამწუხაროდ.

_ დიდ თანხას გთხოვენ?

_ თანხის რაოდენობაში არ არის საქმე, უბრალოდ მაქვს საფუძველი არ ვენდო. გვანცას გამოსხნას შემოვლითი გზით შევეცდები.

_ სპეცოპერაციის ჩატარებას აპირებთ? _ ლალის გული გადაუქანდა. წარმოიდგინა ნიღბიანი სპეცრაზმელები, ორმხრივი სროლა, სისხლი, ტელევიზორში გაელვებული შემზარავი კადრები...

_ არა. ჯერ ერთი, არ მაქვს კომპეტენცია, სპეცოპერაციის განხორციელება სპონტანურად არ ხდება, დრო სჭირდება, დრო კი ჩვენს წისქვილზე არ ასხამს წყალს. მეორეც _ ხმაურის ატეხვა მხოლოდ გააფუჭებს საქმეს. ჩემი ხალხი უკვე დგას კვალზე, ასე რომ...

_ კვალზე? _ შეაწყვეტინა ლალიმ. _ მე რატომ არაფერი არ ვიცი?!

_ გვანცას გათავისუფლებამდე არ მინდოდა თქვენი აფორიაქება. თანაც რა პირით უნდა მოვსულიყავი დედასთან, რომლის ქალიშვილი ვილაც ბიძის გამოსობით გაიტაცეს. უხერხულია.

_ რატომ `ვილაც~?... ჩვენ საერთო დედა გვყავდა.

_ არ გვინდა ამაზე...

_ არ იცით სიმართლე და იმიტომ. დედა უდანაშაულოა.

_ დღეს რა მნიშვნელობა აქვს, ვინ არის დამნაშავე?

_ აქვს. მიცვალებულის რეაბილიტაცია ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ცოცხალი ადამიანის. ბატონო ილია, დედას უყვარდით.

_ ილია დამიძახე, კარგი?

ლალიმ მზადყოფნით დაუქნია თავი. გაუცხოების შეგრძნება მეტნაკლებად აილაგმა. მის წინ ახლობელი იჯდა, ღვიძლ ძმასავით მშობლიური არა, მაგრამ არც ისეთი შორეული ამპარტავანი, როგორადაც აქამდე თვლიდა.

_ ჰო, კარგი, მაგრამ პირობა მომეცით, რომ დღეიდან არაფერს დამიძალავთ, მე და ჩემმა ოჯახმა უნდა ვიცოდეთ რა კეთდება გვანცას გამოსახსნელად.

_ დამშვიდდი, ყველაფერი კარგად იქნება. უახლოეს საათებში შვილი დაგიბრუნდება. მენდე. _ დაბეჯითებით თქვა ილიამ.

უახლოეს საათებში~ უშიშროების პოლკოვნიკმა მიხეილ ხვედელიძემ ცუდი ამბავი მოიტანა _ მძევალი გაიქცა.

უკან დარჩა კარებში გახირული კოჭლი გოგია და მისი უსიტყვო _ მოუსვი! და გვანცამაც მოუსვა. უკანმოუხედავად. სამუდამოდ. ნახევარსაათიანი მარათონის შემდეგ ტყის მასივი დაინახა. ის გამამხნეველად შრიალებდა დატერასებული ფერდობის მიღმა, თითქოს თავის წიაღში უხმობდა არაქათგამოცლილ დევნილს.

გვანცამ თვალით გაბომა მანძილი. უნდა მიაღწიოს. ხელით, ფეხით, ხოხვით, ფორთხვით... სულერთია.

ახლა ის ტყეში იჯდა და აკანკანებული ყბების დამორჩილებას ცდილობდა. სირბილისას აკრეფილი ენერგია თანდათან მინავლდა, გაოფლილ ტანზე აკრულმა სამოსმა შრობა დაიწყო, მიწიდან წამოსული სინოტივე შეისრუტა და თანაბრად გადაანანილა მთელ სხეულში. ყოველივეს დაერთო ხეზე შერჩენილი წვიმის წვეთები, რომლებიც ნიავის ყოველ წამობერვაზე შეხმატკბილებულად

მარშირებდა მის საწყალ თავზე და ისედაც სველ თმას გაყინვით ემუქრებოდა.

ქურთუკის ნამოღება რომ მოესწრო, კაპიუშონს დაიმხობდა და ყოველმხრივ შტურმს მეტ-ნაკლებად გაუძლებდა, მაგრამ წუნუნის დრო არ იყო. ახლა გამოსავალზე უნდა ეფიქრა. ტყე დროებითი თავშესაფარია, მდევარი პირველ რიგში ტყეს გაცხრილავს, მერე კი დასახლებულ პუნქტს მიადგება. ორივე ვარიანტი რისკ-ფაქტორს შეიცავს. ერთადერთი გამოსავალი ტრასაზე გასვლა და მანქანის გაჩერებაა. მზის ჩასვლამდე უნდა მოასწროს.

გვანცა გაჭირვებით წამოდგა ფეხზე და სოფლის საწინააღმდეგო მხარეს გაემართა. ირგვლივ ნედლი ფიჭვის სუნი იდგა, ფეხქვეშ ჭყაპუნი გაუდიოდა ნოტიო მიწას. ცოტა ხანში პანორამა შეიცვალა – ფიჭნარს ფართოფოთლოვანი ტყე შეერია, მზე ჩაესვენა, ცა ჩამუქდა, ჩრდილები აილაგმა, ნანატრი ტრასა კი არსად ჩანდა.

უცებ განგაშმა შეიპყრო. ხომ შეიძლება ტყეში გარეული ცხოველი ბინადრობდეს? მაგალითად დათვი – ზამთრგამოვლილი და მშვიერი. დათვმა არა, მაგრამ ხის ტოტზე ციყვმა გაიშლიგინა. ეჰ, ერთი ასეთი ფუმფულა კუდი მისცა! ჩაიფენდა კისერში და გათბებოდა.

გვანცა შედგა. აშკარად გზა აებნა და ტყის სიღრმეში შეტოპა. ხეებიც თითქოს შემჭიდროვდა, სიჩუმე კი ისეთი მეტყველი გახდა, ფოთლის შრიალი ისმოდა. გვანცამ გადაწყვიტა ტრაექტორია შეეცვალა, 45 გრადუსით მიტრიალდა და ფრთხილად დაემკა დამრეც ფერდობზე. წონასწორობის დასაცავად ხელები განზე გაიშვირა, მაგრამ უადგილოდ გაშვერილმა ფესვმა ძველი ნაცნობივით გამოსდო ფეხი და თვალისდახამხამებაში ამოაყირავა. საბრალო გოგონა ლანა-ლუნით გაგორდა დაღმართზე, თან გაიყოლა წინვში არეული ნეშომპალა და პატარა მდელოზე გაივაკა. ტკენით არაფერი ტკენია, მაგრამ ჯინსის შარვალის გაეხა, კედებზე კი იმდენი ტალახი აეკრა, გადაადგილება ჭირდა. გვანცამ კისერი გადააგდო და ცას შეჰყმუვლა. უფრო სწორედ, ხის კენწეროებში გაჩხერილ ცის ნაგლეჯს, რომელიც თვალსა და ხელს შუა მუქდებოდა და ტყიდან გაღწევის პერსპექტივას უქრობდა.

ერთი ამოღრიალება ქვეყანას ერჩია, მაგრამ ხმამაღლა ტირილის ფუფუნებაც რომ არ ჰქონდა?! ბურგში უკვე გრძნობდა

მდევრის ცხელ ამონასუნთქს, მაგრამ საშველი არ ჩანდა. ბავშვობის საყვარელი ზღაპარი გაახსენდა: `ფიფქია და შვიდი ჯუჯა~. უკაცრიელ ტყეში ვერაგულად დატოვებული ფიფქიას წარმოდგენაზე ტანში ჟრუანტელი დაუვლიდა ხოლმე, თუმცა გულის სიღრმეში მის ადგილას ყოფნას ნატრობდა, იმ იმედით, რომ სადაცაა დაინახავს ჯუჯების სახლში გამკრთალ სინათლეს, წინ კი უფლისწულთან შეხვედრის ბედნიერება ელის.

უცებ მართლა დაინახა სინათლე _ სიბნელეში აბრდღვიალებული ორი თვალი. საშინელების მოლოდინში გვანცა ადგილზე გაიყინა. თვალები მაშინვე ჩაქრა, მაგრამ ერთნუთიანი ინტერვალის შემდეგ ისევ გამოჩნდა, გაცილებით დიდი მასშტაბით. იმავე წამს ყურს ძრავის ხმა მისწვდა, ჯერ დახშული, მერე შედარებით მკაფიო. ფარები! ე. ი. რამდენიმე მეტრში გზაა, სადაც მანქანები მოძრაობენ, მანქანებში ადამიანები სხედან, ცოცხალი ადამიანები და არა მშვიერი დათვები!

გვანცა ადგილს მოწყდა და ციმციმა სინათლის მიმართულებით გაიქცა.

ტყე მოულოდნელად დამთავრდა და გზაც გამოჩნდა, უფრო სწორედ მოხრეშილი ზიგზაგი, რომელზეც მოგრიხინებდა სატვირთო მანქანა. ის კეთილი ურჩხულივით აბრიალებდა მრგვალ თვალებს, საბარგულზე გადაჭიმულ ტენტს იალქანივით აფრიალებდა, გზის განაპირას დაყრილ ქვებს ისხლეტდა... გვანცას დიდხანს არ უფიქრია, გორაკიდან ისკუპა და ფეხბურთის გულშემატკივარით ააქნია ხელები. მძლოლმა შენიშნა ფარების შუქზე ახტუნავებული ქალიშვილი, საჭე მარცხნივ აიღო და მკვეთრად დაამუხრუჭა.

გვანცა აქოშინებული მიიჭრა მანქანასთან. იქ სამი გაოგნებული მამაკაცი დახვდა.

_ უკაცრავად, ახმეტაში ხომ არ მიდიხართ?

_ მერე რა, რო მივდივართ? _ კითხვა შეუბრუნა მძლოლმა, ახალგაზრდა მამაკაცმა საზამთროს კურკასავით წვრილი თვალებით.

_ შეიძლება დაგემგზავროთ? _ გვანცამ თხოვნის ნიშნად გულზე მიიღო გადაჯვარედინებული ხელები.

საზამთროს კურკამ~ დანარჩენებს გახედა. შავწვერა მამაკაცი მუქუფრული იერსახით მხრების აჩეჩვით შემოიფარგლა. ჟღალთმიანმაც მიბაძა.

_ აქ რო ადგილი არაა?... კუბავოში ჩაჯდები, გოგო?

_ კი, როგორ არა! _ გაუხარდა გვანცას. `კუბავოში~ კი არა, კუბოში ჩანვება, ოღონდ რაც შეიძლება მალე გაეცალოს აქაურობას.

_ დავაი, აძვერი! _ ნება დართო `კურკამ~ და ცერა თითი საბარგულისკენ მიმართა.

_ ფული რომ არ მაქვს?

_ ეგ ისედაც გეტყობა. ჰო, კაი. დაუჩქარე, დაუჩქარე...

გვანცამ სატვირთო მანქანას შემოუარა და ხელმისაჭიდის ძებნაში თვალეზი გააცეცა. უზარმაზარ საბურავზე ფეხი შედგა, გათოშილი ხელებით ტალახიან ძარას ჩაებლაუჭება, ტანი მოიქნია, მაგრამ ძალა არ ეყო და უმწეოდ დაეკიდა ჰაერში. მოულოდნელად უხილავმა ხელმა აიტაცა და პირდაპირ საბარგულის სიღრმისკენ უბიძგა. გვანცა გრუხუნით გადაგორდა, მაგრამ უმაღლ ნამოხტა და ბევიდან ჩამოიხედა. ღორღიან გზაზე კურკისტვალეზა მძლოლი იდგა და შინაურულად უღიმოდა.

_ ახმეტაში ვისთან მიხვალ, გო?

_ დიახ, ბიძასთან, _ იცრუა გვანცამ. _ პოლიციაში მუშაობს. _ დაამატა მეტი დამაჯერებლობისთვის.

_ ჰოდა, პირდაპირ ბიძასთან მიგაბრძანებთ.

_ პოლიციაში?

_ საცა გვეტყვი, იქ ჩამოგსვამთ.

_ დიდად დამავალებთ.

_ აბა, შენ იცი! _ ხელი აუწია მძლოლმა და სიბნელეში გაუჩინარდა.

მანქანა დაიძრა. `ხომ არ გადავხტე,~ გონებაში გაუელვა გვანცას და კისერნაგრძელებული მიაჩერდა გზას. ადგილი, სადაც წელან მანქანა იდგა, თანდათან პატარავდებოდა, ტყის ზოლი კი მთელ პერიმეტრზე გრძელდებოდა და თითქოს დასასრული არ

უჩანდა. ცივმა ქარმა შხუილით დაუარა თმებში და თვალები აუნვა. გვანცამ თავი შემოყო. არა, არ ღირს გადახტომა. ან დაილენება, ან ტყეში გაიყინება. სახეზე ჩამოისვა ხელები. შუბლი და ლოყები უხურდა, ცხვირი კი გაყინული ჰქონდა. მანქანის სიღრმეში გადაინაცვლა. იქ ნაკლებად უბერავს, ტემპერატურულ დისბალანსსაც აღიდგენს და აფუთფუთებულ ამრებსაც დააღაგებს. უცებ რაღაც მოედო ფეხებში, რაღაც თბილი და ცოცხალი. გვანცამ წონასწორობა დაკარგა და ოთხზე მოჯდა. სადღაც ახლო, პირდაპირ სახესთან ვიღაც სუნთქავდა.

_ ააა... _ აღმოხდა შიშით შეკუმშული ყელიდან.

_ ბეეე... _ ბანი მისცა თბილმა და ცოცხალმა.

ცხვარი იყო. გვანცაზე არანაკლებ შემინებული და დამფრთხალი.

`ვაი, დედიკო, ~ _ დაიკვნესა გვანცამ და უკანა სვლით გაიჩინა მოპირდაპირე კუთხისკენ, იმ იმედით, რომ იქ მაინც აღმოჩნდებოდა თავისუფალი ადგილი. იქ, `ადგილზე~ მეტი აღმოჩნდა _ მილიციელის ტყაპუჭი! თანაც ერთი კი არა, სამი! სამხრეების გარეშე, ბენჯის სარჩულით, დიდყურა საყელოთი, უსაშველოდ სუნიანი და უსაშველოდ თბილი. გვანცამ ერთ ტყაპუჭი ძირს დააფინა და ბევიდან დააჯდა, მეორე მხრებზე მოისხა, მესამე კი თავზე დაიხურა. სითბომ მათრობელა ღვინოსავით დაუარა მთელ სხეულში. აჯანყებულ ცხვირში სისხლის მიმოქცევა აღდგა, ფეხის თითებში _ მგრძნობელობა. ცხვარს ეტყობა მობებრდა მართო დგომა და შემოსახლებულ არსებას მიუახლოვდა. გვანცა არ განძრეულა, იჯდა, როგორც კოსმონავტი სკაფანდრში და ხის კენწეროებში გაჩხერილ მთვარეს უყურებდა.

კაბინიდან მოგუდული ხმები ისმოდა. ალბათ ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტზე მეტყველებდნენ, გაიფიქრა გვანცამ. შიგადაშიგ ისმოდა ქართული სიტყვებიც. მერე რა?! უცხოპლანეტელებიც რომ იყვნენ, ფეხებზე ჰკიდია, მთავარია ახმეტამდე ჩააღწიოს, იქიდან კი სახლამდე ერთი ნაბიჯია, უფრო სწორედ ერთი ბარი და სამი სიტყვა: მე ცოცხალი ვარ!

ამის წარმოდგენაზე საშინლად დასცხა. მომენტალურად განთავისუფლდა თავზე დახურული ტყაპუჭიდან და პირველი, რაც დაინახა, იყო გვერდზე ატუბული ცხვარი.

_ ვაი, გცივა, შე საბრალო?

ცხვარი შელაცლაცდა, ცოხნისმაგვარი მოძრაობა გააკეთა და პირიდან ცხელი ოხშივარი ამოუშვა.

_ არა, არ გცივა. ნახე, რა თბილი ქურქი გაცვია. მე რომ მქონდეს ასეთი, კრინტსაც არ დავძრავდი. შენ უბრალოდ გეშინია, გული გიგრძნობს, რომ გასაყიდად მიჰყავხარ...

`თუ დასაკლავად~, გულში გააგრძელა გვანცამ და ისეთმა კანკალმა აიტანა, რომ დაუყოვნებლივ დაიმხო თავზე წელან მოსროლილი ტყაპუჭი. ცოტა ხანში ისევ დასცხა, მერე ისევ შესცივდა. ასე განმეორდა რამდენჯერმე, ვიდრე ძილმა არ გათიშა. არც გაუგია, როდის გადაკვეთეს საზღვარი.

ინტუიციამ არ დააღალატა ილია. დიმიტრი ძნელადე ის კაცი აღმოჩნდა, რომელსაც შეიძლება უპირობოდ ენდო. გაქცეული გვანცას მოსაძებნად სწორედ დიმიტრი უნდა გაემგზავროს და არა შეიარაღებული სპეცრაზმი, როგორც ადრე ვარაუდობდნენ. იდეას მხარი დაუჭირა მიხეილმა და ვასიკომ. პასუხიმგებლობაც ნაკლებია, უსისხლოდ გამოძრომის შანსი _ მეტი. თანაც ილიამ ანგარიშგასაწევი არგუმენტი მოიყვანა _ ხუთი სპეცრაზმელის გადაადგილება გაცილებით სარისკოა, ვიდრე ერთი ინკოგნიტო ჟურნალისტის.

რაც შეეხება დიმიტრის, ის ცოტა არ იყოს გაკვირვებული შეხვდა უცნაური ოლიგარქის შემოთავაზებას, თუმცა უარი არ უთქვამს. რატომაც არა, ძმასაც მოიმაღლიერებს და თუკი ყველაფერი კარგად დამთავრდება სოლიდურ გასამრჯელოსაც ჩაიჯიბავს. სხვა თუ არაფერი, ბანკში ჩადებულ პარიზულ ბინას გამოისყიდის და ცხოვრებაში ფეხს აღარ შედგამს კაზინოში.

ყველას აქვს სუსტი წერტილი. დიმიტრისაც ჰქონდა _ აზარტული თამაშები. საქართველოში ცხოვრებისას ასე თუ ისე თოკავდა თავს, არც ჰქონდა დიდი გასაქანი _ პოკერს თუ ითამაშებდა მეგობრების წრეში, აი, მონტე კარლოში, რომ იტყვიან, ეშმაკი შეუჩნდა და ვიდრე ნულზე არ დაჯდა, კაზინოდან ვერ გამოეცა.

მაგიდაზე გაშლილი კავკასიის რუკა ბავშვობაში წაკითხული სათავდაგასავლო რომანის აურას აფრქვევდა და საგმირო საქმეებისთვის განაწყობდა. გულის სიღრმეში დიმიტრის მობეზრდა პარიზული ცხოვრების ლამაზად შეფუთული რუტინა, არ ტოვებდა შეგრძნება, რომ ფსიქოლოგიურად დაბერდა და სადაცაა საპენსიო ასაკიც მიუკაკუნებს. კაბინოში განავარდებაც შინაგანი პროტესტის ნიშანი უფრო იყო, ვიდრე თამაშით მონამლული კაცის წინდაუხედავი ნაბიჯი. აქ კი, მიუხედავად განუკითხაობისა, ცხოვრება დულს და გადმოდულს, ამ დუღილში შენც იწრთობი და საბოლოო ჯამში როგორი სიმაგრის ფოლადად გამოდნები, მხოლოდ და მხოლოდ შენს მარიფათზეა დამოკიდებული, და არა, თუნდაც ყველაზე კარგ მთავრობაზე.

– აი, ტყე, სადაც გაქცეული ქალიშვილი იმალებოდა. მანძილი გოგიას სახლიდან უახლოესი ტყის მასივამდე არც ისეთი შორია, ასე რომ თვალნათლივ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ მისი გადაადგილების ტრაექტორია. აქვე ნაპოვნია ჯინსის ფრაგმენტი და კედების კვალი. რაც საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ცდომილება პრაქტიკულად ნულია. გადავდივართ შემდეგ პუნქტზე: სამანქანო გზა. – მიხეილ ხვედელიძემ რუკაზე წერტილი მონიშნა და დანარჩენებს გადახედა.

ვასიკომ და დიმიტრიმ დასტურის ნიშნად თავები დაუკრეს. ილია არ განძრეულა, მისი ფიქრები სულ სხვა მიმართულებით მიედინებოდა და სულაც არ იყო ორიენტირებული მომავალ ოპერაციაზე. ილიას არ შორდებოდა დე ჟავუს შეგრძნება: ეს ყველაფერი უკვე იყო, ლაშას გატაცების დღეებში, უბრალოდ მსახიობები შეიცვალა, სცენა კი იგივეა. მაშინ ინფორმაციამ გაჟონა. შემთხვევით თუ განგებ, სხვა საკითხია. ფაქტია, რომ ილიამ შვილი ვერ დაიბრუნა. გამომძაღველების დაკრულზე კი არც მაშინ უცეკვია, არც ახლა აპირებს.

– რა ხალხი დადის ამ გზაზე? – იკითხა დიმიტრიმ.

– ქისტები, ქართველები, ჩეჩნები...

– ეს ვიცი, რა კატეგორიის ხალხია?

– ყველანაირი. ნარკოკურიერები, ყაჩაღები, სამხედროები, პოლიტიკოსები, საერთაშორისო მისიები, ჟურნალისტები, ჯაშუშები,

ჩვეულებრივი გლეხები... არ გამოვრიცხავ, ბემოთ ჩამოსვლილი კატეგორიებიდან ყველაზე უარესს ჩაჯდომოდა მანქანაში.

_ გამოსარკვევიც არაფერია. _ თქვა დიმიტრიმ. _ მოყვარეს რომ ჩაჯდომოდა, აქამდე მოგვანვდენდა ხმას. ნებისმიერ ვარიანტში მტრის ხელშია. ისმის კითხვა: სად? საქართველოს ტერიტორიაზე თუ უფრო შორს?

_ რუსეთის ფედერაციას გულისხმობ?

_ თუკი ჩეჩნეთის ავტონომიური რესპუბლიკა ჯერაც შედის რუსეთის ფედერაციაში, კი. _ დიმიტრიმ თავშეკავებულად გაიღიმა და უცებ ილიას გამჭოლ მზერას წააწყდა. ეს კაცი თითქოს სკანირებას უკეთებდა მის აზრებს. დიმიტრის უხერხულობა არ უგრძვნია. პროფესიის წყალობით ყველანაირ ხალხთან ჰქონდა შეხება _ უმაღლესი ეშელონებიდან დაწყებული რიგითი მოქალაქეებით დამთავრებული.

_ არა, არა, ჩეჩნეთს გამოვრიცხავ, თუმცა თეორიულად ყველაფერია შესაძლებელი. _ ხელები აასავსავა ვასიკომ. _ ისევ იქაურებს თუ ჩაუვარდებოდა ხელში, ვინმე ტუხას და რამაზას, უფრო სწორედ, იქ გადახვეწილ აქაურებს. ქისტი გოგიას ინფორმაციით, სწორედ ამ ორს ბრალდება გვანცას გატაცებაც და ადგილზე მიყვანაც.

_ გოგიას არაფერი ბრალდება? _ დაინტერესდა დიმიტრი.

_ როგორ არ ბრალდება, მაგრამ... _ ვასიკომ მიხეილს გადახედა. იმან თავისი გამოჩენილი უღვაშები ააცმაცუნა და სიტყვა ჩამოართვა:

_ გოგიას დაკავებისგან ამ ეტაპზე თავი შევიკავეთ. ის ერთადერთია, ვინც შეიძლება გაგვიყვანოს გამტაცებლის კვალზე. ამ ეტაპზე ჩვენთან თანამშრომლობაზე დავითანხმეთ, მაგრამ ეშმაკმა უწყის მომავალში რას იზამს. იმავე გოგიამ ხელი შეუწყო გვანცას გაქცევას, რაც თავისთავად გასათვალისწინებელია.

_ ვერ ვხედავ ლოგიკას მის საქციელში. _ თავი გააქნია დიმიტრიმ და ისევ რუკას ჩაუღრმავდა. მისი მზერა ჩრდილოეთისკენ იყო მიმართული.

_ სწორედ ამიტომ უნდა ჩახვიდე პანკისში, გაიცილო, გულახდილ ლაპარაკში გამოიწვიო...

დიმიტრიმ თავი დაუკრა და ფეხზე წამოდგა.

_ ნება მომეცით დაგტოვოთ.

_ საით? _ ვერ მიხვდა მიხეილი.

_ პანკისში. _ ალაღად მიუგო დიმიტრიმ.

_ მოიცა, რაღაც დეტალები დაგვრჩა დასაზუსტებელი...

_ ბატონო მიხეილ, უკვე მესამე საათია დეტალებს ვაზუსტებთ, სინამდვილეში კი ერთსა და იმავეს ვტკეპნით. დრო მიდის, კვალი ცივდება. ეს ის შემთხვევაა, როცა წინასწარ დაგეგმილი სცენარი არ იმუშავებს. ვიმოქმედებ სიტუაციის შესაფერისად. კარგად ვიცი ის ადგილები, ნუ ღელავთ, არ გავიშიფრები.

ყველამ ილიას შეხედა. მას ეკუთვნოდა სეფე სიტყვა.

_ მართო დამტოვეთ დიმიტრისთან.

მიხეილმა და ვასიკომ ერთმანეთს გადახედეს და უსიტყვოდ გაიკრიფენ ოთახიდან. ილიამ დიმიტრის სკამზე ანიშნა.

_ ის, რაც ახლა აქ ითქმის, ჩვენ შორის დარჩება. ვერ გავიმეორებ უწინდელ შეცდომას, ჩემი შვილის გატაცება მაქვს მხედველობაში, ამიტომ თავი უნდა დავიზღვიო. ყველამ უნდა იცოდეს, რომ პანკისში წახვედი, მათ შორის მიხეილმა და ვასიკომ, მაგრამ შენ არ წახვალ პანკისში... _ ილიამ რუკა გამოსწია და საჩვენებელი თითი ჩრდილო ოსეთს დაადო. _ შენ გაემგზავრები ვლადიკავკში. იქ დაგხვდება ჩემი ბავშვობის მეგობარი ვალერა ნოვიკოვი, ის დაგვერავს სიტუაციას და დაგაკვალთანებს. სასაზღვრო გარნიზონის უფროსია, ძალღს და ღორს იცნობს, მათ შორის პანკისის ხეობასთან დაკავშირებულ ჩეჩენ ბოევიკებს. მოგეხსენება, საზღვრის გაყოლებაზე გამალებული ვაჭრობაა _ იარაღი, ნარკოტიკი, ტყვეები... ჩართულია ორივე მხარე, რომ არა ვთქვათ, სამი და ოთხი. ვალერას ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგიძლია დასახო მოქმედების გეგმა. გაქვს შეკითხვა?

_ არა.

_ შეგიძლია წახვიდე.

დიმიტრი კარისკენ გაემართა.

_ დიმიტრი! _ დაუძახა ილიამ.

დიმიტრიმ მოიხედა.

_ ჩემი დისშვილი მე ცოცხალი მჭირდება.

_ ვიცი.

_ მე შენ გენდობი.

_ ვეცდები გავამართლო.

კარი გაბრახუნდა. ილია ხელი ასწია და ჰაერში ჯვარი გამოსახა.

ჩეჩნეთის ავტონომიური რესპუბლიკა _ ასე ერქვა პატარა ტერიტორიულ ერთეულს სადაც გვანცა ბედისწერამ გადაისროლა. რამდენიმე წლის წინ `ერთეულმა~ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რასაც მოჰყვა უფროს ძმად შერაცხული დიდი ტერიტორიული ერთეულის პროტესტი: `დამოუკიდებელი ხარ, მაგრამ ჩემს ფარგლებში~ და მეტი დამაჯერებლობისთვის ტანკები მიაყენა. ქვეყანაში არეულობა დაიწყო, რომელიც ეპიდემიასავით მოედო მებობელ რეგიონებს და ერთ დროს მშვიდი პანკისის ხეობა კრიმინალების გასასვლელ დერეფნად აქცია.

სწორედ ამ კრიმინალების ერთ-ერთმა დაჯგუფებამ გაიტაცა გვანცა, თუმცა იმ ღამეს კურკისტვალა მძღოლსა და მის მგზავრებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ ტყიდან გამოვარდნილ გოგოს ოქროს ფასი აქვს. ისე წამოაყოლეს ხელს, ვინიცობაა რამეში გამოადგეთ. ეს სასიამოვნო ამბავი მოგვანებით გაიგეს, გამოჩნდა ერთგული ხალხი, შეატყობინეს, მაგრამ ძვირფასი ტყვექალის დაბრუნება არც უფიქრიათ. ვინ იყო ვილაც ტუხა და მისი ამფსონები მათ ძლევამოსილ მეთაურთან შედარებით.

სამწუხაროდ, გატაცებულმა ახალი თავსატეხი გაუჩინათ _ ავად გახდა. ფარღალალა სატვირთო მანქანაში ჯაყჯაყმა თუ გააცია.

ოთახი, სადაც გვანცა გაამწესეს, ნოხებით იყო მოფენილი და ჭრელაჭრულა სარკოფაგს ჰგავდა. გოგიას ოთახს ფანჯარა მაინც

ჰქონდა, მართალია გისოსებიანი, მაგრამ იმას მაინც გაიგებდა კაცი _ დღეა თუ ღამე, დარია თუ ავდარი.

გამურული ლამფა ნავთის სუნს აფრქვევდა და ძირშივე ანეიტრალებდა ჭრელაჭრულა მყუდროებას. ძილ-ბურანში მყოფ გვანცას ეჩვენებოდა, რომ სატვირთო მანქანამ დროში იმოგზაურა და მეცხრამეტე საუკუნეებში გატყორცნა. აი, საცაა გაიღება ნოხით შენიღბული უჩინარი კარი და მთის არწივად წოდებული შამილი აღიმართება მთელი თავისი გოროზი დიდებით, მკერდზე გადაფენილ წვერზე თითებს ჩამოისვამს და იკითხავს: `რატომ დამალალატეთ, ქართველნო?~ გვანცას კი პასუხი არ ექნება. რა მისი თავში სატეხია წინაპართა ინტრიგები, ის არც გრიგოლ ორბელიანის შვილია და არც ალექსანდრე რომანოვის შვილთაშვილი.

დუჩინარი კარი მართლაც გაიღო, მაგრამ შამილის ნაცვლად ის პირქუში შავწვერა შემოვიდა, იმ ღამეს მძლოლის გვერდით რომ იჯდა. გვანცამ თვალები მოიფშვნიტა და მიხვდა: დროის მანქანა მისი არეული გონების ნაყოფია.

შავწვერა მიუახლოვდა. მიცვალებულივით მაღალი ცხვირი და კომპისფერი პირისკანი ჰქონდა _ დაავადებული ელენთის სიმპტომატური ნიშანი (სახის ფერის მიხედვით ადამიანის დაავადების გამოცნობა გვანცასთვის ერთგვარი ჰობი იყო, სულაც პროფესიული ინტერესი). ძველი, გაბურძგნული პულოვერი ეცვა _ შავის, თეთრისა და ნაცრისფერის ასიმეტრიული კომბინაცია, მხრებზე კი გვარდიელის ქურთუკი მოესხა.

_ წყალი გინდა? _ ჰკითხა რუსულად.

გვანცამ დაასკვნა: პირქუშმა ქართული არ იცის, იმიტომაც გამოიშტერა თავი იქ, ტყისპირას. მძლოლმა იცოდა ქართული, თუმცა ენის ცოდნას ხელი არ შეუშლია თხასავით გაეყიდა. ნებისმიერ შემთხვევაში, მძლოლიცა და მისი მგზავრებიც თანამზრახველები არიან. ვილაცას ხომ მოუვიდა თავში საბრალო ქალიშვილის ტყვედ აყვანა? იდეის ავტორიც ისეთივე დამნაშავეა, როგორც შემსრულებელი. მაგრამ პირქუშს სინდისიც არ აწუხებს, ისე მოაქვს თავი, თითქოს აქეთ დაუგეს ხაფანგი.

_ წყალი გინდა, მეთქი? _ გაუმეორა.

_ მინდა.

პირქუშმა წყალი თიხის ქოთნიდან ჩამოუსხა და ბუჩქა წარბების
ჩრდილიდან ჩამოხედა:

_ სიცხე გაქვს.

_ ვიცი, მამცივნებს და თავი მტკივა.

თავი მართლა ტკიოდა. არა, უსკდებოდა, როგორც ამბობდა
ხოლმე მირანდა ბებია, როცა წნევა სახიფათო ნიშნულს აღწევდა.
გვანცას უკვირდა _ როგორ უნდა აგტკივდეს თავი ისე, რომ
გასკდომას შეადარო. რა, კვახია?! ახლა კი ეჩვენებოდა, რომ თავი
მართლა გაუსკდა, სული ნაპრალიდან გამოიპარა და სადღაც
ახლომახლო დაფუთფუთებს.

_ რით გიშველო? _ ჰკითხა პირქუშმა.

_ გამიშვი. _ შეეხვენა გვანცა.

_ სად?

_ სახლში, მშობლებთან...

_ შეუძლებელია.

_ რატომ?

_ მამაშენი მდიდარი კაცია. ჩვენს პარტიზანებს კი ფული
სჭირდებათ.

_ გეშლებათ. მამაჩემი არ არის მდიდარი.

_ ჩვენ სხვა ინფორმაცია გვაქვს.

_ შეგიძლიათ გადაამოწმოთ.

პირქუშმა ჩაიციხა და ცარიელი ჭიქა გამოართვა.

_ შეჭამ რამეს?

_ ნწუ.

_ მოკვდები.

_ მერე თქვენ რა?... ჩემს მშობლებს მოვუკვდები, თქვენ ხომ
არა?! _ გვანცას ცრელმი მოერია. მირანდა ბებიას მაგივრად
საკუთარი თავი წარმოიდგინა კუბოში, ძაძვებში გახვეული დედა და
ვერცხლისფერ სინებზე ათიმთიმებული შილაფლაკი. ალბათ

საქორწინო კაბაში გამოპრანჭავენ, ასე საბედისწეროდ რომ შემოეხა იმ დღეს.

_ შენი სიკვდილი აქ არავის სჭირდება, მით უმეტეს, ქართველი ხარ.

_ მართო რუსებს ერჩით?

_ ჰო.

_ ქალებსაც და ბავშვებსაც?

_ ისინი ჩვენს ქალებსა და ბავშვებს ერჩიან. _ პირქუშს ხმაში გაღიზიანება დაეტყო, კარის ღიობში ჩამოკიდებული ფარდაგი გადასწია და უკანმოუხედავად ესროლა: _ კაცი გავაგზავნე ცენტრში, წამლებს ამოგიტანს.

ოთახში წამიერად შემოიჭრა სინათლე და გვანცა მიხვდა _ დღეა. ასევე მიხვდა, რომ პანკისზე არანაკლებ მიუვალ ადგილზეა, თუკი წამალზე ცენტრში აგზავნიან, გამოდის, აფთიაქიც არ არის. ისეთი აპათია მოეძალა, თავისით დაეხუჭა თვალები.

ოთახი-სარკოფაგი მთელი თავისი სიჭრელით ქუთუთოების ქვეშ კონცენტრირდა და ძლივს შემოტყუებულ სულთან ერთად თავბრუდამხვევ ფერხულში დატრიალდა.

დიმიტრის ვერ წარმოედგინა, რომ ილიასნაირ კაცს შეიძლება ჰყავდეს ნამდვილი მეგობარი. დიდი ფული ისეთივე პრობლემმა ადამიანისთვის, როგორც უფულობა. მდიდარი სიცოცხლეს უფრო ადგილად დათმობს, ვიდრე სიმდიდრეს, მაგრამ ეტყობა ბავშვობის მეგობარი სხვა ფენომენია. ვალერი ნოვიკოვს გულწრფელად უყვარდა ილია მეგრელიშვილი, მისი მოგზავნილი კაცი კი ლამისაა ღვთის წყალობად აღიქვა _ სუფრა გაუნყო, გული გადაუშალა, დითირამბებად დაიღვარა... დიმიტრი სულაც არ იყო მომართული რუსეთ-საქართველოს ორსაუკუნოვან მეგობრობაზე სალაპარაკოდ, ერთი სული ჰქონდა დაბვერვის მონაცემები ჩაებარებინა და დროზე გასცლოდა, რომ დამშვიდებულ გულზე დაეგეგმა ხვალინდელი დღე, მაგრამ ვალერა რომ ჩაირთო, აღარ გაჩერდა. რამდენიმე წიქის

შემდეგ კი ისეთი სენტიმენტები მოეძალა, ლამის ცრემლები დააპკურა მოხარშულ კალმახზე, რომელიც ორიოდე საათის წინ მდინარეში სხმარტალებდა, ახლა კი დაჭყეტილი იდო თევზზე და ამაოდ ელოდა როდის აღმოჩნდებოდა საპატიო სტუმრის სტომაქში. დიმიტრი არ იყო თევზეულის მოყვარული, შავად აზიზიზებული ხიზილალისთვის კი ზედაც არ შეუხედავს. ხაბიზგინს მიეძალა და ცალი ყურით უსმენდა მოგონებაში გადავარდნილ რუსს.

_ შენ რატომ არ სვამ? _ შენიშნა ვალერამ და მოძრავი კარტოფილისმაგვარი ცხვირი მოისრისა.

_ ნაბახუსევზე გამიჭირდება ადრე ადგომა.

_ მართალი ხარ, გამიგრძელდა ლაპარაკი, მაგრამ სათქმელი დამიგროვდა და ვერაფრით დავიცალე. არა, გულწრფელად მითხარი, რატომ დავიშალეთ, განა ცუდად ვცხოვრობდით?

_ მე ახლაც არ ვცხოვრობ ცუდად. _ ორაზროვნად უპასუხა დიმიტრიმ.

_ შენ ახალგაზრდა ხარ, აი, მამაშენი კმაყოფილია?

დიმიტრიმ თავისი კუდაბზიკა მამა წარმოიდგინა, რომელსაც სიკვდილი ერჩია დიმიტრის გამოგზავნილ დახმარებას, მაგრამ როცა გაუჭირდა, ბეჯითად გარბოდა ბანკში ანგარიშზე დამჭდარი ფულის გამოსატანად.

_ ძალიან მწყდება გული, ძალიან... _ ვალერამ წუნუნი განაგრძო.

_ ახლა ჩვენ როგორ გწყდება გული აფხაზეთზე... _ ჩაურტყა დიმიტრიმ.

_ იმის ილუზია გაქვთ, რომ ამერიკელები აფხაზეთს დაგიბრუნებენ?

_ მაშინ თქვენ დაგიბრუნეთ.

_ როგორ?

_ როგორც ნაგვართვით, ისე. _ ვერ მოითმინა დიმიტრიმ, თუმცა ენაზე იკბინა.

პოლიტიკურ დისკუსიაში შესვლის დროა ახლა? ვალერასაც ვერ გაამტყუნებ, დაბნეულია კაცი. სისტემა, რომელმაც მისი ფორმირება

მოახდინა, აღარ არსებობდა. ის კი აღმოჩნდა სრულიად ახალ სიტუაციაში უნინდელი ტვინითა და მენტალობით. რომ აღარაფერი ვთქვათ იმპერიულ ამბიციებზე.

ვალერა არ შეიმჩნია, არაყი ჩამოისხა და ბრძნული ფიზიონომიით გახედა გამჭვირვალე სითხეს:

– დაიმახსოვრე, მეგობარო, ილია მეგრელიშვილს ვერანაირი ჯორჯი ვერ შეუცვლის ვალერა ნოვიკოვს. – მერე უცებ გადაჰკრა და ცარიელი ჭიქას გაშლილი ხელისგული გადააფარა, თითქოს ვინმე-რამეს აძალებდა. – კეთილი. – წარმოთქვა სრულიად შეცვლილი ხმით. – ახლა კი საქმეზე გადავიდეთ. მედიცინაში რამე გაგეგება?

— — —

გვანცას მდგომარეობა კრიტიკული იყო. ტემპერატურა მერყეობდა 41 გრადუსიდან 37 გრადუსამდე. ხან ოფლში განურული იღვიძებდა, ხან ძილში ესმოდა საკუთარი კბილების კანკანი. ვერც ცენტრიდან მოტანილმა წამლებმა უშველა, ვერც ლიტრობით დალეულმა წყალმა.

ძილ-ბურანში მამაკაცების სახეები იკვეთებოდა – გამრუდებული ფოკუსებით, ასიმეტრიული ნაკვთებით, დიდი ცხვირებითა და სქელი წარბებით... ისინი გვანცასთვის გაუგებარ ენაზე მეტყველებდნენ, დომინირებდნენ თანხმობენ, ზოგიერთი მჭახე ბგერა ისე ურტყამდა დიაფრაგმაში, რომ ფიზიკურ ტკივილს აყენებდა. ოთახი სავსე იყო მათი სუნით, სუნთქვით, ბუზუნით...

– გაჩუმდით. – სუსტად დაიკვნესა გვანცამ.

უცნაურია, მაგრამ კაცები მომენტალურად ჩაყუჩდნენ და გაფაციცებულები შემჭიდროვდნენ, როგორც ძველ ფოტოსურათებში, თითქოს ობიექტივიდან ჯადოსნური ჩიტის გამოფრენის შესახებ ამცნეს.

– ვითომ იციან ქართული? – გაიფიქრა გვანცამ. დიდი ძალიხმევის ფასად დაწმინდა ტვინში აღმოცენებული დომხალი და ძელსკამზე ჩამომსხდარი მამაკაცები რეალურ სივრცეში დაინახა. ერთი მათგანი ნაცნობი შავწვერა გახლდათ, მეორე – უცნობი შავწვერა მაუდის ნაციონალური ქუდით გადახოტრილ თავზე, მესამე

_ თმაქოჩორა, უწვერო და უღვაშიანი, იმ ორთან შედარებით ფრიად რესპექტაბელურად გამოიყურებოდა და თანაგრძნობით უღიმოდა. საერთო მხოლოდ ასაკი ჰქონდათ _ 35-40 წელი.

_ რა გინდათ ჩემგან? _ იკითხა გვანცამ და მზერა გადახოტრილზე შეაჩერა. ეს კაცი აშკარად სადღაც უნახავს, მაგრამ სად, ვერ გაიხსენა.

_ მუსა, უთხარი რაც გვინდა. _ გადახოტრილმა სულ ერთი წამით დააკვესა შავი, ღრმად ჩამჯდარი თვალები, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა შიშის დასათესად.

`მუსაო... ეს ის მუსაა, კადირა რომ `გამეტებით ჩაცხრილა, ~ ხოტორა სუბიექტი კი ლეგენდარული ახმედ ხამიდივი უნდა იყოს. რესპექტაბელური, სავარაუდოდ, უცხოელია. ნუვორიმ თურქს ჩამოჰგავს. ~ _ დაასკვნა გვანცამ. ეტყობა დიდ სარგებელს ელიან, რაკილა პატივცემულმა გვამებმა ერთი საცოდავი ტყვექალისთვის მოიცალეს.

_ წერილი უნდა დანერო მამაშენთან. _ აუხსნა პირყვითელა მუსამ.

_ დიდი სიამოვნებით.

_ დანერე: ფულს თუ არ გადაიხდის, ყელს გამოგჭრით.

რა მაგარია, როცა მოკლედ და ლაკონურად გატყობინებენ მომავალ პერსპექტივას?! ყელს გამოგჭრი და მორჩა. აბა, ექიმობაა პროფესია? ერთი სიცოცხლე უნდა გაათავო, ვიდრე ავადმყოფს კიბოს დიაგნოზს შეაპარებ.

_ რამდენჯერ უნდა გაგიმეოროთ, მამაჩემი არ არის მდიდარი კაცი. შეიძლება ითქვას, ღარიბია. დღეს ყველა ღარიბია, ვინც ხელფასზე ცხოვრობს.

_ იმის თქმა გინდა, რომ ღარიბმა კაცმა დააფინანსა სპეცოპერაცია, ბლოკ-პოსტებზე თავისი ხალხი ჩანერგა, ქალიშვილის სურათები დაურიგა, ჯილდო დაანესა...

_ თქვენ ალბათ ბიძაჩემს გულისხმობთ. _ გაანყვეტინა გვანცამ.

მუსამ წვერი მოიფხანა და დანარჩენებს გახედა. ნუვორიში გაურკვევლობაში იყო, როგორც ჩანს, ცუდად იცოდა რუსული და ვარაუდით ცდილობდა შინაარსის გამოცნობას. ახმედმა მოძრაობაში

მოიყვანა კუნაპეტივით შავი წარბები, მუსამ სიგნალი მიიღო და ოთახიდან აორთქლდა.

_ ერთი თხოვნა მაქვს... _ მორიდებით დაიწყო გვანცამ.

დადარაჯებული გამომეტყველებით თუ ვიმსჯელებთ, ახმედმა ეტყობა მხოლოდ წარბების ენა იცოდა, მაგრამ გვანცა მუსა არ იყო, წარბების მოძრაობაზე გამოეცნო მისი ფიქრები.

_ თქვი. _ გამოცრა კბილებში.

_ ტანსაცმლის გამოცვლა მინდა, რაც მაცვია, სულ დამისველდა... ასე მართლა მოვკვდები. თქვენ ხომ ცოცხალი გინდათ ჩემი თავი?

ახმედმა ოდნავ დაუკრა თავი და შემოსწრებული მუსას კითხვით სავსე მზერა შეაგება.

_ გადავამონწმე. არ ტყუის. ილია მეგრელიშვილი ამის ბიძაა.

_ არა უშავს, არა უშავს, ძმები რამ გაყო?!

_ ცდებით, _ თავი გამოიღო გვანცამ. _ ილია დედაჩემის ნახევარძმაა, მე ის სულ ახლაახანს გავიცანი, ბებიაჩემის პანაშვიდზე. სპეცოპერაციაში შეიძლება მართლა ჩართულიყო, რაც არ უნდა იყოს ყოფილი გენერალია, მაგრამ იმ თანხას, რასაც თქვენ ითხოვთ, პრაქტიკულად უცნობ დისშვილში არ გადაიხდის. მე ასე მგონია და...

კაცებმა გააცნობიერეს გვანცას ნათქვამი და ხმამაღლა აყაყანდნენ თავიანთ ენაზე, განსაკუთრებით ახმედი ბობოქრობდა _ ხელებს იქნევდა, ნამგალა წვერს აცანცარებდა, ყბებს ათამაშებდა, ჩასისხლიანებულ თვალებს აბრიალებდა... სიმპტომი სახეზეა: ალგზნებადი ფსიქოპათია. პლიუს არტერიული წნევა.

როგორც იქნა, ჩაცხრნენ. ნუვორიშმა თურქმა მუსას რაღაც გადაულაპარაკა და გვანცაზე ანიშნა. მუსამ უკმაყოფილოდ შეკრა წარბები, ერთხანს ძეგლივით იდგა, მერე გრძელი ნაბიჯით გაუჩინარდა მოფარდაგებულ კარში.

გვანცამ გაკვირვება ვერ მოასწრო, რომ მუსა უკან შემობრუნდა. ხელში ეჭირა პარკი, რომელიც უხეშად დააგდო გვანცას საწოლზე, თვითონ კი დოინჯშემოყრილი შედგა:

_ ამაზე უკეთესი აქ ვერაფერი ვიპოვნე, ნახე, იქნებ გამოგადგეს.

პარკში მამაკაცის ტრიკოტაჟის პიჟამა აღმოჩნდა, ე.წ. კალსონები _ მაკარონივით გრძელი საცვალი მაისურითურთ. ცხადია, ზომაში მოიკოჭლებდა _ სად გვანცა, სად საშუალოზე მაღალი, მხარბეჭიანი მუსა! სამაგიეროდ უხმარი იყო, რასაც მოწმობდა შავ ბირკაზე დატანებული ჩინური იეროგლიფები.

_ გადით თუ შეიძლება, უნდა გამოვიცვალო.

_ გამოიცვალე, შენს ძვლებს აქ არავინ დახარბდება, მუსულმანებს არ უყვარს გამხდარი ქალები. არა, ჯაფარ? _ ცალყბად ჩაიცინა მუსამ, მაგრამ დაემორჩილა _ ზურგით დაჯდა ძელსკამზე.

სხვებმაც მიბაძეს.

_ არა, მუსა, ვერ დაგეთანხმები. მე მომწონს თხელი ქალები. _ დამტვრეული რუსულით ჩაილაპარაკა ჯაფარად წოდებულმა ნუვორიშმა. _ თანაც ეს გოგო კი ჩემს საყვარელ მსახიობს მაგონებს.

_ მერღინ მონროს?

_ არა, არა, მონრო სწორედაც თქვენს სტილშია.

_ აბა? _ გაუკვირდა მუსას.

_ ენდი მაკდაუელს.

_ პირველად მესმის.

_ საკმაოდ ცნობილია.

_ მერე, იყიდე, ბიძამისს მგონი მართლა ჰკიდია. _ შესთავაზა ახმედმა.

_ ჰმ, რა ჯანდაბად მინდა?! ნახევარ მილიონად თავად ენდი მაკდაუელს მოვხსნი!

_ ცოტას დაგიკლებთ.

_ არა, თურქეთში აკრძალულია მრავალცოლიანობა. ეს ერთადერთია, რაშიც არ ვეთანხმები ქემალ ათათურქს.

_ შენც ცოლად ნუ მოიყვან...

გვანცას გული გადაუქანდა. ამას ჰქვია ვაის გავყვარე და ვუის შევეყარეო. უნდა შეცვალოს სტრატეგია, ალბათ არ ღირს ხელაღებით იმის მტკიცება, რომ ილია კაპიკის გადამხდელი არ

არის. ფართხაფურთხით გამოიცვალა, ძველი ტანსაცმელი საწოლის ქვეშ შეაგდო და ბეჯითად ჩამომჯდარ სამეულს მობრუნების ნებართვა მისცა.

_ ე. ი. ბიძაშენის იმედი არ უნდა გვქონდეს? _ ახმედმა გვანცას მიუბრუნდა.

_ როგორ გითხრათ... გამორიცხული არაფერია. ბიძაჩემი უცნაური კაცია, იქნებ მოიფიქროს. გინდათ მართლა დავწერ წერილს? დედაჩემს დავუწერ, ვეტყვი, თხოვოს, მუხლებში ჩაუვარდეს, ხელები დაუკოცნოს...

ახმედი ისევ წარბების ენაზე ალაპარაკდა, მუსა უსიტყვოდ მიუხვდა და საწერ-კალამი მოარბენინა.

გვანცა ლოგინში წამოჯდა, ფურცელი მუხლებზე გაიშალა, მაგრამ უცებ ისეთი სისუსტე იგრძნო, სიტყვის დანერაც ვერ მოახერხა. ცივმა ოფლმა ჯერ შუბლი დაუნამა, მერე დომინოს პრინციპით მთელ სხეულს მოედო და სველი თითებიდან კალამი გააგდებინა.

რესპექტაბელური ჯაფარი უმაღ მიიჭრა ავადმყოფთან, თავი ბალიშზე დაადებინა, პულსი გაუსინჯა და საყვედურით გახედა სტოპ-კადრში გაშეშებულ წვეროსნებს.

სიჩუმე ახმედმა დაარღვია:

_ ექიმი სჭირდება ამას. სპეციალისტი.

_ თბილისიდან გამოვიწერო თუ რას მირჩევ? _ ირონიულად დაეკითხა მუსა და შემტევი პოზა მიიღო.

_ იჩკერიაში დაილია ექიმი?

_ იახა იყო, ილხანის ქვრივი. გასინჯა. რაც დაუნიშნა, ვუყიდე. მაგრამ იახა ექთანია, გროზნოს საავადმყოფოში მუშაობდა.

_ ექთანი. _ ნიშნის მოგებით გაიმეორა ახმედმა. _ იახას ტექნიკური განათლება უშველის ამას?! ალბათ ფილტვების ანთება აქვს.

_ ახმედ, შენ ფიქრობ, მე სხვა საქმე დამელია?! _ აყვირდა მუსა, _ ორი დღე ფეხი არ მომიცვლია აქედან, მართლა და მართლა ამოვიდა ყელში! იმის მაგივრად ქვეყანა მტრისგან დავიხსნა,

სანიტრად ვუზივარ ამ ცინგლიან გოგოს. დედაკაცი ვარ თუ ისლამის მეომარი?!

_ ფულის გარეშე ჩემ ფეხებს დაიხსნი. ეს გოგო იცი რამდენ კალაშნიკოვს უდრის?!

_ სსსუ, მგონი დაიძინა. _ ჯაფარი ფეხის წვერებზე მოშორდა საწოლს, _ რა გაყვირებთ, სჯობს რამე მოვიფიქროთ.

მუსამ ყოყმანით მოიფხანა წვერი და თქვა:

_ არის აქ ერთი... წუხელ ჯახარის სასტავმა აიყვანა ტყვედ, ფრანგი ექიმია, წითელი ჯვრიდან.

_ მერე?

_ სანამ მოლაპარაკებები მიდის ტყვეთა გაცვლა-გამოცვლაზე დრო გვაქვს. შეგვიძლია მოვიყვანოთ, გასინჯოს.

_ მერე რაღას უცდი?

_ შენს ბრძანებას, ახმედ.

ახმედმა ისევ მოიყვანა მოძრაობაში წარბები. მუსა ყველაფერს მიხვდა და უკანმოუხედავად გაშპა.

ბუნებით გვანცა მორცხვი ადამიანი იყო, რაც მომავალი ექიმისთვის მინუსი უფროა, ვიდრე პლიუსი. საავადმყოფოში პრაქტიკანტის სტატუსით მიღებულმა გამოცდებებამ ბევრი კომპლექსისგან გაათავისუფლა, მათ შორის შიშველი ადამიანის, კერძოდ მამაკაცის, ნახვით გამონვეული უხერხულობისგან. თურმე, როცა ცუდად ხარ, ვერც საკუთარ სიშიშვლეს აღიქვამ, ვერც ექიმის სქესს, ვერ ცნობისმოყვარეობისგან სახედაგრძელებულ პრაქტიკანტებს.

ეს გვანცამ საკუთარ თავზე გამოსცადა, უკვე ტყვეობაში ყოფნისას. მისთვის სულერთი იყო ვინ მოარჩენს: მარსიდან ჩამოფრენილი უცხოპლანეტელი თუ დედამიწაზე მოვლენილი ფრანგი ჰომოსაპიენსი.

მუსა ბლანჟიან ფრანგ მამაკაცს შემოუძღვა, თვითონ ტაქტიანად გაეცალა იქაურობას და ჯაფარსაც იგივე ურჩია, მაგრამ იმან ხელები გაასავსავა: მე თარჯიმნის ამპლუაში დავრჩებიო. მართალია ჯაფარმა ფრანგული ენა არ იცოდა, სამაგიეროდ იცოდა ინგლისური, რომელზეც ფრანგიც საკმაოდ გამართულად მეტყველებდა. მოკლედ, ჯაფარმა ინგლისურიც გაამარიაჟა და წელს ბევრით შიშველი გვანცაც ხარბად შეათვალიერა.

ექიმმა დიდხანს ატარა ფონენდოსკოპი გვანცას გახურებულ სხეულზე, მერე მაისური ჩამოუნია და ვერდიქტიც გამოიტანა:

_ ფილტვების ანთება.

_ რა ვქნათ? _ შენუხდა ჯაფარი.

_ ნემსები დასჭირდება. ანტიბიოტიკები. _ ფრანგმა ბერეტიდან გამოცოცებული ჭაღარა თმა საჩვენებელი თითით უკანვე შეაცოცა და კრიახით წამოდგა. _ საშინელი უჰაერობაა, ფანჯარა არ არის?

_ სამწუხაროდ...

_ რა ხდება, ბრინჯაოს ხანაში ვიმყოფებით?

_ არა, მუსიე, ომია. ელექტროსადგურს ყუმბარა დაეცა და...

_ იცით, ეფენდი, ომსაც აქვს წესები. თუ აგყავს ტყვედ ადამიანი, კეთილი ინებე და ადამიანური პირობები შეუქმენი. თუ არადა, მოკალი. ადგილზე.

_ მხეცები კი არ ვართ? _ იუკადრისა ჯაფარმა.

_ აბა, რა მოარჩენს ნავთის სუნში? _ ფრანგმა დაორთქლილი სათვალე ჯემპრის კალთაზე განმინდა და დემონსტრაციულად ჩაახველა. _ აი, მე უკვე ამტკივდა ყელი.

_ ხომ არ მოკვდება?

_ მოკვდება, თუ სასწრაფო ზომებს არ მივიღებთ. წამლებს გამოვუნერ, მაგრამ ვიდრე იყიდით, იქამდე ხალხურ მედიცინას დავესესხები. ძმარი მომიტანეთ, გეთაყვა. უნდა დავზილო. გაქვთ ძმარი?

_ რა ვიცი, გავიკითხავ.

_ კომბოსტოც გაიკითხეთ.

_ კომბოსტო?... რომელიც ბოსტნეულია? _ გადაამოწმა ჯაფარმა.

ფრანგმა მრავალმნიშვნელოვნად დაუკრა თავი. ჯაფარმა უკანა სვლით დატოვა ოთახი, თუმცა გასვლის წინ კარი ღია დატოვა. ოთახში დღის სინათლესთან ერთად ცოტაოდენი ჰაერი და ანადუღარი რძის სურნელი შემოვიდა.

` ფაფას ხარშავენ ეს მონიფული ყაჩაღები? ~ გაუკვირდა გვანცას და ფრანგს შეხედა. ის მონდომებული წერდა რეცეპტს, ერთხელაც არ აუწევია თავი, რომ ორი სიტყვით მაინც დაემშვიდებინა პრაქტიკულად სიკვდილის სარეცელზე მყოფი ქალიშვილი. არადა, გვანცამ ინგლისური იცოდა. ჯაფარივით ვერ სხლავდა, მაგრამ ლაპარაკი თავისუფლად შეეძლო.

როცა ოთახში ძმრის ბოთლითა და კომბოსტოს ფოთლით ხელდამშვენებული ჯაფარი შემოვიდა, ფრანგმა რეცეპტი მიაჩენა, ძმარი გამოართვა და ავადმყოფისკენ გაეშურა.

გვანცამ მორჩილად მიუშვირა ზურგი. მაღალი სიცხის დროს დედაც ასეთ პროცედურას უტარებდა, დამატებით კი ფეხზე ძმრიან წინდებს ჩამოაცმევდა. ეს კი ჭიჭყინებდა, სულელი... დედას ულტიმატუმს უყენებდა: ნახევარ საათზე მეტ ხანს არ გავიჩერებო. თურმე რა ბედნიერი ყოფილა... თურმე შეიძლება ავადმყოფიც იყო ბედნიერი, როცა შენს სახლში ხარ, შენს ლოგინში, შენს ქვეყანაში...

ჭალაროსან ფრანგს საოცრად ძლიერი და მოქნილი ხელები აღმოაჩნდა, გვანცამ თვალები დახუჭა და მთლიანად მიენდო მისი თითებიდან გადმოღვრილ დამაშვიდებელ იმპულსებს.

თავფეხიანად ძმარში ამოვლებული ავადმყოფი აბრეშუმის ჭიასავით გაახვიეს საბანში, შუბლზე კომბოსტოს გრილი ფოთოლი დაადეს და მარტო დატოვეს. გვანცამ შვება იგრძნო. მხოლოდ სახლის სიღრმიდან გამოსული უცხო ხმები ახსენებდა, რომ მტრის ბანაკშია და არა საკუთარ ლოგინში. მალე ის ხმებიც მინავლდა.

ძილმა წაიღო.

. . .

ნკაპ-ნკუპ, ნკაპ-ნკუპ...

წვიმს, გაიფიქრა გვანცამ და იმის იმედით, რომ ფანჯარაში წვიმას დაინახავდა, თვალები გაახილა. არც ფანჯარა, არც წვიმა. მხოლოდ ბინდბუნდში გამკრთალი ჭრელაჭრულა სარკოფაგი და ძელსკამზე ჩამომჯდარი ორი სილუეტი _ ფრანგი ექიმისა და თურქი ჯაფარის. ნკაპუნისმაგვარ ხმას კი ჯაფარის ხელში ათამაშებული ქარვის კრიალოსანი გამოსცემდა. ორი დღე არის, მზის მოლოდინში მთებს მიეძალა ფერები ქარვის...~

მოღიავებული კარიდან შემოსული საღამოს სიგრილე ნოხებში ჩამკვდარ ნავთის სუნს მეტ-ნაკლებად ანეიტრალებდა და ნორმალური სუნთქვის საშუალებას იძლეოდა.

ფრანგი ხმადაბლა ყვებოდა ისტორიას, რომელიც მის მისიას ინდოეთში გადახდა:

_ ...იქ გავიცანით ჯაიანთა სექტის წარმომადგენელი. შეხვედრა დაგვეგმეთ. დანიშნულ დროზე გამოვცხადით და რას ვხედავთ: დედიშობილა არ გამოგვეცხადა?! ხელში ცოცხით...

_ ცოცხი რალაში სჭირდებოდა? _ გადაირია ჯაფარი.

_ ცოცხით მწერებს იგერიებდა. თურმე ის ადგილი, სადაც მისვლას ინებებენ, უპირველეს ყოვლისა, მწერებისგან უნდა გაინმინდოს, თანაც ისე, რომ არც ერთი მწერი არ შემოაკვდეს. სექტანტები თვლიან, რომ სული მწერსაც აქვს და მისი მოკვლა უდიდესი ცოდვაა.

_ და ამის მერე ისლამს იწუნებთ!

_ მე ფუნდამენტალიზმის წინააღმდეგი ვარ, თორემ ისლამში ცუდს ვერაფერს ვხედავ, მუჰამედი არ თვლიდა, რომ ერთადერთი მოციქულია, აბრაამს აღიარებდა, მოსეს, ქრისტეს... ახლა რა ხდება? ისლამურ ქვეყნებში ვაჰაბიტების შემოსევაა. ისინი ამტკიცებენ, რომ მხოლოდ ალაჰია თაყვანისცემის ღირსი, მუჰამედის კულტსაც კი უარყოფენ! რელიგია სიკეთეს, მონანიებას, შენდობას უნდა ეფუძვნებოდეს და არა ინტელექტის დაქვეითებასა და აგრესიას.

_ რას გეტყვით, იცით, მუსიე... ინტელექტუალური ადამიანები ვერ ქმნიან მასას, ინტელექტი, როგორც ასეთი, უმართავია, ჩვენ კი მორჩილი უმრავლესობა გვჭირდება. დამეთანხმეთ, ბრბო

გაცილებით იოლი სამართავია, ვიდრე ინტელექტუალებისგან შემდგარი კრებული. ჩვენი ძალა ჩვენსავე რიცხობრივ სიმრავლეშია.

_ ხარისხი არაფერს ნიშნავს?

_ ამ კუთხით აბსოლუტურად არაფერს. ხარისხიანი ბიზანტიელები ვერაფერს გახდნენ უხარისხო თურქ-სელჩუკთა მრავალრიცხოვან ლაშქართან.

_ ჰოდა, შეირგეთ. ის, რომ თურქეთი დღეს ანგარიშგასაწევი სახელმწიფოა, ქემალიზმის დამსახურებაა და არა ვაჰაბიზმის. მიეცით ადამიანებს თავისუფლად აზროვნების საშუალება, ნუ წამლავთ ფანატიზმით ცხვირმოუხოცავ ყმაწვილებს, რომლებსაც ყურანიც არა აქვთ წაკითხული, მაშინ, როცა ალაჰის სახელით შაჰიდის ქამრებს იკეთებენ.

_ ნუ იქნებით რომის პაპზე დიდი კათოლიკე. _ დამცინავად უთხრა ჯაფარმა და ლამფის ასანთებად გაემართა.

_ არ ვარ კათოლიკე. _ ჩაიბურტყუნა ფრანგმა, როცა თურქი გარკვეულ მანძილზე დაიგულა.

აქ კი გვანცა საბოლოოდ გამოფხიზლდა. ფრანგმა ეს ფრაზა ქართულად წარმოთქვა. თუ სმენით ჰალუცინაციას აქვს ადგილი? დავუშვათ, მოესმა. მაშ რას მიაწეროს თვალის ჩაკვრა? თუ ესეც მოეჩვენა?

_ ოოო, ჩვენს ავადმყოფს გაუღვიძია! როგორ ხარ, ძვირფასო? _ ჯაფარმა ღიმილში გაჭიმა სავსე ტუჩები და სასთუმალთან დაიხარა.

გვანცამ ახლალა შეამჩნია, რომ ჯაფარს ლურჯი თვალები ჰქონდა _ სელჩუკისა და ბიზანტიელის ასიმილაციის არცთუ ურიგო დასტური. აი, უღვაში კი გენეტიკური იანიჩარისა ჰქონდა _ სქელი და დაბუჩქული.

_ უკეთ. _ თქვა ხმამაღლა.

_ ოჰო, ინგლისურიც გცოდნია! ძალიან კარგი, ვატყობ მოვნახავთ საერთო ენას, მაგრამ იქამდე ახმედთან მომიწევს საერთო ენის გამონახვა.

გვანცას არ მოეწონა, როგორ მოიფშვინა ხელები ჯაფარმა, არც მის თვალებში გამკრთალი ბლაზნია სურვილი მოეწონა.

შეშფოთებული მზერა მიაპყრო ინფანტილურ ფრანგს, რომელმაც მიიღო დისტანციური მესიჯი და ჯაფარს მიუბრუნდა:

_ რას გულისხმობთ?

_ ამ ქალიშვილის ყიდვა მინდა.

_ მგონი, ჯერ ქალიშვილს უნდა დავეკითხოთ, არა?

ორივე გვანცას მიაჩერდა. ფრანგი _ თავშეკავებული ირონიით, თურქი _ დაუფარავი ცნობისმოყვარეობით.

_ მე საქმრო მყავს.

_ ძალიან გიყვარს? _ ალაღად დაეკითხა ჯაფარი.

აქ კი გვანცა დაფიქრდა. ეს დღეები ნიკო არც გახსენებია. დედა ენატრებოდა, მამა, გარდაცვლილი ბებიაც კი, ნიკო კი სულ ამოუვარდა მეხსიერებიდან. იქ, პანკისის ტყეში, ჯუჯების სახლზე და ცხენზე ამხედრებულ უფლისწულზე ოცნებობდა, ზოგადად უფლისწულზე და არა კონკრეტულად ნიკოზე. რატომ? ნუთუ არ უყვარდა? თუ უყვარდა, მაგრამ მხსნელის ამპლუაში ვერ წარმოედგინა...

ინტუიცია კარნახობდა, რომ მოქართულე ესკულაპე გაფშეკილი ჭაღარით მის დასახნელად შემოაგზავნეს, მაგრამ ის ვერაფრით ერგებოდა უფლისწულის როლს. ამ მხრივ ჯაფარი უფრო მომგებიანად გამოიყურებოდა. ევროპული განათლება აქვს, რელიგიურ ექსტრემისტს არ ჰგავს (ექსტრემისტი არშიყს არ დაუნყებდა ტყვედ ჩავარდნილ ავადმყოფს, ასეთი თავისივე იდეების ტყვეა). ფაქტია, რომ ალაჰის სიყვარულმა არ ჩამოიყვანა ცხელ წერტილში, თავისი ანგარიშები აქვს, როგორც ყველა შეძლებულ ადანიანს. თუმცა, ეს ის შემთხვევაა, როცა სიმდიდრე ნაკლი უფროა, ვიდრე ღირსება. ახმედ ხამიდოვს ვინც მეტს გადაუხდის, იმას მიჰყიდის, საქონელივით.

_ შეხედე, ჩაფიქრდა! _ გაუხარდა ჯაფარს. _ ე. ი. მქონდეს იმედი?

_ არა. _ მოუჭრა გვანცამ და ბურგი შეაქცია.

_ ნუ გეშინია, მე კარგი ვარ.

_ თავი დამანებეთ.

_ ეფენდი, გადით, გეთაყვა, ნემსის გაკეთების დროა. _ შეახსენა ფრანგმა.

_ მიხედუ, მიხედუ, ეს გოგო ჯანმრთელი მჭირდება. _ დაბეჭდა ჯაფარმა და გრძელი ნაბიჯებით დატოვა ოთახი.

_ ვინ ხარ? _ დაიხურხულა გვანცამ, ისე რომ პოზა არ შეუცვლია, ბარემ ნემსი ჰქონდა გასაკეთებელი, რა აზრი ჰქონდა აქეთ-იქით ტრიალს.

ეჭიშმა საბანი გადახადა, კალსონის სალტე ჩაუნია და დუნდულა კუნთში ნემსი ჩაარჭო. გვანცამ მოკლედ დაიკვნესა.

_ გეტკინა? _ გამართული ქართულით ჰკითხა ფრანგმა და ნანემსარი სპირტიანი ბამბით დაუზილა.

_ ანტიბიოტიკი მწარეა. _ გვანცა კრუსუნით გადმობრუნდა და მომლოდინე მზერა ესროლა ეჭიშს, რომელიც რატომღაც არ ჩქარობდა წარდგენას _ ცარიელი შპრიცი მოისროლა, ბამბაც მიაყოლა, ნამლები პარკში შეიჭყიტა...

_ რას იზამ, უნდა მოითმინო. მართლა გაქვს ფილტვების ანთება, ესეც სპექტაკლის მიზანსცენა არ გეგონოს.

_ მოთმინებასაც აქვს საზღვარი. ვინ ბრძანდებით?

_ დიმიტრი ძნელაძე. _ იყო პასუხი.

გვანცას ყბა ჩამოუვარდა. ნუთუ ეს ჭარმაგი მამაკაცი ნიკოს ძმაა?... თუ უბრალოდ, გვარი დაემთხვა?

_ ვის დავალებას ასრულებთ?

_ ბიძაშენის.

_ ვინ არის ბიძაჩემი? _ მაინც გადაამოწმა.

_ ილია მეგრელიშვილი. _ დიმიტრიმ პასუხი არ დაამაძლა და მრავალმნიშვნელოვნად გაუღიმა.

ასაკთან შედარებით თვალშისაცემად კარგი კბილები ჰქონდა. შეიძლება ჩასმული. საზღვარგარეთ ხელოვნური კბილების ბუშია, ვისაც დიდი ფული აქვს და არ ეზარება, ყველა პროტეზისტთან დარბის _ იძრობენ, იქლიბავენ, ისწორებენ. გვანცას წელანდელი ნემსი გაახსენდა და თავი უხერხულად იგრძნო. საჯდომი იქით იყოს,

ამ კაცმა პრაქტიკულად შიშველი ნახა, როცა ძმრით გელდა, მაშინ. ექიმი მაინც იყოს. ჟურნალისტია! თანაც ნიკოს ძმა.

_ ეს ყველაფერი ანტურაჟია, _ დიმიტრიმ სათვალე მოიხსნა და სანოლთან დაიხარა. _ პარიკი, ბლანჟე, ულვაში, გრიმი, წითელი ჯვარი, ფრანგი ექიმი, სათვალე... წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერ გიპოვიდი. ასე რომ, ჩუ, `არვინ გაიგოს~. _ პირზე თითი მიიღო და წელში გასწორდა.

გვანცას მოეჩვენა, რომ `ფრანგი ექიმი~ გამაღლდა და გაახალგაზრდავდა, თაფლისფერი თვალებიც ეშმაკურად აუციმციმდა და საერთოდ...

_ დამიხსნი? _ ჰკითხა ჩურჩულით.

_ აბა, რისთვის ჩავატარე ამოდენა მასკარადი?

_ ასე გიყვარს ძმა?

_ როგორ გითხრა... _ დიმიტრიმ მზერა აარიდა. _ საქმე სიყვარულში არ არის. მე დამიქირავეს... ბიძაშენმა დამიქირავა. _ დააბუსტა.

აი, თურმე რაშია საქმე! დაიქირავეს. ანუ ფულს გადაუხდიან. ავანსი ალბათ გადაუხადეს. იმიტომაც გაისარჯა. ფულის გამო ბლანჟესაც მიიწეპებ და `ტყვედაც ჩავარდები~. გვანცამ კი ლამის დორბლი ყარა. პრინციპში, რას ელოდებოდა?! რატომ უნდა გაერისკა ნიკოს ძმას საკუთარი ტყავით უცნობი სარძლოს გამოსახსნელად?! იმ ტყავსაც მიიტანს თუ არა თბილისამდე საკამათო საკითხია.

_ ე. ი. ბიძაჩემმა დაგასპონსორა.

_ მთლად ბუსტი განმარტება არ არის, მაგრამ ასეც შეიძლება ითქვას. ყოველ შემთხვევაში, ამ სპექტაკლის მთავარი რეჟისორი ბიძაშენია.

_ ნიკო გამნათებელია, არა?

დიმიტრიმ თავი გააქნია და პარიკზე მიბმული ბერეტი შეისწორა.

_ მე მესმის, რომ ნიკოს ნახვა უფრო გაგიხარდებოდა, ვიდრე ჩემი, მაგრამ ასეთი იყო ბიძაშენის არჩევანი. кто заказывает музыку тот и танцует. ნიკოს კი უყვარხარ, მოკითხვას გითვლის...

_ კარგი, არ გვინდა ამაზე, სჯობს მითხარით, რა გეგმები გაქვთ?

_ სიტუაციის მიხედვით ვიმოქმედებ, მთავარია, აქედან დროზე ადრე არ მიმაბრძანონ, რაც უფრო მეტად მოიმკვდარუნებ თავს, მით უკეთესი.

_ მართლა ცუდად ვარ, გული მერევა.

_ იმიტომ რომ მშიერი ხარ. რამეს მოვატანინებ. _ დიმიტრი კარისკენ გაემართა.

_ არ მინდა. _ დაადევნა გვანცამ.

_ ჩუმად, ქართულად კრინტი არ დაძრა. საჭმელი კი უნდა ჭამო, თორემ ისე დასუსტდები, ნაბიჯს ვერ გადაადგამ. ხომ არ გგონია, ვერტმფრენი მაქვს გადამალული სადმე ტყეში? მართო ვმოქმედებ, საკუთარი რისკის ფასად.

`და ფულის~, გულში გააგრძელა გვანცამ, თქმით არაფერი უთქვამს, რა მისი საქმეა.

გავიდა ერთი დღე და ერთი ღამე. დიმიტრიმ უკვე ბეპირად იცოდა, რა გზა გამოიარა გვანცამ ბიძამისის გაცნობიდან დღემდე და სათანადო დასკვნების გამოიტანა _ ილიას ახლო გარემოცვაში ჰყავს ინფორმატორი, რომელმაც არა მხოლოდ მოიპარა მაკომპრომეტირებელი კასეტა, არამედ უმაღლესი რანგის ვისაც ჯერ არს გვანცა გორდებთან და ილია მეგრელიშვილის ნათესაური კავშირის შესახებ. ილია იმ დღეს პირველად გავიდა დაცვის გარეშე, წასვლის ადგილი არ დაუკონკრეტებია, მაგრამ კუდზე დაჯდომას რა ედგა წინ? გაიგეს მისამართი, გარდაცვლილის ვინაობა და ილიას ლიკვიდაცია გადაიფიქრეს. არ ჯობია დისშვილი გამოიყენონ ფულის გამოძალვისთვის? ამ ლოგიკით, ილიას ვერშემდგარ ლიკვიდაციას ანგარება ედო საფუძვლად და არა შურისძიება, როგორც მიხეილს ეჩვენება.

გვანცამ ძილში ბორგავდა, ეტყობა ტემპერატურამ აუნია. დიმიტრის კი ძილი არ მიეკარა, იატაკზე წოლისგან ძვლებში ამტვრევდას, თან ერთი სული ჰქონდა პარიკი მოეძრო და ჩაორთქლილი თავი მოეფხანა, მაგრამ დაუდგრომელი მუსა ლამის ყოველ საათში შემოდოდა ავადმყოფის დასაზვერად, დიმიტრიც იძულებული იყო მოეთმინა.

სტოპ!

ილიამ მხოლოდ იმ ავადსახსენებელ კასეტაზე ნახა მკვდარი შვილი და რატომღაც აპრიორი დაიჭერა. დავუშვათ ლაშა მეგრელიშვილმა სიკვდილი გაითამაშა და ახლა შესაფერის მომენტს ელოდა შურის საძიებლად? ამით ის ორ კურდღელს დაიჭერდა: მამას მოკლავდა და როგორც ერთადერთი მემკვიდრე მის სიმდიდრესაც დაეპატრონებოდა.

გვანცას პირველი გატაცების ფიგურანტებიდან დიმიტრის მხოლოდ „კიბოს~ სახელი ჰქონდა გაგონილი. სავარაუდოდ, ეს ის `კიბოა~, რომელმაც ჯერ კიდევ აფხაზეთის ომის დროს გამოიჩინა თავი, როგორც საუკეთესო სნაიპერმა. `კიბო~ აფხაზების მხარეს იბრძოდა, უფრო სწორედ, ქამელეონივით შენიღბული იჯდა ხის ტოტზე და მსხვერპლს დარაჯობდა. როგორც ჩანს, კვალიფიკაცია შეიცვალა და ახლა კილერებში ჩაენერა. იდეური მოსაზრებით არც ადრე `იღწვოდა~, და ალბათ არც მოცემულ მომენტში ექნებოდა მაინცადამაინც ილია მეგრელიშვილის ჯიბრი. `კიბო~ დაკვეთას ასრულებდა. ისმის კითხვა: ვის დაკვეთას?

აი, ცალთვალა ტუხას და მოძალადე რამაზას შესახებ დიმიტრის არაფერი სმენია. ვერც ქისტი გოგიას დაკითხვამ გამოიღო შედეგი _ ორივეს ვიცნობ, მაგრამ არც გვარი ვიცი, არც მისამართი, მხოლოდ ის ვიცი, რომ ნარკოტიკისა და იარაღის კონტრაბანდით არიან დაკავებულიები. ჰმ, მძევლების აყვანა ეტყობა სათვალავში არ არის ჩასაგდები! მეორე მხრივ, გოგიამ ხელი შეუწყო გვანცას გაქცევას, მართალია სპეცოპერაცია ჩაშალა, მაგრამ მაშინ წარმოდგენა არ ჰქონდა კუდზე დამჯდარ მდევარზე. ის მოქმედებდა პრინციპით: თავისუფლების ხელყოფა მოსულა, სექსუალური ძალადობა _ არა. იგივე შეიძლება ითქვას ტუხაზე.

გვანცამ წრიალს უმატა, ფრინველივით ატრიალებდა თავს _ მარჯვნივ, მარცხნივ, მარჯვნივ, მარცხნივ. არც დიმიტრი იყო კარგ დღეში _ ძვლების ტეხვას კუჭის თავზე დაწოლილი სიმძიმე დაერთო.

იცოდა, რომ ცხვრის ხორცი აწყენდა, მაგრამ მაინც ჩახეთქა. შიოდა ძალიან. ან ცხვარი სად დაითრიეს ამ იავარდქმნილ სოფელში... ქალები გახიზნული ჰყავთ, არც ძაღლის ყეფა გაუგია. რა არის სოფელი ქალისა და ძაღლის გარეშე? _ პირდაუბანელი მამაკაცების პირქუში სავანე. მუსა და ახმედი პასუხს ელიან თბილისიდან, ფული სჭირდებათ `ნაზარებ~, როგორც აღნიშნა ახმედმა. აბა, მარტო ჯაფარის იმედზე ხომ არ იქნებიან სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი პარტიზანები? იქით პანკისის ხეობას შეფარებული ხიზნებია მისახედი, აქეთ _ იარაღი, სამხედრო ამუნიცია, პროვიანტი... ბინ ლადენის ძმას დიდი თანხა გაუღია შუა აზიაში მეჩეთის ასაშენებლად. კარგია, ღმერთმა ხელი მოუმართოსო, _ ამბობდა ახმედი, მაგრამ `წმინდა საქმეს~ მეჩეთზე მეტად ვერტმფრენები სჭირდებათ, ტანკები, გაუბიცები, კალაშნიკოვები... და მეომრები, მეომრები, მეომრები... დაქირავებული თუ მოხალისე, ჩეჩენი თუ არაბი, რუსი თუ ქართველი. სულერთია. მთავარია, ბევრნი იყვნენ და არ უგანონ. სამწუხაროდ, მოხალისე ცოტაა, დაქირავებულს კი ფული უნდა გადაუხადო. ახმედს, რა, ფულის საბადოები აქვს? ასეთები ბუნებაში არ არსებობს, თორემ ვერავინ დაასწრებდა. არის ნავთობისა და ქვანახშირის საბადოები, კოკაინის პლანტაციები, ესეც ფულია, მაგრამ არ ჰყოფნით, ამიტომაც უწევთ კრიმინალური ქმედების ჩადენა _ მძევლების აყვანა, წამლით ვაჭრობა, ჩინოვნიკების დაყაჩაღება... განა ახმედს და მუსას ფული საკუთარი ფუფუნებისთვის სჭირდებათ? არა. ოთხი წელია საველე ფორმა არ გაუხდიათ ტანიდან, ძილი არა აქვთ და მოსვენება... ფული ალაჰის საკეთილდღეო საქმისთვის სჭირდებათ, ალაჰის სახელით სიკვდილიც კი სასიამოვნოა, ციმციმ გაფრინდები სამოთხეში.

ასე იმართლებდნენ თავს ჩეჩენი მეომრები ერთობლივი ტრაპეზისას. თურმე, ფრანგი ექიმიც უნდა შესულიყო მათ მდგომარეობაში, გაგებით მოკიდებოდა, ეპატიებინა.

_ მირანდა ბებია, მირანდა ბებია, მოდი ჩემთან... _ შორიახლოს გვანცა აბუტბუტდა.

დიმიტრიმ დათბილული ქურთუკი მოისროლა და შემცივნული წამოიშრია იატაკიდან. შეხების გარეშეც ცხადი იყო _ ავადმყოფი ბაბანებდა. და ბოდავდა. აბა, სრულ ჭკუაზე ვინ მოითხოვს გარდაცვლილ ბებიას? მეორე მხრივ, ცნობილი ამბავია, რომ

აგონიაში მყოფებს მკვდრები დასტრიალებენ ხოლმე თავს. ხომ შეიძლება... არა, არ შეიძლება!

დიმიტრიმ გვანცას მხრებში ხელი ჩაავლო და გვარიანად შეანჯღრია. გვანცამ თვალები გაახილა, მაგრამ მისი ფოკუსდაკარგული მზერა სხვაგან იყო მიმართული.

_ გვანცა! _ დაუძახა დიმიტრიმ.

_ მირანდა ბებია... _ გვანცამ სიციხით დახეთქილი ტუჩები დაძრა და ისეთი სიმხურვალე შეაფრქვია, ცხრათავიანი დრაკონი გახუნდებოდა.

_ გამოფხიზლდი, მე ვარ, დიმიტრი!

_ რა?

_ მე ვარ, ნიკოს ძმა... _ დიმიტრიმ ხმას დაუნია და კარისკენ გაიხედა.

მუსა თუ შემოვიდა, წასულია საქმე. ექსტრემისტია თუ რაც არის, ქართულსა და ფრანგულ ენებს ერთმანეთისგან ალბათ ანსხვავებს.

გვანცამ დასიცხული თვალები მილულა, ხელები გაიშვირა და დიმიტრის სახეზე ჩამოუსვა:

_ რა გრილი ლოყები გაქვს... სასიამოვნოა...

რალა დასამალია, დიმიტრისაც ესიამოვნა. `ლამაზი ქალი, მომაკვდავიც ლამაზია~, _ გაიფიქრა შეცბუნებულმა, მაგრამ დროზე მოეგო გონს, წყლის სავსე გრაფინი დაითრია, ბინტის ნაგლეჯი დაასველა და გვანცას კისერში ჩაუფინა.

_ ეი, ჯიგით? _ მოესმა ნაცნობი ჩურჩული.

უჩინარ კარში ჯოხარი შემოიძურნა, გაფაციცებული სახე და გასაქცევად გამზადებული პოზა თავისთავად გასცემდა მისი ვიზიტის იდუმალ მხარეს.

_ მოხდა რამე? _ შეთქმულივით ჰკითხა დიმიტრიმ.

_ კი. მუსა წყლის გადასალვრელად გავიდა.

_ ამის სათქმელად მოვარდი ამ ღამიანად?

_ ერთი საათია აქ ვყურეუტებ, ძლივს მომენტი ვიხელთე. მუსამ თუ შემოგვისწრო, დედა გვეტირება. ახლა კარგად მისმინე, მნიშვნელოვანი ინფორმაცია მაქვს შენთვის. ვალერამ მითხრა, დღესვე ნახე და გადაეციო.

_ დაიწყე, რაღაც აყოვნებ.

_ ვიღაც ცალთვალა ქართველი გეძებს.

_ რა უნდა?

_ ძმობა უნდა შეგფიცოს, _ ჩაიხითხისა ჯოხარმა და აქა-იქ შერჩენილი კბილები გამოაჩინა, თუმცა იქვე დასერიობულდა. _ დშენი მოკვლა უნდა, მოტვინე? მოკლედ, ხვალვე უნდა აიწიოთ აქედან, გადადება არ შეიძლება. ნაშუალამევს სტარტზე იყავით. სიბნელეში ჯობია. იქნებ ალაჰის ნებით მუსას და მის ხალხს ეძინოს.

_ რომ არ ეძინოთ?

_ გაზი და მისი ჯანი! მინიმუმ თხუთმეტი წუთი გათიშავს. _ ამ სიტყვებით ჯოხარმა გაქექილი ტყაპუჭიდან მცირე ზომის გაზის ბალონი ამოაცოცა და დიმიტრის ხელიდან ხელში გადასცა. _ ეს რომ გიპოვონ, ტრუპი ხარ იცოდე. მოკლედ, თქვენს განკარგულებაშია თხუთმეტი წუთი. ჩემი გათვლით, შენ და შენი გოგო ძველ წისქვილთან ჩარბენას და ხევში ჩაცურებას მოასწრებთ. ჯენლტმენობა და რაღაც ეგეთები არ დაიწყო, დრო არ ითმენს. დაჯექით პირდაპირ ტრაკებზე და ციმციმ აღმოჩნდებით ხევში, მერე ტყე და მისი ჯანი! გეზი ჩრდილოეთისკენ აიღე, ემანდ კიდევ არ გადაეყარო ჩვენს პარტიზანებს. როგორც კი სამშვიდობოს გახვალთ, ვალერას დაუკავშირდები, ის მოგხედავთ. მორჩა. თუ რამეა, არ გიცნობ-არ მიცნობ. გაიგე, ჯიგიტ?

_ ეს გავიგე, მაგრამ შენ რაღატომ რისკავ, არ მესმის.

ჯოხარმა კაუჭა ცხვირი მოიფხანა და თავჩაქინდრული მიაჩერდა საკუთარ ფეხებს:

_ ვალში ვარ ვალერას წინაშე, მან მე შვილი გადამირჩინა. ოღონდ, არ მომაცოლო, რა და როგორ. თუ უნდა, თავად გეტყვის.

_ გასაგებია. წერილს გაგატან ვალერასთან, კარგი?

– წერილის დროა ახლა?! სადაცაა მუსა დაგვადგება თავზე. – ჯოხარი ფეხაკრეფით მიპარა ნოხით შენიღბულ კართან, ცალი ფეხი ბალერინასავით მოკეცა და თავი გაყო.

ვიდრე ის აყურადებდა, დიმიტრიმ ორი წინადადების დაწერა მოასწრო და ფურცელი მობრუნებულ ჯოხარს მიაჩეჩა.

– სად წახვედი, მირანდა ბებია... – თავისას გაიძახოდა გვანცა.

– აქ ვარ, შვილო. – გააგონა დიმიტრიმ, რომელიც უკვე შეეგუა ახალ ამბლუას. თუკი ავადმყოფს ესიამოვნება ბებიაც იქნება, ბაბუაც, ყვავიც და ყორანიც.

– რა უნდა? – გაუკვირდა ჯოხარს.

– ბოდავს.

– ცუდია, ხო იცი...

– კარგი ნამდვილად არ არის.

შორიდან გაისმა ნაბიჯების ხმა. ეს მუსა დაბრუნდა ადგილიდან, სადაც მეფეების კი მართო დადიან.

– აბა, თქვენ იცით. ალაჰი გფარავდეთ. – ამის თქმაღა მოასწრო ჯოხარმა.

– სარკოფაგიდან დგება მუშია, რა სიჩუმეა... – ეს სტოფი ზედგამოჭრილი იყო სიტუაციისთვის, რომელშიც გვანცამ იმ დილით საკუთარი თავი აღმოაჩინა. ნოხებიანი ოთახი, სახეზე დაფენილი საფენები, სიჩუმე ხომ იყო და იყო.

თენდებოდა.

მარცხენა ხელთან რაღაც თბილი და ცოცხალი პულსირებდა. დიმიტრის გული აღმოჩნდა. ცრუ ესკულაპეს იატაკზე დამჭდარს ეძინა, მკერდზე კი გვანცას ხელი ედო, ძვირფასი საჩუქარივით. კეფაზე ჩამოცურებული პარიკიდან თავისი, ნატურალური თმა უჩანდა. ჩინურ ცოცხს ჰგავდა, ფერიითაც და ფაქტურითაც. გალაჯულ ფეხებთან ეგდო სათვალე ეგდო, ზევით აფშეკილი ყურებით.

აი, როგორი ყოფილა სინამდვილეში ნიკოს უფროსი ძმა. როგორი და... ისევ წამოვიდა ასოციაციური ფიქრები ფიფქიასა და უფლისწულზე, იმ განსხვავებით, რომ ამჯერად ფიფქიამ აღმოაჩინა მძინარე უფლისწული და ერთი ნახვით შეუყვარდა. მერე რა, რომ ხელოვნური თმა-წვერით შენიღბული უფლისწული მოხეტიალე აიბოლიტს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცხენიდან ციმციმ ჩამომხტარ რაინდს, მოვა დრო და ჯადო აეხსნება. და მაშინ მთელი თავისი ბრწყინველებით წარსდგება მომავალი რჩეულის წინაშე.

გვანცას საკუთარი ფიქრების შერცხვა. რა სისულელეა, ისინი ხომ თითქმის ნათესავები არიან! გამორიცხულია... მაგრამ რომ ვერ წყვეტს თვალს?... ვერც ხელს... ისეთი შეგრძნება აქვს, რომ მისი ხელის ადგილი სწორედ იქ არის, დიმიტრის მფეთქავ მკერდზე და არა სხვაგან. ნიკო ძნელადის ყოველმხრივ დადებითი სილუეტი სადამოს ჩრდილივით გაკრთა მეხსიერების რომელიღაც მონაკვეთზე და ფორმებმორღვეული სადღაც გაუჩინარდა.

გვანცამ თავს ძალა დაატანა, გვერდზე გადაბრუნდა და ჩამოცურებული პარიკის თავზე ჩამოცმას შეეცადა. დიმიტრიმ გაიღვიძა.

_ ცოცხალი ხარ? _ ჰკითხა მაშინვე.

_ მე კი ვარ ცოცხალი, მაგრამ მუსამ თუ ასეთ ფორმაში შემოგისწრო, შენ ვერ გადარჩები.

_ ჯანდაბას, რა ღრმად დამძინებია. _ დიმიტრი ფართხაფურთხით წამოხტა, პარიკი მოირგო, სათვალე დაიკოფსა და საქმიანად დაიწყო წამლების ამოლაგება. პირველ რიგში ამპულას მოატეხა თავი, შპრიცი მოიმარჯვა და სითხის ამოტუმბვას შეუდგა.

_ ნემსი უნდა გამიკეთო?

_ ჰო.

_ აღარ მინდა, კარგად ვარ.

_ რა ვიცი, გუშინ ლამის წაიღე წერილი...

_ რა წერილი? სად?

_ ბებიაშენთან. მირანდა არ ჰქვია?

_ ხო, შენ რა იცი?

_ გადაბრუნდი. _ დიმიტრი შპრიცით ხელში თავზე დაადგა.

_ მომეცი, მე თვითონ გავიკეთებ.

_ რატომ, არ მენდობი?

_ გენდობი, მაგრამ მრცხვენია.

_ გუშინ რატომღაც არ გრცხვენოდა!

_ გუშინ არ ვიცოდი, ნიკოს ძმა თუ იყავი.

_ გუშინ ნიკოს ძმა ვიყავი, დღეს მირანდა ბებია ვარ.
გადაბრუნდი ახლავე! _ ხმა გაიმკაცრა დიმიტრიმ.

გვანცა დაემორჩილა.

_ მსუბუქი ხელი გაქვს. საიდან იცი ასე კარგად ნემსის
გაკეთება? _ ჰკითხა გვანცამ, როცა დიმიტრი მოშორებით დაიგულა.

_ ბები სიტერად ვმუშაობდი საფრანგეთში. ნუ, მთლად ბებიც არ
იყო... ფრანგ ბერიკაცს ვუვლიდი, ქალაქ ლიონში.

გვანცა გაოცებული მიაჩერდა:

_ შენ უვლიდი? რატომ?

_ შიმშილით რომ არ მომკვდარიყავი. შენ გგონია საფრანგეთში
ჩასვლისთანავე დამახიეს კალთები _ არიქა, ქართველმა
ჟურნალისტმა დაგვდო პატივიო?! ცხადია, არა. სამუშაოს ძებნაში კაი
ხანს მომიწია წინ და უკან წანწალი. მერე იმ ბერიკაცთან მოვეწყვე.
მე რომ მკითხო, ორივეს გამიმართლა. მე ფრანგული დავხვეწე და
ექთნის პროფესიას დავეუფლე, იმან _ ცნობისმოყვარეობა
დაიკმაყოფილა და სიბერე გაიხალისა. მეორე მსოფლიო ომის
მონაწილე იყო, პოლიტიკა აინტერესებდა, საბჭოთა კავშირში
ცხოვრების პლიუსები და მინუსები, დამლაპარაკებელი კი არ ჰყავდა.
რომ გაიგო, საქართველოდან ვიყავი, სტალინზე მომიწყო ჯვარედინი
დაკითხვა. პასუხები ხატოვნად უნდა გამეფორმებინა, ისტორიულ
კონტექსტში, მშრალი ფაქტები არ ანეობდა. ასე ლაპარაკ-
ლაპარაკში გავიდა ორი წელი.

_ მერე?

_ მერე მოკვდა საწყალი. მე კი პარიზში გადავბარგდი და
ჟურნალისტად დავიწყე მუშაობა.

_ ტელევიზიაში?

_ არა, ჟურნალში.

_ რას აშუქებ?

_ პოლიტიკურ სიტუაციას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში და კავკასიაში.

_ თბილისი არ გენატრება?

_ ნწუ. _ დიმიტრიმ თავი გააქნია და წამლის პარკს თავი მოუკრა. _ ამის წაღება არ დაგვაგინწყდეს.

_ მივდივართ?

_ კი, ამაღამ. რაც შეიძლება თბილად ჩაიცვი, და აუცილებლად ჭამე. ცოტა თუ არ მოღონიერდი, ბურგით მომიწვევს შენი თრევა.

გვანცამ მომავალ პერსპექტივას გაუღიმა. წამდვილად არ იცოდა უარს დიმიტრი ძნელადესთან უფრო მჭიდრო კავშირზე, მაგრამ ისიც ბუსტად იცოდა: გათამამებულ ფიქრებს აღვირს თუ არ ამოსდებს, უფრო ღრმად შეტოპავს. თუ უკვე არა აქვს შეტოპილი. სხვას რას უნდა ნიშნავდეს ფერამონების შტურმი, რომლის განეიტრალებას დილიდანვე ცდილობს და ვერაფრით მოუხერხებია?! მსგავსი არაფერი განუცდია ნიკოსთან მიმართებაში, თორემ ვერაფრით გაუძლებდა მის აქტიურ შემოტევებს ლოგინში შეთრევასთან დაკავშირებით.

_ ჩემი დარდი ნუ გაქვს, გაცილებით უკეთ ვგრძნობ თავს. საჭმელსაც შევჭამ და სააბაზანომდე თუ მიმაცილებ, მადლობასაც გეტყვი. სადღაც უნდა ეგდოს ჩემი ჯინსი... _ გვანცამ ფეხები ჩამოიღო და ოთახი მოათვალიერა.

_ ამას ეძახი, ჯინსს? _ დიმიტრიმ შორიდან დაანახა დაფლეთილი, ტალახშემხმარი ჩვარი, რომელიც ერთ დროს გვანცას ჯინსი ერქვა. _ ამას დედა არა ჰყავს.

_ რას მირჩევ, მუსას ბოძებული კალსონით მოვანყო დეფილე? ჯაფარსაც მეტი არაფერი უნდა, ეგრევე მიკრავს თავს თავის ჰარამხანაში.

_ შენ ჯაფარს ნუ ეხუმრები, ოფიციალური მილიონერია.

_ მე არ მინდა ვიყო ოფიციალური მილიონერის ბოლოდან პირველი ცოლი. _ გვანცა ბარბაცით მიუახლოვდა, ჰინსი გამოართვა და მკლავზე დაეყრდნო.

_ ნუ გეშინია. შენ იქნები ნიკოს ცოლი.

_ ან ვიქნები, ან არა. _ ჩაილაპარაკა გვანცამ, მაგრამ დიმიტრიმ ან არ გაიგო, ან ვერ გაიგო. ის კარზე აკაკუნებდა.

`ტუშონკა~ ფრანგული იყო, ჰუმანიტარული დახმარებიდან. რასაც მოწმობდა ქილაზე დაკრული ეტიკეტი _ ძროხის თავი მოყანული რქებით. ალბათ, მოპარული იყო ან დაყაჩაღებული. ნებისმიერ შემთხვევაში, საქონლის ხორცი, თუნდაც თერმულად დამუშავებულ, ცხვრისას სჯობდა.

მძევლის გამოცოცხლებასთან დაკავშირებით გადაწყდა დიდ ოთახში ესაუბმათ. ასეთი იყო ახმედის სურვილი, რომელიც დალაუთენია გამოცხადდა ჯაფარის თანხლებით და აშკარად ვერ იყო ხასიათზე. მუსას განწყობილი სუფრა დაიწუნა, რაზეც საკადრისი პასუხი მიიღო, ჯაფარს და ფრანგს აუშარდა _ ჩვენი თანდასწრებით ინგლისურად ნუ ლაპარაკობთო. შემოსწრებულ გვანცას კი ისეთი მტრული მზერით დააჯილდოვა, თითქოს საბრალო ქალიშვილს მიუძღვის ბრალი ჩეჩნების გენოციდში. სამაგიეროდ, გვანცას დანახვაზე ჯაფარი გაიბადრა, ფეხზე წამოიჭრა, სკამი გამოუწია, სუფრასთან მიიპატიჟა, თავისი ხელით გადმოუღო ხორცის ნაჭერი.

_ თავი მისკდება. _ გამოაცხადა ახმედმა. _ თითქოს ტვინში ცოცხალი ბღარბი ჩამისახლდა და წვეტიან ნემსებს მარტობს. წამალი არაფერი გაქვთ? ჯაფარ, მორჩი ლაზღანდარობას და შენ ფრანგს უთხარი ტკივილგამაყუჩებელი გამიჩალიჩოს.

_ ჩემი რატომაა? ფრანგი ჯოხარისაა და უახლოეს საათებში თუ არ დააბრუნებთ, საერთაშორისო სკანდალი ატყდება. _ თქვა ჯაფარმა და დიმიტრი წამლის მოსატანად გაგზავნა.

_ დავაბრუნებთ, ან ალარაფერში გვჭირდება, გოგო გამოჯანმრთელების გზაზე დგას, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, არც ეს გოგო გვჭირდება.

_ ეს რას ნიშნავს? _ მუსამ თავი ასწია და სწრაფი მხერვა ესროლა ახმედს.

_ არ იხდის.

_ ვახ!

_ ბიძამისი არ იხდის, თორემ, აი, ჯაფარი მზადაა. არა, ჯაფარ?

ახმედმა ეჭვით დახედა დიმიტრის მოტანილ აბს, პატარა ნაწილი მოკვნიტა და დაიჭლანა:

_ ესაა ცხოვრება? წამალი ვერ დამიღვია. _ დააყოლა გაღიზიანებულმა და თეთრი აბი ლილისფერ ენაზე შეასკუპა.

_ მონამვლის გეშინია?

_ სამარცხვინო სიკვდილის მეშინია, ჯაფარ. ვაჟკაცი ბრძოლაში უნდა მოკვდეს და არა ფალარათით. კარგი, რას იტყვი გოგოზე? _ თემას მიუბრუნდა ახმედი და სველი ტუჩები სახელოთი მოინძინდა.

_ თუ ქალიც თანახმაა, ჩვენ ერთმანეთში მოვრიგდებით.

გვანცას ლუკმა ყელში გაეჩხირა. ეს ევროპულ სამოსს ამოფარებული ფაშა მგონი არ ხუმრობს. მორიგდებიან ბიჭები _ ქალი ჯაფარს, ფრანგი ჯოხარს, ფული ჩეჩნებს. მაგარია!

_ თუ არ არის თანახმა? _ იკითხა ხმამაღლა.

_ უარს არ მივიღებ. _ ჯაფარმა გვერდულად შეხედა და მზრუნველად გადაუნია ლოყაზე ჩამოვარდნილი კულული. _ დღესვე წაგიყვან აქედან, კარგ სასტუმროში დაგაბინავებ, ჩაგაცმევ, დაგახურავ, პრინცესასავით გაცხოვრებ. ისეთ დელიკატესებს გაჭმევ, ცხოვრებაში რომ არ დაგსიზმრებია.

_ ოოო... დღეს არა! _ ხელები აასავსავა `ექიმმა, ~ _ დღეს კიდევ სამი ნემსი უნდა გაკეთდეს. გუშინ ისეთი კრიზი ჰქონდა, მეგონა დილაამდე ვერ მიატანდა. ხვალ ჩაიბარეთ და მეც გამიშვით, ბოლოს და ბოლოს.

_ თქვენის ნებართვით, დაგტოვებთ... თავბრუ მესხმის, უნდა წამოვწვე. _ გვანცამ საკმაოდ დამაჯერებლად გაითამაშა მოსალოდნელი გულის წასვლის სცენა.

_ აი, ხომ ხედავთ! _ ნიშნისმოგებით შესძახა `ექიმმა~ და ავადმყოფს წამოდგომაში მიეხმარა.

გავა წლები და გვანცა მიხვდება, რომ ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი დღე მის ცხოვრებაში. დღე, როცა მასში ქალმა გაიღვიძა. ამ ქალს არაფერი ჰქონდა იმ გოგოსთან, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინ სარკესთან ტრიალებდა და მეგობრებს საქორწინო კაბას ახარბებდა. მერე რა, რომ მისი ვნება სიძვის ზღვარზე გადიოდა და სცდებოდა მორალის ჩარჩოებს, სამაგიეროდ მან ეს განიცადა და უკვე ამით იყო ბედნიერი. ახლა რომ ვინმეს ეთქვა _ იმ დროში დაგაბრუნებ, სადაც შამპუნის საყიდლად გახვედი სახლიდან და გატაცების ეპიზოდს შენი ცხოვრებიდან ამოვიღებო, ცოცხალი თავით არ დათანხმდებოდა. ნამდვილი ცხოვრება განვლილი წლები კი არა, მეხსიერებაში ჩაბეჭდილი მნიშვნელოვანი მომენტებია. ამ წუთში ის ყველა უჯრედით გრძნობდა მომენტის მომწუსხველ ძალას.

ნოხზე მოკეცილი დიმიტრი კი რალაცას ყვებოდა, ავადმყოფს ართობდა თავისი ჭკუით, წარმოდგენაც არ ჰქონდა რა ვნებათაღელვები ტრიალებდა შეყვარებული გოგონას გულში. ან ჰქონდა წარმოდგენა და ლაპარაკით ცდილობდა მისგან წამოსული ფლუიდების განეიტრალებას.

_ როგორ ფიქრობ, ნაპოლეონი რომ გაეშვათ ამერიკაში, რა იქნებოდა? _ უცებ ჰკითხა დიმიტრიმ.

_ ვის... ვის უნდა გაეშვა? _ გვანცა დაიბნა.

_ არ მისმენდი?

_ ჰო... არა... ფიქრებმა წამიღო და...

_ ნერვიულობ?

_ არა.

დიმიტრიმ გაკვირვებულმა ამოხედა.

_ შენ გვერდით არაფრის არ მეშინია. _ გვანცამ თამამად გაუსწორა თვალი.

დიმიტრიმ მზერა აარიდა და სათვალეს ეცა _ მოიხსნა, შუშები განმინდა, ისევ დაიკოფსა.

`რა ლამაზი თითები აქვს~, გაიფიქრა გვანცამ, `როგორ მინდა შევეხო. არა, ვემთხვიო. არა, ვაკოცო... ხელზე, ლოყაზე, შუბლზე, პარიკის ქვეშ დატკეპნილ ცოცხისფერ თმაზე... ყველგან. ღმერთო, რა მემართება, მგონი შევიშალე. მირანდა ბებია ამბობდა: სიყვარული სახადიაო. აი, თურმე რას გულისხმობდა. მე, კი, უტვინოს, ნიკოსთან ხახუნი მეგონა სიყვარული.~

_ ვინ უშვებდა ნაპოლეონს ამერიკაში? _ გვანცამ უხერხული პაუზის გამოსწორება სცადა.

_ თვითონ უნდოდა, უკვე ტყვეობის პერიოდში... _ დაღმავალი ენთუზიაზმით უპასუხა დიმიტრიმ, _ თბილისში ჩამოსვლამდე წმინდა ელენეს კუნძულზე მომინია ყოფნა _ ნაპოლეონის უკანასკნელ ნავსაყუდელზე, ნარკვევს ვაკეთებდი ჟურნალისტვის, ამიტომაც გამახსენდა ასე... ასე უადგილოდ. _ ჩაიციინასავით.

_ არა, რატომ?! განაგრძე, მე მაინტერესებს. _ შეაგულიანა გვანცამ.

_ მართლა?

გვანცამ ენერგიულად დაუქნია თავი. ხომ არ ეტყოდა ისედაც დამფრთხალ კაცს, ნაპოლეონზე მეტად შენი ხმის მოსმენა მსიამოვნებსო.

_ საქმეც იმაშია, რომ ინგლისელებმა არ გაუშვეს. `რუსეთის მეფე _ ალექსანდრე, უფრო ღმობიერი იქნებოდაო ჩემ მიმართ~, უთქვამს ნაპოლეონს. ბრიტანეთის პარლამენტმა ესეც არ იკმარა და მისი იმპერატორის ტიტულით მოხსენიება აკრძალა. `დამიძახეთ რაც გნებავთ, მე ყოველთვის ვიქნები ის, რაც ვარ.~ ესეც ნაპოლეონის სიტყვებია.

_ აბა, რას ეძახდნენ?

_ გენერალს.

_ ჟოზეფინაც?

_ იმ მომენტისთვის ჟოზეფინა არ იყო ცოცხალი, მაგრამ ნაპოლეონის ცხოვრებაში გაჩნდა სხვა ქალი _ ბეტსი ბალკომბი, რომელიც ხშირად სტუმრობდა დატყვევებულ გენერალს, ართობდა, წიგნებს უკითხავდა. მოსალოდნელი რომანი ბეტსის წინდახედულმა მშობლებმა ძირშივე აღკვეთეს _ დსამუდამოდ დატოვეს წმინდა ელენეს კუნძული, ნორჩი და გამოუცდელი ქალიშვილი ცოდვას გაარიდეს. _ ხალისიანად დაასრულა დიმიტრიმ.

_ რა ბედი ეწია `ნორჩსა და გამოუცდელ ქალიშვილს?~

_ არ ვიცი. ალბათ პატიოსან ფერმერს მიათხოვეს.

_ იქნებ ბებერი ლომის საყვარლობა ერჩივნა?

დიმიტრის პასუხი არ დასცალდა. სროლის ხმამ ფეხზე წამოახტუნა და ინსტიქტურად მიაგდო გვანცას საწოლთან. იმავე წამს უჩინარი კარი შელაცლაცდა და ოთახში არც მეტი, არც ნაკლები, ცალთვალა ტუხა შემოვარდა პისტოლეტით ხელში.

_ ასეც ვიცოდი! _ შესძახა დიმიტრის ზურგს ამოფარებული გვანცას დანახვაზე.

_ ტუხა არის. _ დაიჩურჩულა გვანცამ.

_ მივხვდი. _ უპასუხა დამიტრიმ.

_ ე, ქართველი ხარ ბიჭო? _ ტუხამ აგრესიულად გადმოდგა ბოტასიანი ფეხი. მორღვეული თასმა ჭიაცელასავით გაიშალა ჭრელ ნოხზე და მთელი მისი შემტევი ანტურაჟი წაახდინა. იმ კაცს ჰგავდა, რომელიც შემთხვევით შეეხეტა სხვის პანაშვიდზე და არ იცის, მიუსამძიმროს თუ უკანა სვლით გაიძურნოს.

_ ჰო, ქართველი ვარ, ხალიც მაქვს მარცხენა ბეჭის ქვეშ, თუ ძალიან გაინტერესებს. _ აგდებულად მიუგო დიმიტრიმ.

_ შენ, ეი, მამლუქ, ტრაკი დააყენე და გოგოს გამოეცალე, თორემ გაგათავე ადგილზე!

_ ტუხა, არ ესროლო! _ დაიყვირა გვანცამ და ისე ჩააფრინდა დიმიტრის ბეჭებში, ლამის ხორციანა ამოგლიჯა.

– თუ გამოგეცლება ბოიშვილი ვიყო არ ვესვრი! ვახ, რას მომჩერებიხარ, გოგო, გაინძერი, ერთი უკვე დავანვინე, ეგერ გდია, ოთახში, წუთი-წუთზე აქ ჩეჩნების მთელი ბრიგადა გაჩნდება!

– გაჩნდეს მერე, თქვენთან ყოფნას ჩეჩნების ტყვეობა მირჩევნია, გაუპატიურება მაინც არ შემუქრება.

ტუხა სახტად დარჩა, ისევე, როგორც მისი ერთადერთი თვალი, რომელმაც ცახცახი შეწყვიტა და გვანცას სახეზე ფოკუსირდა.

– შენ, თავი ხო არ მიგირტყამს, გოგო! – განწირულად იყვირა ტუხამ, – გაუპატიურება რომ მდომოდა, იქ არ იყავი? თუ ფიქრობ შენი ლამაზი თვალების გულისთვის შემოვიპარე ამ კრაზანების ბუდეში?

– ჩემი ლამაზი თვალების გულისთვის არა, ბიძაჩემის ფულებისთვის.

– დროზე ჩაიცვი და ავინიეთ აქედან, კაცურ სიტყვას გაძლევ, ბიძაშენს ჩაგაბარებ.

გვანცამ გვერდულად შეხედა დიმიტრის, ის არ ინძრეოდა, მოჭიდავის პოზაში იდგა – გაჩაჩხული ფეხებითა და ოდნავ განზე განუული ხელებით. თან დაძაბულ მზერას არ აშორებდა მოულოდნელ სტუმარს.

– კაცურ სიტყვას გაძლევ, – ტუხა გამოაჯავრა გვანცამ. – რატომ უნდა დაგიჯერო?

– იმიტომ.

– ეს პასუხი არ არის.

ტუხას ნერვიულად შეუხტა ტუჩის კუთხე. უგემურად ჩაიციხა და წარბეჭვეშიდან შეხედა გვანცას:

– იმიტომ, რომ ილია მამაჩემია.

– რა-ა?

– ეგრეა, ეგრე. ბიძაშენი მამაჩემია. შენ კი ჩემი ბიძაშვილი გამოდიხარ. თურმე ბებიაც მყოლია, მე კი არ ვიცოდი. არადა... ჰო, კაი, მოვრჩეთ სენტიმენტებს. – ტუხამ იარაღი შეათამაშა და კიდევ ერთი ნაბიჯი გადმოდგა, ამჯერად შემრიგებლური. – ეი, მამლუქ, გამოიწიე, თორემ დაგაჯდა სიკვდილის ბუზი.

საწყალი ტუხა. რა იცოდა, რომ სიკვდილის ბუმი სწორედ მას დააჯდა და არა მის ადრესატს. ის ვერ ხედავდა კარის ღიობში აღმოცენებულ მუსას, მართალია დაჭრილსა და იატაკზე მფორთხავს, მაგრამ ჯერაც ცოცხალსა და იარაღმომარჯვებულს.

დიმიტრიმ მუსა დაინახა და ადგილს მოწყდა. ბედიზედ ორი გასროლა გაისმა. ტუხამ დიმიტრის ესროლა, მუსამ _ ტუხას. დიმიტრი წაბარბაცდა, მაგრამ არ ნაქცეულა, ტუხა კი გულაღმა გაიშხლართა და აღარც გატოკებულა. აკივლებული გვანცა პირველ რიგში დიმიტრისკენ გაქანდა, სისხლიან მკლავზე შეეხო, მაგრამ დიმიტრიმ უხეშად მოიშორა, ტუხას ხელიდან გამოცურებულ პისტოლეთს დასწვდა და დამიზნებით ესროლა კარში განრთხმულ მუსას.

მუსა მთელი სხეულით შეხტა და დაელმეებული თვალები ამოატრიალა, თითქოს შუბლში გაჩხერილი ტყვიის დანახვა უნდოდა, მერე უცებ მოიღვენთა, როგორც ნემსის წვერით გახეთქილი ბუშტი, შიშინით ამოაქმუტუნა უკანასკნელი ჰაერი და კბილებდაკრეჭილი გაშეშდა. ძალიან ბრაზიანი ნავიდა ამ ქვეყნიდან ჩეჩენი მუსა.

დიმიტრიმ იარაღი ჯინსის სალტეში გაიყარა და ტუხასთან ჩაიმუხლა.

_ მოკვდა? _ ყურთან დასჩურჩულა გვანცამ.

_ სწრაფად გაემზადე, მივდივართ.

_ დაჭრილი რომ ხარ?

_ დაჭრილი ვარ, მკვდარი ხომ არა. მიდი, მიდი, წამლები არ დაგავინწყდეს.

გვანცა მაგიდაზე დაგდებულ წამლების პარკს ეცა, ბინტი ამოაცოცა და ვიდრე დიმიტრი ტუხას სახეში სიცოცხლის ნიშან-წყალს ეძებდა, გებეულად შეუხვია გასისხლიანებული მკლავი.

_ ნეტავ მართალია, რაც თქვა?

დიმიტრიმ არაფერი უპასუხა. მკვდარ ტუხას პულოვერის საყელო ჩამოქაჩა, ყელთან ხელი მოუფათურა და ოქროს ძეწკვზე ჩამოკიდებული ჯვარი ამოაცოცა. ერთხანს დანანებით უყურა, მერე უცებ გამოქაჩა, განწყვიტა და ჯიბეში შეინახა.

_ ამას ბიძაშენს გადავცემთ. ვინძლო იცნოს.

გვანცამ დაფლეთილი კედები შეიკრა, სატვირთო მანქანაში ნაპოვნ ტყაპუჭში მკლავი გაუყარა და სინდისის ქენჯნის გარეშე გადააბიჯა მუსას გვამს. დიმიტრიც უკან მიჰყვა, მაგრამ ნაცნობმა სიგნალმა შეაყოვნა. მობილურ ტელეფონზე მოსულ მესიჯს ჰგავდა. დიმიტრი ელვის სისწრაფით გაჩნდა ტუხასთან, ქურთუკის ჯიბიდან მობილური ამოუღო და უკანვე გავარდა.

მზე ჯერაც ბენიტში იყო, როდესაც გაქცეულებმა ტყეს მიაღწიეს და სულის მოსათქმელად ხავსიან მიწაზე დაეშვნენ. დიმიტრიმ პირველ რიგში საძულველი პარიკი მოისროლა, გულიანად მოიფხანა თავი, რის მერეც ულვაშს და ბლანჟეს მიადგა. თითქმის ისეთი იყო, როგორიც გვანცას წარმოედგინა _ აფეთქებული თმა, გასაპარსი ყბები, უფერული წარბები, თაფლისფერი თვალები...

_ გტკივა? _ თანაგრძნობით დაეკითხა გვანცა და სისხლიან მკლავზე ანიშნა.

_ ტკივილს გაუძლებს კაცი, მაგრამ ინფექცია თუ შეიჭრა, ხელსაც დავემშვიდობები და სიცოცხლესაც.

_ სამჯერ მიუკაკუნე!

_ შენ იოდი მომანოდე, მე მივაკაკუნებ. _ დაპირდა დიმიტრი და ბინტის შეხსნას შეუდგა.

_ რად გინდა იოდი?

_ თავი უნდა დავიზღვიო?

_ რისგან?

_ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში სასაფლაოზე გასეირნებისგან.

_ ვერ მივხვდი, რას გულისხმობ...

_ ტყვია უნდა ამოვიღო.

_ რას ამბობ, აქ?

_ გააკეთე, რასაც გეუბნები.

გვანცამ ტყაპუჭის ჯიბეში ჩაკუჭული პარკი ამოაფრიალა და დიმიტრის წინ ჩაიმუხლა:

_ ნება მიბოძე ახლა მე მოგემსახურო, რაც არ უნდა იყოს, სამედინობზე ვსწავლობ.

_ მით უმეტეს. როგორც მომავალმა ექიმმა კი უნდა იცოდეს რა არის სეფსისი.

_ სეფსისი გენერალიზირებული ინფექციური პროცესია, რომელიც არასოდეს სრულდება თვითგანკურნებით და რომლისგანაც, სათანადო მკურნალობის გარეშე, ადამიანი იღუპება.

_ ყოჩაღ, ხუთიანი. _ ნიშანი დაუსვა დიმიტრიმ.

გვანცამ თბილისიდან გამოყოლილი ხის ჩხირით თმა დაიმაგრა და საქმიანად შეუგდა ბინტის გამოხვევას. ტყვიას დიდი ძებნა არ დასჭირვებია _ ხორცში გაჭედილი სპილენძისფერი წვეტი შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა.

_ ახლა ეს ადგილი იოღით დაამუშავე და... და ტყვია ამოიღე.

_ ამოიღე კაია... თითით ხომ არ გამოვჩიჩქნი, რაღაც უნდა გამოვდო.

წვეტიანი საგნის ძებნაში დიმიტრიმ უმწეოდ მიმოიხედა. წინვოვან ტყეში მეტ-ნაკლებად სწორი ტოტის მონახვა ჭირდა. მინაბე ეყარა ნაძვის ხის ჭიაყელისმაგვარი ყვავილი და გირჩები.

_ რა სისულელეა... _ ფიქრებს მიუხვდა გვანცა და უარყოფის ნიშნად თავი გააქნია.

დიმიტრიმ ისე შეხედა გვანცას, თითქოს პირველად დაინახა. მერე უცებ გადმოიხარა, ჯანმრთელი ხელით კისერი დაუჭირა და თავისკენ მიიზიდა. გვანცას გული შეუხტა, სული ფეხებში გაეპარა, თვალები დაენისლა...

ნუთუ?!

დიმიტრიმ ხელი კისრიდან თავზე გადაიტანა და თმიდან ხის ჩხირი ამოაცურა.

_ ესეც სკალპელი. _ შესძახა კმაყოფილმა.

გვანცას საკუთარი ფანტაზიის შერცხვა. უკვე მერამდენედ. ისეთი პირი უჩანს, კიდევ ბევრჯერ შერცხვება.

_ იოდით დაამუშავე და შეუდექი. _ დიმიტრიმ დემონსტაციულად გადასცა ჩხირი. _ მარჯვენა ხელი რომ ყოფილიყო, არ შეგანუხებდი, მაგრამ მარცხენაა და...

_ ცაცია ხარ?

_ სამწუხაროდ.

_ რატომ, ცაციები ნიჭიერები არიან. ლეონარდო ცაცია იყო, იულიუს კეისარი, ფიდელ კასტრო...

_ კასტრო რამ გაგახსენა! _ დიმიტრიმ ღიმილით ჩამოჰკრა ცხვირზე თითი და ჭრილობაზე ანიშნა _ დაიწყეო.

ამანაც დაიწყო. სხვა რა გზა ჰქონდა.

ორიოდე წუთში ტყვიის გულა წკაპუნით გაგორდა მიწაზე.

_ კიდევ ერთი ხუთიანი ჩემგან. _ დაიკვნესა დიმიტრიმ და თვალეზდახუჭული მიესვენა ხის ტანზე.

შუბლი უფლის მსხვილი წვეთებით დაენამა, გაფითრებულ ტუჩებზე ლილისფერი დაჰკრავდა. გვანცამ მშრალი ბამბა სახეზე მოატარა, ჭრილობაში ტამპონი ჩაუდო, მკლავი შეუხვია და პულსი გაუსინჯა. ასამდე დათვლა მოასწრო.

_ დიმიტრი, ანტიბიოტიკი უნდა დალიო.

_ ვერ გადავცლაპავ, პირი გამომშრალი მაქვს.

_ ნემსს გაგიკეთებ, აი, შპრიცებიც წამოვიყოლე. _ გვანცამ წამლების პარკიდან ამპიოქსის კაფსულა და ერთჯერადი შპრიცი ამოაძვრინა.

დიმიტრიმ თვალების გახელა იკადრა.

_ ნუ ღელავ, მკლავზე გაგიკეთებ. _ დაამშვიდა გვანცამ და საქმიანად დაფაცურდა.

ნახევარ საათში გზა განაგრძეს. ტყიან აღმართზე ბლოტიალისგან გვანცას ფეხები უკანკალებდა და ხელისგულები დაესერა, სიამოვნებით მოისროდა მძიმე ტყაპუჭსაც, რომლის გრძელი სახელოები ლამის მუხლებამდე სთრევდა და შორიდან

შიმპანზეს ამსგავსებდა, მაგრამ დაღამებამდე თუ ვერ გავლენ სამშვიდობოს, ტყეში მოუწევთ გათენება. ასეთ დროს, სამი ზომით დიდი ტყაპუჭი მისწრებაა. დააგენენ მინაზე, დანვებიან და დაითვლიან ვარსკვლავებს. მერე გვანცა მოუყვება, როგორ შეინახა მისი ჭრილობიდან ამოტყორცნილი ტყვიის გულა სახსოვრად. ან არ მოუყვება. არ ჩანს დიმიტრი დიდი რომანტიკოსი, რაღაც ასპექტში ინფანტილურიც კია. ახლაც თავალერილი მიდის, თითქოს ქალი კი არა, ძალლი მიჰყვება, მზით განათებული ნიავი თავზე დაჰკანკალებს და იმაზე ქერა ჩანს, ვიდრე არის სინამდვილეში. პრინციპში, გვანცას ცოტა უკლია ძალღამდე, კუდი რომ ჰქონდეს ალბათ გააქიცინებდა და ზედაც ხელს აულოკავდა.

აღმართი ქვიშისფერმა პლატომ შეცვალა. შორს, ჰორიზონტზე იგრიხებოდა მოცისფრო კავკასიონი, დაკბილულ მწვერვალებზე ზანტად იზმორებოდა ნისლი. დიმიტრიმ კანიონისებრი ხეობისკენ გაიხედა. გვანცამ მის მზერას გააყოლა თვალი:

_ მე იქამდე ვერ მივაღწევ. _ შესძახა ცრემლმორეულმა.

დიმიტრიმ თანაგრძნობით შეათვალიერა არაქათგამოცლილი ქალიშვილი, კედიდან გამომხტარი თითი არ შეიმჩნია და უსიტყვოდ წამოწვა ჩამავალი მზით გამთბარ მინაზე.

გვანცამ ტყაპუჭი გაიფინა და გვერდით მიუწვა. ძალიან დაიღალა, მეტი რომ არ შეიძლება, მაგრამ მაინც განგების მადლობელი იყო ამ დაღლისთვის, ამ ცისთვის, ამ ტყისთვის, ამ სიოსთვის... შუბლზე დიმიტრის გრილი ხელი იგრძნო. აი, ეს უნდოდა სრული ბედნიერებისთვის. სასურველი მამაკაცის უბრალო შეხება.

_ სხვათა შორის, სიცხე გაქვს. _ აღნიშნა დიმიტრიმ. _ არც შენ განწყენს ანტიბიოტიკი.

_ გთხოვ... _ შეეხვეწა გვანცა და თვალები მილულა. სხეულში მომთენთავი სითბო ჩაელვარა, როგორც ბაფხულში, პლიაჟზე, როცა შემცივნილი ამოხვალ ბღვიდან და მზის სხივებს მიეფიცხები.

_ რას მთხოვ?

_ არ გაინძრე. გედოს ხელი.

გავიდა ხუთი, ათი წუთი. შეიძლება საუკუნე. დრო თითქოს გაჩერდა. თუ სულ არ გაჩერდა, შენელდა მაინც. `პატარა სახლი ავაგოთ უდაბურ ტყეში და იქ ვიცხოვროთ მე და შენ ერთად, გზა

ოცნებისა დავაგოთ, გავკაფოთ ღრეში, ერთმანეთი კი ვაკურთხოთ ღმერთად”. რატომაც არა?! აი, ტყე, აი ღრეში, აი მე და აი, ის. რა მინდა სმოგიან თბილისში, ბუნების პირველყოფილი მშვენიერება აქ არის _ ადრიანი გაზაფხულის თავბრუდამხვევ არომატში, გაბლიგვული მიწიდან ამომხტარი ენძელის სიყოჩაღეში, ათასწლოვანი ხეების იდუმალ შრიალში, ცის კაბადონზე გაელვებული ორბის გრაციოზულ მონახაზში...

_ დიმიტრი...

_ ჰო.

_ მე არასოდეს გავხდები ნიკოს ცოლი.

დიმიტრიმ გრძელი პაუზა გააკეთა, მერე უცებ მოაშორა ხელი და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

_ ვწუხვარ.

წუხს. ასე სამძიმარზე მისული ეუბნება ჭირისუფალს. გვანცამ თავი მიტოვებულად იგრძნო. არა დამცირებულად, ან შერცხვენილად, სწორედამც მიტოვებულად, როგორც ბაზარში დაკარგული ბავშვი. მოშიშვლებულ შუბლზე გრილმა ნიავმა დაჰკრა. ალბათ არ უნდა ეთქვა, მაგრამ ვერ მოითმინა. იქნებ...

გვანცამ ფრთხილი მზერა დიმიტრისკენ გააპარა. ის დაინტრიგებული სახით მობილურზე მესიჯს კითხულობდა.

_ გაგიჟდება კაცი! _ ვითომც არაფერი, ხმამაღლა წამოიძახა მან. აშკარად სხვისი მისამართით. _ ვერ წარმოგიდგენ, ვინ დგას ამ ყველაფრის უკან!

_ ვინ? _ გვანცა ინტერესით წამოჯდა. წელანდელმა `იქნებ~ უკანა პლანზე გადაინაცვლა, დაუთმო რა ადგილი ჯანმრთელ ცნობისმოყვარეობას.

_ ვასიკო ცეცხლაძე.

_ ვაი!

_ ახვარი.

დიმიტრიმ მობილური მიუშვირა.

– `ტუხა, მამაშენმა ყველანი გაგვაცურა. ჩვენი გაგზავნილი კაცი პანკისში არ ჩასულა, ისეთი პირი უჩანს, რომ მარშრუტი შეიცვალა და ჩვენზე ადრე გავა მძევალზე. მოეშვი თვითინიცითივას, დაელოდე ჩემს მითითებას. – ხმამაღლა წაიკითხა გვანცამ. – ჰმ, `ჩვენი გაგზავნილი კაცი~, სავარაუდოდ, შენ ხარ.

– ეჭვი არ შეგეპაროს.

– რას ერჩიან ბიძაჩემს?

– პირველ რიგში ფული, მეორე რიგში... არ ვიცი. ერთადერთი, რაც ვიცი – მოპარულ კასეტაზე ვასიკოს ხმა იყო. ანუ, მაშინდელი აფიორაც მისი აგორებულია.

– სასწრაფოდ უნდა შევატყობინოთ ილიას!

– აქ არ იჭერს. მთებია. – დიმიტრიმ უკმაყოფილოდ მიმოიხედა, მაგრამ მთები არსად გამქრალა. პირიქით, ჩამავალი მზის ფონზე სიმკვეთრე შეემატათ და თითქოს მოახლოვდნენ.

– ხეობის იქით კიდევ ერთი ტყის მასივია.

– მასივის იქით დასახლებული პუნქტი უნდა იყოს. მთავარია, ელემენტი არ დაჰდეს.

ისევ გაუდგნენ გზას. კანიონამდე ორი საათი იარეს და უკვე დაბინდებულზე შევიდნენ ტყეში.

– მოდი, სახვევს გამიგიცვლი, სისხლმა გამოჟონა. – შესთავაზა გვანცამ.

დიმიტრიმ უკმაყოფილოდ გააქნია თავი. უკვე ნანობდა საქართველოში ჩამოსვლას. დატეულიყო საფრანგეთში, რა ქორწილი და პატივისცემა აუტყდა?! რომელი თამადობის ინსტიტუტის მებაირახტრე ის იყო, რომ დიდი ამბით გამოქანდა? ახლა გამოდის, აღარც ქორწილი იქნება... სიძე კი კბილებს ილესავს, ერთი სული აქვს, როდის მიუყვანენ ლანგრით გატაცებულ პატარძალს. ღმერთი-რჯული, დიმიტრი ასეც აპირებდა, მაგრამ ისიც ადამიანია – როდემდე შეიძლება გაუძლო ნაცრისფერი თვალების ყოველნამიერ ცდუნებას? მამამისი კი დარჩენაზე ელაპარაკება – სამშობლოო, ფესვებიო... დალპა ის ფესვები, ბატონო, ტანილა ყელყელაობს და ღმერთმა უწყის, როდის დაეხეთქება მიწაზე თავისი ფოთლიან-ტოტიან-ღეროიანა. ერი, სადაც შვილი მამას საკუთარი

სიკვდილით აშანტაჟებს, სამკურნალოა. ნაღდი მკურნალი კი არ
ჩანს, ექიმბაშები _ რამდენიც გინდა. ფილტვების ანთებას ვერც
კომბოსტოს ფოთლით მოარჩენ, ვერც შელოცვით. ანტიბიოტიკიც თუ
არ მიახმარე, ორგანიზმი გადაიწვება. ქვეყანა ცოცხალი
ორგანიზმით არის, უბრალოდ მასშტაბია სხვა.

მთვარე ისე მოულოდნელად ამოიტყორცნა, თითქოს ვიღაცამ
ქვევიდან უბიძგა და ახლა გაკვირვებული დაეძებს `დამნაშავეს~.
მთიდან მობერილმა ნიავმა თამამად შეარხია ხის კენწეროები, ტყე
აფორიაქდა, ფოთლები აჩურჩულდნენ, შორიახლოს კაკუნი გაისმა.

_ ვაიმე! _ გვანცა წამში გაჩნდა დიმიტრისთან, ჯანმრთელ
ხელში ჩააფრინდა. _ გაიგე?

_ რამ შეგაშინა, კოდალა იქნება.

_ იქნებ მდევარია?

_ მდევარი კაკუნითა და დაფდაფების ცემით არ მოდის, ის
ჩუმად მოიპარება.

_ ვითომ კოდალაა?

_ შეიძლება ციყვია.

_ ციყვს ალბათ სძინავს.

_ შენ რა იცი ციყვის გრაფიკი?

_ წინა ცხოვრებში ციყვი ვიყავი.

_ შენ ახლაც ციყვი ხარ. _ გაელიმა დიმიტრის და ქვევიდან
ჩამოხედა. მის თაფლისფერ თვალებში ბანტად გაცურდა
ფერმკრთალი მთვარე.

გვანცა კანკალმა აიტანა, ცალკე სიცივისგან, ცალკე დიმიტრის
სიახლოვისგან. `მაკოცე, რა?...~ დისტანციური მესიჯი გაუგზავნა.
მაგრამ ადრესატმა არ მიიღო მისი მესიჯი. ან მიიღო და არ უპასუხა.
ის პირველ რიგში ნიკოს ძმა იყო, დანარჩენი მეორეხარისხოვანია.
ეტყობა ქალი გაცილებით ამორალური არსებაა, ვიდრე მამაკაცი,
შეყვარებული ქალს კი საერთოდ არ მოეკითხება ჭკუა, აკი მიანიშნეს
კიდევ _ ციყვი ხარო. სინამდვილეში, ციყვი არც ისეთი ბრიყვია.
პირიქით, ძალიანაც ყაირათიანი დიასახლისია _ მყუდრო და ღრმა
ფულუროს არჩევს _ ემანდ თოვლმა ან ქარმა არ შეაღწიოსო,

თხილსა და კაკალს ეზიდება ზამთრისთვის. სავარაუდოდ, დედალი ციყვი შთამომავლობაზე ფიქრობს და ამ საქმისთვის ყველაზე მამაცსა და ძლიერ მამრს არჩევს. ჰოდა, გვანცამაც აირჩია. რა არის ამაში ამორალური?!

_ გვანცა.

_ ?

_ გინდა გაგახარო?

_ აბა?

_ მგონი მოვედით.

_ სად?

_ მანქანების გუგუნი მესმის. სადღაც ახლოს ტრასაა.

_ მართლა? _ უგულოდ გაუხარდა გვანცას.

ტრასა _ გზის დასასრულია, მისი და დიმიტრის გზის! არავითარი ერთობლივი ღამისთევა, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, გაკაფული ღრეში და სხვა სენტიმენტები. წინ უფერული მომავალია, დაბეპირებული გაკვეთილივით უინტერესო, კარაქიანი პურივით მოსაწყენი...

_ აქედან ვლადიკავკაზში ჩავალთ, ვლადიკავკაზიდან თბილისამდე ერთი ნაბიჯია. _ ცეცხლზე ნავთი დაასხა დიმიტრიმ.

_ ვინ გაგვიჩერებს მანქანას ასეთ ფორმაში? _ გაიბრძოლა გვანცამ.

_ ბუშლატს გაიხდი, თმას გაიშლი, კაბას... არა, შარვალს აიკეცავ, ტრასაზე გაშრიალდები, გამომწვევ პოზაში დადგები...

_ მეძავის პონტში?

_ მეძავს უფრო ხალისიანად გაუჩერებენ, ვიდრე გაურკვეველი წარმოშობის დაჭრილ სუბიექტს. მთავარია გააჩერონ და მერე მე ვიცი. _ დიმიტრიმ მკლავზე ხელი გადახვია და წინ უბიძგა.

ნაშუალამევს ჩვენი გმირები ვალერა ნოვიკოვის მყუდრო სამზარეულოში ისხდნენ და ნანახსა და განცდილზე ყვებოდნენ. უფრო სწორედ, დიმიტრი ყვებოდა, გვანცა კი თვალს არ აშორებდა. იშვიათად თუ ჩაურთავდა რეპლიკას. ცდილობდა სამუდამოდ აღებეჭდა გონებაში მისი ხმა, პროფილი, ლაპარაკის მანერა, ჟესტები...

– ეს საქმე უნდა ავლნიშნოთ! – ვალერა დაფაცურდა, კარადიდან არყის ბოთლი გამოიღო, ჭიქები გამოალაგა და თეფშებს შორის ჩაიხირა. – დიდი ვერაფერი სუფრა დაგახვედრეთ, მაგრამ თუ დამიჯერებთ, არაჩვეულებრივი ლორია. უკრაინიდან ჩამომიტანეს... მოხარშულ კარტოფილს უხდება ძალიან. კარტოფილიც მალე იქნება მზად, აბა, ვნახოთ, ხომ არ ჩაიხარშა? წნილიც მიაყოლეთ, წნილი... ახალი ჩადებულია, ბამთრიდან მორჩენილი არ გეგონოთ...

ვალერამ გაბქურაზე მოთუხთუხე ქვაბს ჩახედა და ხელების ფშვნეცით სუფრას მიუბრუნდა:

– რატომ არაფერს მიირთმევთ? დავიჯერო, ჩეჩნები უკეთესად გაჭმევდნენ?

– სანამ წყალს არ გადავივლებ, ლუკმა არ გადამივა პირში. – გამოაცხადა გვანცამ.

ვალერამ თავში წაიშინა ხელები:

– რასაკვირველია, გოგონი... პირველ რიგში სააბაზანოში უნდა შემეშვით, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მძლია და ლაპარაკში შეგიყოლიეთ, აპატიე სულელ ბერიკაცს! არა, პირველ რიგში ილიასთან უნდა დამერეკა, წარმომედგენია, რა დღეშია ჩემი საბრალო მეგობარი!

– მე უკვე ველაპარაკე ილიას. – თქვა დიმიტრიმ. – მან ყველაფერი იცის.

– ჰო, მაშინ სხვა საკითხია... მე მაინც დავურევავ, მოგვიანებით დავურევავ, დამშვიდებულ გულზე. ახლა ისეთი აჟიტირებული ვარ, ისეთი... რომ წარმოვიდგენ, რა დღე გაიარეთ, თმა ყალყზე მიდგება!

ღმერთო, რას ხართ გადარჩენილები, რას... შენ კი წამომყევი, გოგონი, სააბაზანომდე მიგაცილებ, ახალ პირსახოცს მოგცემ, სუფთა ხალათს...

ცხელი აბაზანა თავისთავად შესანიშნავი რამაა, მაგრამ როცა ხარ რამდენიმე დღის დასაბანი, ნაავადმყოფარი, ტყე-ღრეში ნაგორავები, დაღლილი და თან შეყვარებული _ ცხელი აბაზანა ნირვანას ტოლფასია.

რომელებმა იცოდნენ აბანოს ფასი. თერმებში მხოლოდ მხოლოდ დასაბანად არ მიიჩქაროდნენ, იქ იმართებოდა ფილოსოფიური დისკუსიები, იყო ერთი კამათი და დავიდარაბა. თანამედროვე დახურული კლუბის ანალოგი. თურქეთში დღესაც არის აბანოს კულტურა, ყოჩალი მექისე ცხრაპირ ტყავს გაგაძრობს და მერე ჩაიბე მიგიპატიჟებს. გოგირდის აბანო თბილისშიც არის, მაგრამ რად გინდა?! მოარულ ხმებს თუ დავიჭვრებთ, საროსკოპოს ფუნქციას ითავსებს. შეიძლება ტყუილიცაა, მაგრამ ასეც რომ იყოს, აწი გვანცას არაფერი გაუკვირდება. როცა უძაღლო ქვეყანაში კატას აყეფებენ, პატიოსანმა ადამიანმა ქუდი უნდა დაიხუროს და გაერიდოს, როგორც დიმიტრი. ან არ დაიხუროს ქუდი და დარჩეს, როგორც მამამისი მოიქცა, როცა ამერიკაში გადაბარგებულმა ნათესავებმა თავისუფლებით შეახარბეს და ჩამოსვლა ურჩიეს. `რა თავში ვიხლი თავისუფლებას თუკი ჩემს სათქმელს მშობლიურ ენაზე ვერ გავაჟღერებ?~ _ თქვა ბადრიმ. `ამისთანა რა უნდა თქვა, რაც აქამდე არ გითქვამსო?~ დასცინეს ოჯახში. მამას შერცხვა. ის საშუალო გაქანების ფიზიკოსი იყო, კვლევითი ინსტიტუტის რიგითი თანამშრომელი. ამერიკაში კი არა, მარსზეც რომ გაფრენილიყო, მისგან ლანდაუ ვერ დადგებოდა, მით უფრო, აინშტაინი. მაგრამ თავისი ქვეყანა იმ სიყვარულით უყვარდა, `დამალვა რომ სჭირდება~. სადღეგრძელოს თქმაშიც კი ძუნწი იყო, მაშინ, როცა მისი მეგობრები მეტაფორებად იფრქვეოდნენ და გულაჩუყებულები ინმენდნენ თვალზე მომდგარ კურცხალს.

გვანცამ სინანულით დაიქნია სველი თავი. უცებ ისე მოენატრა მამა, ისე მოუნდა მის მკერდზე ამოელრიალებინა ტაიფუნით მოვარდნილი ახალი სიყვარული. ახალი არა. ერთადერთი! ის, რაც სიყვარული ეგონა რეპეტიცია ყოფილა, ნიკო ისეთივე უცხო იყო მისთვის, როგორც პანკისელი კურკისთვალეა მძღოლი. დედა ალბათ გადარწმუნებას შეეცდება, ხალხი რას იტყვისო, დაამუნათებს.

დედასთვის სიტვის გატეხვა თავის გატეხვის ტოლფასია, მამა კი უსიტყვოდ გაუგებს.

სააბაზანოდან გამოსულ გვანცას ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რომ წონაში დაიკლო და უარყოფითი შლაკებისგან დაიცალა. ალბათ მსგავსი აზრი გაუჩნდა დიმიტრისაც _ თვალი ვერ მონწყვიტა სამზარეულოში შემოსულ ქალიშვილს, თითქოს პირველად ხედავდა.

_ ლამაზია, არა? _ მხარი გაჰკრა ვალერამ.

დიმიტრიმ მორცხვი ღიმილით დაეთანხმა. გვანცამ კეკლუცად შეისწორა თავზე დახვეული პირსახოცის კომკურა და მოხარშული კარტოფილის გადმოიღო.

_ ერთად დაგიგოთ თუ?... _ ეშხში შევიდა ვალერა.

_ არა. ჩვენ ხომ ცოლ-ქმარი არ ვართ... _ იუარა დიმიტრიმ.

_ შეყვარებულები ხომ ხართ? _ არ მოეშვა ვალერა.

_ არა. საიდან მოიტანეთ?

_ ბრმა კი არ ვარ?! თვალები გაგინათდა, რომ შემოვიდა.

_ პირველად ვნახე დაბანილი და... _ ხუმრობა სცადა დიმიტრიმ.

_ გამოტყდი, რომ მოგწონს.

_ ზოგადად მომწონს სიმპათიური ქალები.

გვანცა სიამოვნებით ისმენდა კაცების პოლემიკას და არანაკლები სიამოვნებითჭამდა. ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ კანიანად მოხარშული კარტოფილი ასეთი გემრიელი იქნებოდა. ის კი არა, სითამამისთვის არაყიც გადაჰკრა და დიმიტრის ესტაფეტა გამოართვა _ ლაპარაკობდა, ხუმრობდა, ტყვეობაში გატარებულ დღეებს იხსენებდა.

გამთენიისას დაიშალნენ. გვანცა საძინებელში შევიდა და მონყვეტით დაეხეთქა ლოგინზე. ქუჩიდან მოგუდული ხმები ისმოდა, საზარლად დაიკნავლა მარტის კატამ, ბავშვის ტირილს ჰგავდა. სახლის სიღრმეში ონკანი ბლუოდა, ალბათ დიმიტრი ბანაობს. ცოცხისფერ თმას წყალი უსველებს, მოქნილ მხრებზე დაედინება, მუცელს მიუყვება წვრილ ნაკადულებად... ოხ, იმ ნაკადულად აქცია... კაცმა რომ თქვას, ყველა სურვილი აუხდა _ ტყვეობას თავი დააღწია,

შხაპი მიიღო, გახამებულ თეთრეულში წევს, კედლის მიღმა კეთილი ადამიანები სუნთქავენ, და არა ბრაზიანი მუსები და ავხორცი ჯაფარები, ყველაფერი აუხდა, ერთის გარდა _ დიმიტრი.

თვალები დახუჭა. ალკოჰოლით მოთენთილ სხეულში მდორედ მიედინებოდა სისხლი, თავში კი უდაბნოს ქარები ქროდნენ _ ბედუინმა ჩაიარა შემპარავი ნაბიჯით, უკან ცოხნით გაჰყვა ორკუბიანი აქლემი. ქვაშაში ორი ნაკვალევი გამოიკვეთა _ ადამიანის და ცხოველის. შორს, ჰორიზონტზე უცნაური პეიზაჟი ლივლივებდა, სალვადორ დალის ნახატს ჰგავდა...

მოულოდნელად ქვიშისფერი მყუდროება რაღაცამ დაარღვია. გვანცამ აშკარად იგრძნო ჰაერის ვიბრაცია. გუმანმა უგრძნო _ ის არის, მისი ოცნების რაინდი, მისი ზღაპრული უფლისწული... წესით უნდა აკოცოს, სიყვარულში გამოუტყდეს, ბროლის კოშკში წაუძღვეს... ისიც კოცნის, უფრო სწორედ ტუჩებზე ეხება და ისე მოულოდნელად ქრება, რომ პრინცესა თვალის გახელასაც ვერ ასწრებს.

ტრასაზე ისევ მიდიოდა ცხვარი, როგორც მაშინ, ბავშვობაში, როცა ერთ მშვენიერ დღეს მამამისმა სკოლაში გაუარა და დარიალის გზას გაუყენა. უბრალოდ, ოღრო-ხოღრო სერპანტინები მოასფალტებულმა გზამ შეცვალა, ფარღალაღა `ვილისი~ _ კომფორტულმა `ჯიპმა~, საჭესთან მჯდარი სერჟანტი _ გამოცდილმა მძღოლმა.

დიმიტრის ბარის შემდეგ ილიას მართო უნდოდა წამოსვლა, მაშინვე, იმ წუთას. მაგრამ ლალიმ არ დაანება _ დედის სული და გვანცას სიცოცხლე დააფიცა. ესეც დაემორჩილა. თურმე, `დამორჩილებაშიც~ თავისებური ხიბლია, ზედმეტი ფხუკიანობა კი არასრულფასოვნებაზე უფრო მეტყველებს, ვიდრე პრინციპულ ხასიათზე. ადრე პირიქით ეგონა, რაც უფრო ქედმაღალი იქნებოდა, მით უფრო მეტ ქულებს ჩაიწერდა. მამამისის სკოლა. წყეულიც იყოს ის სკოლა, რომელმაც ბავშვობა მოუშხამა და დედა დააკარგვინა. მამამისმა ისე იცხოვრა და ისე მოკვდა, არავინ მიუშვია ახლოს, შვილსაც იგივე ჩააგონა, მაგრამ ილია აღარ გაიმეორებს მის

შეცდომას, ის შეეცდება დაიჭეროს, რომ ლალი ძმის გამო გამოქანდა ნაშუალამევს სახლიდან და არა სხვა, მერკანტილური მოსაზრებით. უკეთუ თვალი შენი მარჯვენე გაცდუნებდეს შენ, ამოიღე და განაგდე შენგან~. ჰოდა, ილიამაც `განაგდო~. სჯობს თავი მოიტყუო, ვიდრე გეგონოს, რომ მთელი ქვეყნიერება შენ გატყუებს.

ახლა ილიამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ არ იცოდა რა მოეხერხებინა ამ ცოდნისთვის. ლაშა მოკლეს. უკვე მეორედ და ალბათ უკანასკნელად. მიუხედავად ორმაგი ტრაგედიისა, ამჯერად ეამაყებოდა შვილი. ის გვანცას ღირსებას შეენირა. გამოდის, არც ისეთი წყალწალღებული ყოფილა, შერჩენია ღირსების ნაპერწკალი. ზოგჯერ ერთი კონკრეტული საქციელი გადასწონის ბევრ უსაქციელობას, მაგრამ ეს უკვე აღარ არის ილიას კომპეტენცია.

ანალოგიური შინაარსის ფიქრები აწუხებდა ვასიკო ცეცხლაძესთან მიმართებაში. მაშინ არ იცოდა, რომ ვასიკო მისი ყოფილი კოლეგის, ვასილ გულედანის შვილიშვილი იყო და მისი აქტიურობა ლაშასთან მიმართებაში შურისძიებით იყო განპირობებული და არა პროფესიული ინტერესით. დღევანდელი გადასახედიდან სრულიად ნათელია, ვინ მოიპარა კასეტა და ვისი ხმა გაეპარათ ლაშას სიკვდილის ინსცენირებისას. მაგრამ ლაშასგან განსხვავებით ვასიკოს საქციელს შეიძლება მოენახოს რაღაც გამართლება...

დიდი ხნის წინ, ჯერ კიდევ ძვირფასი ლეონიდ ილიჩის ზეობის ეპოქაში, ილია მეგრელიშვილის უწყება ჯარისკაცთა მასობრივი მონამვლის საქმეს იძიებდა. გამოვლინდა დამნაშავე _ სამხედრო-საარტილერიო სასწავლებლის დირექტორი ვასილ გულედანი, გადამდგარი პოლკოვნიკი და კარგი რეპუტაციის კაცი. შეიძლება ის არ იყო პირდაპირი პასუხისმგებელი უხარისხო პროდუქტზე, მაგრამ კარიერაზე მომართულმა ილიამ არაფრად ჩააგდო ასაკოვანი დირექტორის ძველი დამსახურებები და უშუალო დამნაშავეებს ირიბიც მიაყოლა, ვასილის სახით. დაუფასდა _ სამხრეზე კიდევ ერთი ვარსკვლავი გაირტყა და უკომპრომისო თანამშრომლის სახელიც დაიმკვიდრა. მოგვიანებით შეიტყო, რომ ბატონმა ვასილმა სირცხვილს ვერ გაუძლო და წინასწარი დაკავების საკანში გულის შეტევით გარდაიცვალა. გაირკვა, რომ გადამდგარი პოლკოვნიკი უმამოდ დარჩენილ შვილიშვილს, თავის მოსახელე ვასიკოს ზრდიდა. ეს ამბავი ილიას არ გახარებია, მაგრამ არც სინდისის ქენჯნით დატანჯულა. მაშინ შედარებით ახალგაზრდა იყო და გულწრფელად

ეგონა, რომ მკაცრი ზომები ქვეყანას სიკეთეს მოუტანდა. მერე და მერე, თვითონაც გადალდა და იმაზე ბევრად უარესები ჩაიდინა, ვიდრე ერთი ბატალიონი ჯარისკაცის მონამვლა იყო, მაგრამ უკან არასოდეს მოუხედავს, სულ წინ იცქირებოდა, მომავალში, იმ რწმენით, რომ ფული და ძალაუფლება ყველა პრობლემას გადაჭრიდა. თურმე როგორ ცდებოდა, როგორ...

წუხელ, დიმიტრისთან ლაპარაკის შემდეგ, ვასიკო ცეცხლადის დოსიე მოიძია. ამჯერად მომავლის მაგივრად წარსულში ჩახედვა და ფანტაზიის ჩართვაც მოუწია. ნათლად წარმოიდგინა ბაბუის კუბოსთან მდგარი პატარა ბიჭი, რომელიც გულში მჭიდის ცემით მანტრასავით იმეორებდა: გავიზრდები და შურს ვიძიებ, გავიზრდები და შურს ვიძიებ, ვიძიებ, ვიძიებ, ვიძიებ...

ჭეშმარიტებს სადღაც შუაშია, ფიქრობდა მანქანაში მოლაყლაყე ილია, არც ყველაფრის მიტევება შეიძლება, არც ყველაფერზე პასუხისგებაში მიცემა. ამ წუთში მან არ იცოდა, რა გზას აირჩევდა ვასიკოსთან მიმართებაში.

`ბეე...~ _ მანქანას მიაბღავლა ცხვარმა.

`პიუმ~ _ მიუსიგნალა მანქანამ.

`ჰამ!~ _ დაიყეფა დიდთავა ნაგაზმა.

`ეჰეჰეი!~ _ დასჭექა ნაბდისქუდიანმა მეცხვარემ და ცხვრის ფარა თერგის მხარეს, ფერდობზე გარეკა.

ტრასა თანდათან გასუფთავდა, მანქანამ სიჩქარეს მოუმატა, ილიამ _ ღელვას. რაღაც ახალი ეტაპი იწყებოდა მის ცხოვრებაში, ზუსტად არ იცოდა, როგორი, მაგრამ ბედის ირონიით ათვლის წერტილი სწორედ აქ, ამ ადგილზე იწყებოდა, სადაც დიდი ხნის წინ დამთავრდა მისი უზრუნველი ბავშვობა. ეს გოგო, დედამისის სურნელითა და ხმის ტემბრით, თითქოს ღმერთმა გამოუგზავნა კომპენსაციის სახით და უთხრა: იზრუნე! ის შეეცდება სწორედ გაიგოს ზეციური მესიჯი და ცივი ანგარიშის მაგივრად ცხელი გული დაახვედროს.

დარეკა მობილურმა. ვალერას ნომერი დაინერა, მაგრამ გვანცა აღმოჩნდა.

_ ბატონო ილია...

_ ჰო, გვანცა, გისმენ. _ აღელდა, აფორიაქდა, აწრიალდა...

_ ის წავიდა.

_ ვინ `ის?~ სახელი არა აქვს?

_ დიმიტრი. _ ამოღერღა გვანცამ და უცნაურად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამოისუნთქა.

`ტირის~, დაასკვნა ილიამ. რატომ?

_ სად წავიდა? _ იკითხა ხმამაღლა.

_ არ ვიცი, დილით გავიღვიძე და არ დამხვდა. ვალერამ, საფრანგეთში გაემგზავრაო... მე ვიფიქრე, იქნებ თქვენ იცით... დაბუსტებით...

_ როგორ თუ საფრანგეთში?!... მე უკვე გბაში ვარ. რატომ არ დამელოდა?

_ თქვენ... თქვენ ლაშას ჯვარი დაგიტოვათ. საძინებელში დამხვდა, ტუმბობე... თვითონ კი წავიდა. დაუმშვიდობებლად. სამუდამოდ. _ აქ კი გვანცა გატყდა და გულამოკვნესით ატირდა.

`უყვარს~. _ კიდევ ერთი დასკვნა გამოიტანა ილიამ.

_ ერთი თხოვნა მაქვს... _ მცირეოდენი პაუზის შემდეგ ამოიფშლუკუნა ქალიშვილმა.

_ ორი იყოს.

_ არ მინდა თბილისში... დროებით აქ დავრჩები, ან სადმე სხვაგან, სულერთია... უთხარით ჩემებს... თქვენ უთხარით, მე არ დამიჯერებენ. ვერ გამიგებენ...

_ დამშვიდდი, შვილო, დედამინის რომელ წერტილსაც დაადებ თითს, იქ წავიყვან. შევთანხმდით?

ილიამ მობილური შეინახა და ღიმილით გაიხედა ფანჯარაში. იალალბე ცხვარი შეფენილიყო, ცაში ჩიტებს გაემართათ იმპროვიზირებული ბალეტი, ქვევით თერგი მოღრიალებდა... ცხოვრება გრძელდებოდა.

2003 წელი დასასრული

